

ეკონომიკა და საბუნკო საქმე


2013. ტომი I, N2



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ԵՅՏՆՈՒԹՅՈՒՆ ԵՎ
ՏՎՅՈՒՆՆԵՐ
ՏՎՅՈՒՄ

2013. ԵՐԵՎԱՆ I, N2



სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
„ეკონომიკა და საბანკო საქმე“

მთავარი რედაქტორი:

გიორგი ბაქრაძე

სარედაქციო კოლეგია:

მერაბ კაკულია

არჩილ მამათელაშვილი

არჩილ მესტვირიშვილი

ოთარ ნადარაია

ვლადიმერ შაპავა

გიორგი ქადაგიძე

ლაშა ჯუღელი

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველოს ეროვნული ბანკი,

თბილისი, 0114, სანაპიროს ქ. 2

ტელ: (032) 2-406-500

ელ-ფოსტა: bankjournal@nbg.ge

პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები
და დასკვნები ეკუთვნის ავტორებს და არ
წარმოადგენს საქართველოს ეროვნული
ბანკის ოფიციალურ პოზიციას.

ISSN 2233-3509

UDC(უაკ)33+336.71](051.2)

ე-491

რედაქტორის სვეტი

რუბრიკაში მკითხველს შევთავაზებთ მიმოხილვით ნარკვევებს საქართველოს ეკონომიკისა და ზოგადად ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი ნიუანსების შესახებ. ჟურნალში დაბეჭდილი სხვა სტატიებისაგან განსხვავებით, რედაქტორის სვეტში გამოქვეყნებული მასალა პოპულარული ხასიათის იქნება. მისი ამოცანაა, ერთის მხრივ, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ინფორმაციის მიწოდება, ხოლო, მეორეს მხრივ, მკითხველის დიალოგში გამოწვევა.

ეკონომიკური სტატისტიკა და „თამაშის წესები“

არსებობს ტყუილის სამი სახე: ტყუილი, ურცხვი ტყუილი და სტატისტიკა მარკ ტვენი

თავად ეკონომიკისაგან განსხვავებით, ეკონომიკური სტატისტიკის (რომელიც აერთიანებს ეკონომიკური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, კომპილაციას და ანალიზს) დაბადების თარიღი ზუსტად არის ცნობილი. 1615 წლის 21 მაისს ინგლისის საბაჟოს ორმა წარმომადგენელმა, სერ ლაიონელ კრენფილდმა და მისტერ ვულსტენჰოლმმა გამოაქვეყნეს ინგლისის სავაჭრო ბალანსის წინა წლის მონაცემები. ამ გამოცემაში პირველად გამოიყენეს ტერმინი „სავაჭრო ბალანსი“ და პირველად მოხდა ექსპორტსა და იმპორტთან დაკავშირებულ მონაცემთა გაერთიანება და მათი ანალიზი. ეკონომიკური მონაცემების რეგულარული შეგროვება და ანალიზი კი მე-19 საუკუნის დასაწყისს უკავშირდება. მაშინ, როდესაც აშშ-სა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში (დიდ ბრიტანეთში შედარებით უფრო ადრე) დაახლოებით ერთდროულად, სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური მონაცემების შეგროვება დაიწყო.

მონაცემთა ნუსხა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, წლიდან წლამდე იზრდებოდა. დღეისათვის განვითარებული ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების საიტზე შესაძლებელია მოიძიოთ ათასობით სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებელი, რომლებიც ეკონომიკური საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროს მოიცავს – სოფლის მეურნეობიდან მშენებლობამდე, სამთო მრეწველობიდან საბანკო

საქმემდე. მრავლად მოიპოვება, ასევე, ე.წ. აგრეგირებული მონაცემები – ასეთებია სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მთლიანი შიდა პროდუქტი (ცნება, რომელიც 1934 წელს გამოიგონა საიმონ კუნცეცმა და რომელიც 1944 წლის ბრეტონ ვუდსის კონფერენციის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი საზომი გახდა), ეფექტური გაცვლითი კურსები და სხვა.

ეკონომიკურ სტატისტიკურ მონაცემებს სხვადასხვა დანიშნულება აქვთ. კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება შესაბამისი სტატისტიკური მოდელების საფუძველზე, ეკონომიკის მომავალი განვითარების პროგნოზირება, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ობიექტურად შედარება, ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და ა.შ. თუმცა, მონაცემთა ანალიზისას გასათვალისწინებელია, რომ მათი განსაზღვრა და შეგროვება ყოველთვის გარკვეული კონცეპტუალური ჩარჩოს ფარგლებში ხორციელდება, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს მოთხოვნას კონკრეტული ტიპის მონაცემზე. ამდენად, ეკონომიკური სტატისტიკის განვითარება დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან კორელაციაში იყო ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასთან.

ეკონომიკური თეორიების მრავალრიცხოვნობისა და მრავალფეროვნებისა მიუხედავად, დღეს არსებობს გარკვეული ეკონომიკური ცვლადები და მონაცემები, რომელთა საჭიროებაზე შეთანხმებულია ყველა ეკონომიკური თეორიის მიმდევარი. მაგალითად, ეკონომიკურ მონაცემთა დიდი ნაწილი გაერთიანებულია ე.წ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში – ეკონომიკური სტატისტიკის წარმოების, ეკონომიკურ-სტატისტიკური და საერთაშორისო შედარებითი ანალიზის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის გაერთიანების კომისიის, ეკონომიკური თანამშრომლობისა განვითარების ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური კომისიის 1993 წლის 22 თებერვლის 27-ე სესიის მიერ რეკომენდებული იქნა გამოსაყენებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისათვის. ამ სტანდარტს სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც მისდევს და

მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს.

ეკონომიკური მონაცემების რაობაზე შეთანხმების გარდა, მათი სწორად გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია გარკვეული „თამაშის წესების“ დაცვა. დღეს, ხშირია ამა თუ იმ ეკონომიკური მაჩვენებლის დასახელება და მასზე დაყრდნობით შორს მიმავალი დასკვნის გაკეთება მაშინ, როდესაც მის ავტორს გააზრებული და გაცნობიერებული სულაც არა აქვს, თუ რა შინაარსის მატარებელია კონკრეტული მონაცემი. თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ რამდენიმე ეკონომიკური ცვლადი და მათი არასწორი ინტერპრეტირების მაგალითი:

1. პირველ რიგში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეალურ და ნომინალურ ცვლადებს შორის განსხვავების გათვალისწინება – რეალური ცვლადების (მთლიანი შიდა პროდუქტი, საპროცენტო განაკვეთი, ექსპორტი/იმპორტი და ა.შ.) სხვადასხვა წლების მნიშვნელობების შედარებისას გამოირიცხება ფასების ეფექტი, ნომინალური ცვლადები ფასების ეფექტს არ ითვალისწინებს. ასე მაგალითად, რეალური მშპ-ს შედარება 2012 და 2011 წლებში გვაჩვენებს, თუ როგორ გაიზარდა ეკონომიკა ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, თუ როგორ გაიზარდა (ან შემცირდა) ფასები დროის ამავე მონაკვეთში.

2. მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც უკვე აღინიშნა, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს. თუმცა, მისი აბსოლუტური მნიშვნელობა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის მაშინ, როდესაც, ხდება ქვეყნების ეკონომიკური განვითარების შედარება. განვითარების სტატისტიკური შედარებისათვის ერთმანეთს უნდა შევადაროთ მთლიანი მშპ ერთ სულ მოსახლეზე (როგორც წესი, ამ შემთხვევაში გამოიყენება ნომინალური მშპ), ხოლო განვითარების პროგრესის შესადარებლად კი ერთმანეთს უნდა შევადაროთ გარკვეულ პერიოდში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპები.

3. კიდევ ერთი ხშირად დაშვებული შეცდომა დაკავშირებულია სამომხმარებლო ფასების ინდექსსა და ინფლაციასთან. სამომხმარებლო ფასების ინდექსი წარმოადგენს 299 სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების ფასების ერთგვარ „საშუალოს“ და ამდენად ქვეყანაში არსებული ინფლაცია, მხოლოდ ამ „საშუალოს“ ცვლილებას ეხება და ინდექსის შემადგენელი კომპონენტების ფასები შეიძლება სხვადასხვა ტემპითა და მიმართულებით იცვლებოდეს. მარტივად რომ ვთქვათ, 5 პროცენტიანი ინფლაცია არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში ყველაფერი 5 პროცენტით გაძვირდა; ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ფასები საშუალოდ გაიზარდა, მაგრამ რაღაც საქონელი/მომსახურება შეიძლება გაძვირებულიყო

უფრო მეტად, ვიდრე 5 პროცენტი, სხვა საქონელი/მომსახურება – უფრო ნაკლებად, ხოლო გარკვეული საქონელი ან მომსახურება, შესაძლოა, გაიაფებულიყო კიდევ.

4. სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია სახელმწიფო ვალის ოდენობა. როგორც წესი, განვითარებადი სახელმწიფოები ხშირად იღებენ საგარეო ვალს გარკვეული საინვესტიციო და სხვა პროექტების განსახორციელებლად, რადგან განვითარების ამ კონკრეტულ ეტაპზე სახელმწიფოს შესაბამისი რესურსები შეიძლება არ გააჩნდეს. არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს (და კერძო აგენტების) მიერ აღებული სესხი იმდენად მაღალია, რომ მისი მომსახურება შეუძლებელი ხდება და სახელმწიფო იძულებულია გამოაცხადოს დეფოლტი (არგენტინის ეკონომიკის ისტორია კარგ მაგალითს წარმოადგენს იმისა, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფომ ერთი და იგივე შეცდომები დაუშვას სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით). ამდენად, გასაგებია პრესასა და ტელევიზიაში ხშირად გამოთქმული აზრი სახელმწიფო ვალის ჭარბად აღების საშიშროებასთან დაკავშირებით. მეორეს მხრივ, ეს კიდევ ერთი მაგალითია ეკონომიკური მაჩვენებლის არასწორი ინტერპრეტაციისა – არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ მნიშვნელოვანია არა სახელმწიფო ვალის აბსოლუტური მნიშვნელობა, არამედ მისი ფარდობა ქვეყნის მშპ-სთან – სწორედ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (მისი ზრდის ტემპსა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობასთან ერთად) განსაზღვრავს, თუ რამდენად მაღალია ქვეყნის სახელმწიფო ვალი და რამდენად უსაფრთხოა ამ ვალის გაზრდა. ამ ეტაპზე საერთაშორისო სტანდარტად მიღებულია სახელმწიფო ვალის მშპ-სთან შეფარდების 60 პროცენტის ტოლიზღვარი (ეს ზღვარიც არ წარმოადგენს განსაკუთრებით დიდ საშიშროებას, რასაც მრავალი წარმატებული ქვეყნის მაგალითი გვაჩვენებს, რომელთა სახელმწიფო ვალის ფარდობა მშპ-სთან ამ ზღვარს საკმაოდ სცილდება (მაგალითად იაპონიისთვის ეს მაჩვენებელი 134.3 პროცენტია, აშშ-სთვის – 87.9 პროცენტი, დიდი ბრიტანეთისთვის – 82.8 პროცენტი).

ცხადია, რომ ქვეყანაში ბოლო წლებში ეკონომიკური განათლება გაიზარდა. თუმცა, ჩვენ მიერ ზემოთ მოცემული მაგალითები ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ მრავალი „თეთრი ლაქა“ არსებობს. ხოლო იმისათვის, რომ პრესასა და ტელევიზიაში ეკონომიკურ თემებზე დიალოგის წარმართვის და დებატის ხარისხისა და დონის აწევის შესაძლებლობა გაჩნდეს, აუცილებელია ყველამ იცოდეს „თამაშის წესები“.



შინაარსი

| | |
|--|----|
| ოთარ ნადარაია, ოთარ გორგოძე დავით უტიაშვილი, ნინო შარუმაშვილი ეკონომიკური ზრდა და სტრუქტურული ტრანსფორმაცია | 7 |
| დავით პავუაშვილი ბიზნეს უწყვეტობის ეფექტიანი მართვა | 23 |
| ლაშა გზირიშვილი ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობა და ფინანსური განათლების მნიშვნელობა მომხმარებელთა უფლებების დაცვისთვის..... | 41 |
| შალვა მხატრიშვილი განჭვრეტილი და განუჭვრეტილი მონეტარული პოლიტიკა DSGE მოდელში ჩრდილოვანი საბანკო სისტემით | 59 |
| მსოფლიო ეკონომიკის მოზაიკა | 83 |
| ინფორმაცია ავტორებისთვის | 89 |



ოთარ ნადარაია¹

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე პრეზიდენტი

ოთარ გორგოძე

საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალიზირებული ჯგუფებისა და საგეგმავლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი

დავით უბიაშვილი

ამავ დეპარტამენტის ფინანსური რისკებისა და მაკროეკონომიკური პოლიტიკის განყოფილების უფროსი

ნინო შარუშაშვილი

ამავ დეპარტამენტის კორპორაციული მართვისა და საგეგმავლო პოლიტიკის განყოფილების უფროსი

ეკონომიკური ზრდა და სტრუქტურული ტრანსფორმაცია

შესავალი

მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს წარმატების ძირითად საფუძველს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა წარმოადგენს. თუმცა, აღნიშნულს ქვეყანათა მცირე ჩამონათვალი თუ ახერხებს. წინამდებარე სტატიის მიზანია, მოკლედ განხილულ იქნას სწრაფად მზარდი ქვეყნების გა-

მოცდილება შესაძლო საერთო თავისებურებების გამოვლენის მიზნით, ასევე, ეკონომიკის ზრდის დაჩქარებისათვის საჭირო ქმედებების თეორიული არგუმენტები და გამოვლენილი მიდგომების საქართველოში გამოყენების მიზანშეწონილობა.

სწრაფი ეკონომიკური ზრდა – ემპირიული მიმოხილვა

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქვეყნების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სწრაფად მზარდ ქვეყნებს უმეტესად აზიის სახელმწიფოები მიეკუთვნებიან. მაგალითად: სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაილანდი, იაპონია, ჩინეთი,


ინდონეზია (International Monetary Fund, 2013). საყურადღებოა, თუ რა საერთო მახასიათებლები ჰქონდა ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას (იხ. დიაგრამა 1).

1. ავტორები განსაკუთრებულ მადლობას უხდებიან ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ბატონ გიორგი ქადაგიძეს, წინამდებარე სტატიის იდეის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.



დიაგრამა №1.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური საშუალო პროცენტული წლიური ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე 1961-2010 წლებში




წყარო: მსოფლიო ბანკი, 2013. <<http://databank.worldbank.org/data/home.aspx>>

ზემოთ ჩამოთვლილი სწრაფად მზარდი ქვეყნების მთავარი საერთო თავისებურება წარმოების დივერსიფიკაციის მაღალი მაჩვენებელია. იან იმბსისა და რომან ვოზიარის (Imbs & Wacziar, 2003) კვლევის

მიხედვით, სწრაფად მზარდ ქვეყნებს ახასიათებს შებრუნებული ლათინური “U“-ს ფორმის სექტორული კონცენტრაციის ტენდენცია (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა №2.

სწრაფად მზარდი ქვეყნების სექტორული კონცენტრაციის ტენდენცია



წყარო: Imbs, J & Wacziar R 2003, Stages of Diversification.

განვითარების საწყის ეტაპებზე ეკონომიკა დარგების მხოლოდ მცირე ჩამონათვალთ შემოიფარგლება. პროცესში კი დივერსიფიკაცია იზრდება და შემდგომ კვლავ მცირდება, რაც კონკურენტული უპირატესობის გამოვლენის მიზნით ახალი დარგების მოსინჯვის შედეგია. კონკურენტული დარგების აღმოჩენის შემდეგ ქვეყნები კვლავ სპეციალიზდებიან.²

საინტერესოა, თუ რა უწყობს ხელს მსგავს დივერსიფიკაციას. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილია ზემოხსენებული სწრაფად მზარდი ქვეყნების ბოლო წლების ყველაზე მსხვილი საექსპორტო კატეგორიების განხილვა. პრაქტი-

2. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამხრეთ კორეას რომ არ აერჩია დივერსიფიკირების გზა და ტრადიციულ კონკურენტულ უპირატესობას გაჰყოლოდა, დღეს ის კვლავ ბრინჯის მწარმოებელი ქვეყანა იქნებოდა და არა მსოფლიო ლიდერი ავტომობილებისა და ე.წ. „სმარტფონების“ წარმოებაში.

კულად ყველა ასეთი სექტორი არატრადიციულია. მათი განვითარების შესწავლა აჩვენებს, რომ თითქმის ყველა ამ მიმართულების აღმოჩენა და ზრდა დიდწილად განაპირობა სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართულმა წახალისების პოლიტიკამ. ნიშანდობლივია, რომ აზიის აღნიშნული ქვეყნების საექსპორტო პროდუქტების კომპოზიცია ისტორიულად მაღალი დინამიკურობით ხასიათ-

დებოდა. კერძოდ, თუ სადღეისოდ ეკონომიკის სტრუქტურაში მანქანათმშენებლობა და სამომხმარებლო ელექტროტექნიკა ჭარბობს, 1960-1980-იან წლებში ძირითადად მძიმე და მსუბუქი მრეწველობის მრავალფეროვანი პროდუქტები ლიდერობდა, რადგან სწორედ ეს დარგები წარმოადგენდა სახელმწიფოების მიერ იმ დროისთვის შერჩეულ პრიორიტეტებს (Agosin, 2003).

ცხრილი №1.

სწრაფად მზარდი ქვეყნების წამყვანი საექსპორტო პროდუქტები (ბუნებრივი რესურსების გარდა)

| ჩინეთი | ელ. ტექნიკა | ტექსტილი | ავეჯი | ავტომობ./ ნაწილები | გემები |
|---------------|--------------------|-------------------|---------------------|--------------------|-------------------|
| სინგაპური | ნახევარგამტარები | ნავთობ-პროდუქტები | კომპ. ტექნიკა | ქიმიკატები | მექან. ნაწილები |
| ინდონეზია | მიკროსქემები | ელ. ტექნიკა | ნახევარგამტარები | მეტალ. პროდუქტები | ავეჯი |
| მალიზია | მცენ. ზეთები | ელ. ტექნიკა | საბეჭდი საშუალებები | ტექსტილი | ავტომობილები |
| სამხრეთ კორეა | ელ. ტექნიკა | ავტომობილები | გემები | მეტალ. პროდუქტები | ნავთობ-პროდუქტები |
| იაპონია | ავტომობილები | ელ. ტექნიკა | მეტალ. პროდუქტები | გემები | ქიმიკატები |
| ვიეტნამი | ტექსტილი | ელ. ტექნიკა | ავეჯი | ხილი / მარცვლეული | ხორცპროდუქტები |
| ტაილანდი | ავტომობ./ ნაწილები | კომპ. ტექნიკა | ნავთობ-პროდუქტები | მეტალ. პროდუქტები | ხილი / მარცვლეული |
| ირლანდია | ორგანულიქიმიკატები | მედიკამენტები | სამედიცინო ტექნიკა | პარფუმერია | კომპ. ტექნიკა |
| პორტუგალია | ავტომობ./ ნაწილები | ნავთობ-პროდუქტები | ელ. ტექნიკა | მეტალ. პროდუქტები | ტექსტილი |

წყარო: საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი, 2012

ცხრილში მითითებული სექტორების განვითარებას **სინგაპურში** საფუძვლად ედო აქტიური სახელმწიფო მხარდაჭერა. მიუხედავად ბუნებრივი რესურსების სიმწირისა, ქვეყნის ეკონომიკა წარმატებული აღმოჩნდა ძალიან ბევრი დარგის განვითარებაში. სწორედ ამიტომ, სინგაპური ინდუსტრიული პოლიტიკისა და კერძო-საჯარო პარტნიორობის კლასიკურ სანიმუშო ქვეყნად არის მიჩნეული. აქ სახელმწიფო, შედავათის საშუალებით, აქტიურ როლს ასრულებდა მოქალაქეებისა და ინვესტორების სტიმულირებაში. დასახული ეკონომიკური ამოცანების მიღწევისათვის მთავრობა ქმნიდა შესაბამის სააგენტოებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დარგის განვითარების წახალისებაში. სახელმწიფო დღესაც ახდენს გავლენას კერძო სექტორზე სახელმწიფო

საინვესტიციო კომპანიის – „ტემასეკის“ საშუალებით. ის თანაინვესტირების გზით შედის დამწყებ ბიზნესებში და ყიდის თავის წილს მას შემდეგ, რაც ბიზნესი წარმატებული გახდება და კერძო სექტორი ინტერესდება დამოუკიდებელი მფლობელობით. სახელმწიფომ ასევე აქტიური როლი შეასრულა, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებაში. განვითარების უფრო მაღალ სტადიაზე, როდესაც ქვეყანა გადავიდა ეკონომიკის უფრო გრძელვადიან დაგეგმვაზე, მაღალტექნოლოგიურ ინოვაციებთან დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობების განვითარებას წინ უსწრებდა კადრების შესაბამისი გადამზადება. აღნიშნულ პერიოდში ინვესტიციებისათვის სახსრების მოძიების მიზნით სახელმწიფომ შექმნა სავალდებულო სავენსიო სისტემა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყანაში



ინვესტიციების ზრდას. სინგაპური დღესაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის დაზოგვითა და ინვესტიციებით გამოირჩევა.

სახელმწიფო ინტერვენციების წარმატების მაგალითს წარმოადგენს ასევე **სამხრეთ კორეა**. აღსანიშნავია, რომ კორეამ ინდუსტრიული პოლიტიკის დაფინანსებისათვის აირჩია არა მხოლოდ შიდა დანაზოგების ზრდის პოლიტიკა, არამედ, ასევე, აქტიურად მოიზიდა უცხოური სახსრები. სახელმწიფო ხელს უწყობდა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარებას ისეთი მექანიზმებით, როგორებიცაა: შეღავათიანი სესხები, სტრატეგიული დარგების პროტექცია, ბაზარზე შესვლის რეგულირება, საგადასახადო შეღავათები და სხვ. სამხრეთ კორეაში ინდუსტრიული პოლიტიკის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მეტალურგიის განვითარება. სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადმა კომპანიამ (Rodrik, 2007), რომელიც საწყის ეტაპზე წარუმატებელი იყო, ჩაანაცვლა იმპორტი და შემდგომ ეტაპებზე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულიც კი გახდა მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნული „ჩვილი დარგის“ მხარდაჭერის არგუმენტის თვალსაჩინო დემოსტრირებად ითვლება.

იაპონიის განვითარებაშიც დიდი როლი სახელმწიფო ინდუსტრიულ პოლიტიკას უჭირავს. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მთავრობამ დაიწყო ე.წ. „პილოტური ქარხნების“ შექმნა სხვადასხვა სექტორში, რომელთა პრივატიზაცია მოგვიანებით საკმაოდ დაბალ ფასებში განხორციელდა. ქვეყანაში სხვადასხვა სამეწარმეო საქმიანობების მხარდაჭერა პირდაპირი სუბსიდიების, საგადასახადო შეღავათების, იმპორტის შეზღუდვებით, სუბსიდირებული კრედიტების, რიგ შემთხვევებში, კარტელებისა და მონოპოლიების წახალისებით განხორციელდა. სახელმწიფო, მის მიერ შემუშავებული გეგმების ფარგლებში, მნიშვნელოვან სიგნალებს უგზავნიდა ბაზარს და ხშირად ასეთი გზავნილები ავტომატურად აგვარებდა „ბაზრის ფიასკოს“ პრობლემას.

ინდუსტრიული პოლიტიკის გააქტიურებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1950-იანი წლებიდან **ირლანდიის** ეკონომიკის ზრდის დაჩქარებასაც (Frances & Holger, 2003). თავდაპირველად, აქცენტი გაკეთდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე.

მოგვიანებით, 1970-იანი წლებიდან დაიწყო სექტორული შერჩევა. ინდუსტრიული განვითარების სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა ფარმაცევტიკისა და ელექტრომომწიფობილობების მიმართულებები, როგორც მაღალი ზრდის პოტენციალის დარგები. დაისახა მთავარი საექსპორტო ბაზარიც – აშშ, და, შესაბამისად, ამ ქვეყანაში განხორციელდა ღონისძიებები ინვესტორების დაინტერესებისთვის. კომპანიებს შესთავაზეს წახალისების რიგი მექანიზმები. მათ შორის, საწარმოო დანადგარების ხარჯის 50 პროცენტის გრანტის სახით დაფინანსება. მალევე შეიქმნა კლასტერები და განვითარდა სხვა მონათესავე სექტორები – პარფიუმერიის, ქიმიური და სამედიცინო ტექნიკის წარმოება. 20 წელიწადში აღნიშნული პროდუქტები ირლანდიის ძირითადი საექსპორტო საქონელი გახდა.

დინამიკურობით ხასიათდებოდა **მალაიზიის** ინდუსტრიული პოლიტიკა (Lee, 2005). საწყის ეტაპზე, კერძოდ, 1950-იან წლებში ქვეყნის ძირითად მიზანს იმპორტის ჩანაცვლება წარმოადგენდა და სექტორების ხელშეწყობის პოლიტიკის გასატარებლად შესაბამისი ინსტრუმენტები (სადაგადასახადო, სატარიფო) გამოიყენებოდა. მხოლოდ ადგილობრივ და არა საექსპორტო ბაზარზე კონცენტრირების გამო, აღნიშნულმა მიდგომამ ვერ გაამართლა – კომპანიების მოტივაცია და ეფექტიანობა შემცირდა. მოგვიანებით აქცენტი სწორედ ექსპორტის წახალისებაზე გაკეთდა. შეირჩა სექტორები, უმეტესად სამრეწველო დარგები, რომლებიც ადგილობრივ რესურსებს ინტენსიურად მოიხმარდა. სახელმწიფო უშუალოდ მონაწილეობდა კომპანიების დაფინანსებაში. იმპორტი წარმატებით ჩანაცვლდა, გაიზარდა ექსპორტი. თუმცა, ზედმეტად ოპტიმისტურად შეფასდა არსებული ადამიანური რესურსებისა თუ სხვა შესაძლებლობები. შედეგად, რიგი ქვესექტორები ზარალიანი გახდა. 1980-იანი წლების ბოლოს ეს პოლიტიკა გადაიხედა და დაიგეგმა კონცენტრირება თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და ელექტროტექნიკის ინდუსტრიების კლასტერის შექმნაზე. მთავრობის როლიც უფრო მეტად შესაბამისი კვლევითი მიმართულებების წახალისებასა და ადამიანურ რესურსებში ინვესტირებაში გამოიხატა. ხშირი წარუმატებლობის მიუხედავად, შერჩევის ამ გრძელმა პროცესმა შედეგი

გამოიღო და გამოვლენილი კონკურენტუნარიანი პროდუქტების დიდი ნაწილი დღეს მალაიზიის ძირითად საექსპორტო შემოსავალს ქმნის.

წარმატების მრავალი მაგალითი არსებობს მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც. ამ მაგალითებს მიეკუთვნება: ორაგულის ინდუსტრია ჩილეში (Ago-sin, Larrain & Grau, 2010), საავიაციო მრეწველობა ბრაზილიაში³, „სილიკონ-ველის“ ინდუსტრიული ცენტრი აშშ-ში და სხვ.


კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად ინდუსტრიული პოლიტიკის მნიშვნელობას ადასტურებს მაკინზის გლობალური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევა (McKinsey, 2010). ტრადიციული აგრეგირებული ეკონომიკური ანალიზი ხშირად ყურადღების მიღმა ტოვებს იმ ბარიერებს, რომლებიც კონკურენტუნარიანობის ამალღებას

აფერხებს. ამიტომაც, მაკინზი მიკრო მაგალითების შესწავლის საფუძველზე ახორციელებს პოლიტიკის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზს და სხვადასხვა ქვეყნისა თუ სექტორის მაგალითზე საერთო ტენდენციებს გამოყოფს.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია იმ ემპირიული ფაქტის გამოვლენა, რომ სხვადასხვა სექტორის წარმატებისათვის სხვადასხვაგვარი ეკონომიკური პოლიტიკაა საჭირო. ეკონომიკური პოლიტიკისადმი შედარებით ერთგვაროვანი სექტორების გამოსავლენად მაკინზი შემდეგი ორი ძირითადი კრიტერიუმის გათვალისწინებას გვთავაზობს: სექტორის საგარეო ვაჭრობაში მონაწილეობა და პროდუქტების მრავალფეროვნება. აღნიშნული დაყოფის მაგალითი მესამე დიაგრამაზე მოცემული.

დიაგრამა №3.

მაკინზის გლობალური ინსტიტუტის მიერ სექტორების განაწილება დიფერენციაციის ხარისხისა და ვაჭრობადობის მიხედვით:



წყარო: მაკინზის გლობალური ინსტიტუტი, 2010.

3. Embraer მთავრობის მიერ 1969-94 წლებში ფლობილი საავიაციო კონგლომერატი, ყველაზე მსხვილი Boieng და Airbus-ის შემდეგ.



მაგალითად, ადგილობრივი მომსახურების სექტორში წარმატებულია „Laissez-Faire“ სახის ეკონომიკური პოლიტიკის გატარება მაშინ, როდესაც რესურსებში ინტენსიურ დარგებში ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებას მთავრობის მაღალი ხარისხით ჩართულობა განაპირობებს.

მაკინზის დასკვნით, სწორი ინდუსტრიული პოლიტიკის შერჩევა მთავარი გადამწყვეტი ფაქტორია,

რაც სექტორის პროდუქტიულობასა და კონკურენტუნარიანობას განაპირობებს.

ამრიგად, ემპირიული მიმოხილვა ცხადყოფს, რომ სწრაფად მზარდი ეკონომიკების საერთო მახასიათებელი აქტიური სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით ეკონომიკის დივერსიფიცირების ხელშეწყობაა. საყურადღებოა, აღნიშნულის თეორიული არგუმენტებით ახსნა.

სწრაფი ეკონომიკური ზრდა – თეორიული არგუმენტები

როდრიკის (Rodrik, 2013) მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ორ საფუძველს შეიძლება დაეყრდნოს (თუგამოვრიცხავთ ბუნებრივ რესურსებს). პირველი – ფუნდამენტური შესაძლებლობების ჯამური აკუმულირებაა. ასეთ დროს ვითარდება ადამიანური და ფიზიკური კაპიტალი, ასევე, ინსტიტუტები და ინფრასტრუქტურა. ყოველივე ეს ნელი და ხარჯიანი პროცესია. სხვადასხვა ფაქტორი ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული და მათი სრული გამოვლენა მაშინ ხდება, როდესაც ისინი უკვე საკმარისად დაგროვდება. მეორე საფუძველს სტრუქტურული ტრანსფორმაცია წარმოადგენს, რომლის დროსაც ახალი მაღალპროდუქტიული დარგების შექმნა და სამუშაო ძალის დაბალპროდუქტიულიდან მაღალპროდუქტიულ აქტივობაში გადაყვანა ხდება (Romer)⁴. აღნიშნული შედეგებით სწრაფი პროცესია და ყველა ე.წ. „ეკონომიკური სასწაული“ სტრუქტურული ტრანსფორმაციის შედეგია, როდესაც ზრდა დაბალი ფუნდამენტური შესაძლებლობების პირობებში ხდება. თუ ეკონომიკური ზრდის პირველ საფუძველს საკმაოდ ფართო და ყოვლისმომცველი ინვესტირება სჭირდება, სტრუქტურული ტრანსფორმაციის შემთხვევაში საჭიროა უფრო მცირე, მაგრამ მიზნობრივი ინვესტიციები (მაგალითად, ევროპულ

კომპანიასთან კონკურენციის გასაწევად არ არის აუცილებელი ისეთივე ჯამური ინსტიტუციური ხარისხი).

სტრუქტურული ტრანსფორმაცია იმ ფუნდამენტური ფაქტორების სისუსტის კომპენსაციას ახდენს, რაც განვითარებადი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. ეკონომიკის განვითარებასთან ერთად განსხვავება აღნიშნულ ორ გზას შორის ქრება და ეკონომიკური ზრდისთვის ფუნდამენტური ფაქტორი ხდება განმსაზღვრელი. საბოლოოდ, ეკონომიკური განვითარების მაღალ ეტაპზე, თუ ფუნდამენტური ფაქტორების აკუმულირება არ მოხდა, მხოლოდ სტრუქტურული ტრანსფორმაციით ზრდა ვეღარ მიიღწევა.

თავის მხრივ, ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის მიღწევაში სახელმწიფოს ჩარევის წინაპირობა „ბაზრის ჩავარდნის“ არსებობაა. როდრიკის (Rodrik, 2004) თანახმად, ინტერვენციის არგუმენტები პირობითად შემდეგ ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ:

- ხარჯების სტრუქტურის იდენტიფიკაციის პრობლემა თავისუფალი ბაზრის მიერ;
- კოორდინაციის პრობლემის გადაჭრა, რასაც ასევე, როგორც წესი, ვერ ახერხებს თავისუფალი ბაზარი.

4. პაულ რომერს, რომელმაც ენდოგენური ეკონომიკური ზრდის მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი, ეკონომიკური ზრდის ამ ფუნდამენტალური პრინციპის პოპულარულ ენაზე საილუსტრაციოდ დიასახლისის მაგალითი მოჰყავს, რომელსაც სადილის ხარისხის მუდმივად გასაზრდელად ერთი კერძის დასახვეწად ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება (მუდმივად უნდა ზარდოს პროფესიონალიზმი, სამზარეულოს აღჭურვილობაზე დანახარჯები და შეიძინოს უკეთესი ხარისხის, უფრო ძვირი პროდუქტები), მაშინ, როდესაც გაცილებით იოლია სხვა კერძის მომზადება და მრავალფეროვნების ხარჯზე სადილის ხარისხის გაზრდა.

ხარჯების სტრუქტურის იდენტიფიკაცია

ხარჯების სტრუქტურის განუსაზღვრელობა ინოვაციურ აქტივობაში ინვესტირებისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია იმის დაზუსტება, რომ ინოვაციურ საქმიანობაში აქ და შემდგომ, არ იგულისხმება ინოვაცია მსოფლიო მასშტაბით. ინოვაციად მოიხსენიება ნებისმიერი საქმიანობის დაწყება, რაშიც ქვეყანას გამოცდილება არ აქვს. თუ ქვეყანაში არ არსებობს ღილების წარმოება, თუნდაც მისი წამოწყება ამ სტატიის მიზნებისათვის ინოვაციად მიიჩნევა.

ხშირ შემთხვევაში, ახალი/ინოვაციური ბიზნეს-აქტივობის წამოწყება ხარჯების სტრუქტურის იდენტიფიკაციაზე გაწეულ სოლიდურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ამასთან, მეწარმეთათვის განუსაზღვრელია ახალი დარგების ძიების პროცესში განხორციელებული ექსპერიმენტების შედეგები. ისინი შესაძლოა წარუმატებლად დასრულდეს, რაც მეწარმის მიერ უშედეგოდ გაწეულ ხარჯებზე მეტყველებს, ასევე წარმატებით, საიდანაც სარგებლის მიღება პოტენციურად, არამართო ექსპერიმენტის წამომწყებს, არამედ სხვა პირებსაც შეუძლიათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეწარმეები ვარაუდობენ, რომ მიიღებენ „მცირე მოგებას“ ან „დიდ ზარალს“. შედეგად, ხარჯების სტრუქტურის წინასწარი

განუსაზღვრელობა იწვევს მეწარმეების მიდრეკილებას განახორციელონ ინვესტიციები ტრადიციულ დარგებში და მათ ექსპერიმენტების ჩატარების მოტივაციას უკარგავს. ასეთ შემთხვევაში მათ „დიდი ზარალის“ მიღების სცენარის გამორიცხვის შესაძლებლობა მაინც ეძლევათ. ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაციასთან დაკავშირებული რისკების სრულად საკუთარ თავზე აღების ეკონომიკური საფუძველი კერძო სექტორს, როგორც წესი, არ აქვს, რადგან ხარჯი არის კერძო და სარგებელი – საჯარო. განვითარებულ ქვეყნებში ეს პრობლემა დაპატენტების გამართული სისტემის მეშვეობით მნიშვნელოვანწილად გვარდება. განვითარებად ქვეყნებში საპატენტო სისტემა არ მუშაობს ან გამოყენებას აზრი არ აქვს, რადგან ბევრი „ახალი“ ტექნოლოგია მცირე მოდიფიკაციებით სხვა ქვეყნებიდან „გადმოღებული“ ტექნოლოგიაა. ინდუსტრიულმა პოლიტიკამ განვითარებად ქვეყნებში უნდა წაახალისოს ტექნოლოგიის პირველი „იმიტატორი“. მაგალითად, სინგაპურში კომპანიებს ენიჭებათ „პიონერისა“ და „პოსტ-პიონერის“ სტატუსი, რაც სხვადასხვა შეღავათს გულისხმობს. მათ შორის დროებითი, პატენტის პრინციპის მსგავსი, მონოპოლიური სტატუსის მინიჭებას.

კოორდინაციის პრობლემის აღმოფხვრა

მეორე არგუმენტი სახელმწიფო ინტერვენციის სასარგებლოდ კოორდინაციის პრობლემის აღმოფხვრაში მდგომარეობს. ხშირ შემთხვევაში, სამეწარმეო ინიციატივის განხორციელება აქტივობაში სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული პირობის უზრუნველყოფაზე დამოკიდებული. მხარეების მიერ ერთმანეთის მოძიებისა და დიალოგის გამართვის განუხორციელებლობა კი, როგორც წესი, აღნიშნულ სამეწარმეო ინიციატივას რეალიზების გარეშე ტოვებს. ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია სხვადასხვა მეწარმის საინვესტიციო გადაწყვეტილებების კოორდინირება. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის მიერ

კოორდინირების პრობლემის გადაჭრა ხშირად არ საჭიროებს სუბსიდირებასა და ბიუჯეტისათვის ნაკლებად ხარჯიანია. მიუხედავად ამისა, რიგი ინიციატივები, შესაძლოა, საჭიროებდეს გარკვეულ სამთავრობო გარანტიებს. ასეთი შეიძლება იყოს ჩადებული ინვესტიციების ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ დაკავშირებული ინვესტიცია არ განხორციელდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთავრობის მხარდაჭერა იმ დარგებისათვის, რომლებიც მასშტაბის ან აგლომერაციის (კლასტერი) ეფექტით ხასიათდება.

კოორდინაციის პრობლემის აღმოფხვრისათვის მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ, საკუთარი



ანალიზისა და კერძო სექტორთან კომუნიკაციის შედეგად, მოიძიოს ინფორმაცია იმ საინვესტიციო პროექტების შესახებ, რომლებიც განხორციელებიან სახელმწიფო ინვესტირებას საჭიროებს. შედეგად, სახელმწიფომ შესაძლებელია გამოავლინოს ერთი დიდი პროექტის შემადგენელ ქვეპროექტებში ინვესტირებით დაინტერესებული ყველა მხარე, რაც

მომგებიანი სამეწარმეო პოტენციალის რეალიზებას უზრუნველყოფს. ამასთან, ასევე შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ გარკვეულ აქტივობაში თავად მოახდინოს ინვესტირება. კოორდინაციის პრობლემის საილუსტრაციო მაგალითად გამართული აგრო-სამრეწველო კომპლექსის წარმოების სრული ჯაჭვი და ტურიზმის სექტორი გამოდგება.

კოორდინაციისა და ინფორმაციის პრობლემების ეფექტიანი გადაჭრის წინაპირობები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა სწრაფად მზარდი ეკონომიკა ახორციელებს ინდუსტრიულ პოლიტიკას. თუმცა, აღნიშნული ავტომატურად არ გულისხმობს, რომ ყველა ქვეყანა, რომელიც ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელებას შეეცდება, სწრაფი ზრდის ტემპებს მიაღწევს. როდრიკი (2004) მიმოიხილავს სხვადასხვა მნიშვნელოვან პრინციპს, რომლებსაც უნდა ეყრდნობოდეს წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკა.

ინდუსტრიული პოლიტიკის თითოეული პრიორიტეტის შერჩევა/განხორციელებისას მნიშვნელოვანია მისი შემდეგ პრინციპებთან შესაბამისობის მუდმივი ანალიზი:

- **მხოლოდ ახალი პროდუქტების მხარდაჭერა** – როგორც ზემოთ აღინიშნა, „ახალი“ ნიშნავს, როგორც ახალ პროდუქტს, ასევე ძველი პროდუქტის ახალი ტექნოლოგიით გამოშვებას;
- **პროექტის წარმატების/წარუმატებლობის მკაფიო საზომის არსებობა** – მაგალითად, კომპანიის მიერ პროდუქტის გარკვეული რაოდენობის ექსპორტზე გატანა;
- **გამოსვლის პირობა** – თითოეული პროექტიდან გამოსვლის წინასწარ განსაზღვრული პირობა;
- **მხარდაჭერა უნდა მიიმართოს კონკრეტულ აქტივობაზე და არა მთლიანად სექტორზე** – მაგალითად, მთლიანად ტურიზმის სუბსიდირების მაგივრად, ტურიზმის განვითარებისთვის ხელის შემშლელ ფაქტორებზე (ენის სწავლება, სასტუმროების დაჯავშნის სერვერი) ყურადღების გამახვილება;

- **აქტივობებს უნდა ჰქონდეთ დადებითი ექსტრანალურობის პოტენციალი** – დამხმარე ინვესტიციებისათვის ხელის შეწყობა;
- **პოლიტიკის აღსრულებაზე პასუხისმგებელ საჯარო სააგენტოს უნდა გააჩნდეს საკმარისი კომპეტენცია** – საწყის ეტაპზე, ახალი სააგენტოს შექმნას შეიძლება ჯობდეს ისეთი სტრუქტურულიდან დაწყება, რომელსაც შედარებით მაღალი დონის ბიუროკრატისა და მაღალი კვალიფიკაციის ხარისხი გააჩნია;
- **ინდუსტრიული პოლიტიკის აღმასრულებელი სააგენტოები უნდა ხვდებოდნენ უმაღლესი პოლიტიკური დონის დეტალური მონიტორინგის ქვეშ;**
- **აღმასრულებელ სააგენტოებს უნდა გააჩნდეთ ბიზნესთან კომუნიკაციის მკაფიო არხები;**
- **წარუმატებლობის გარკვეული დონე აუცილებელია** – აქცენტი არ უნდა გაკეთდეს წარუმატებლობის ალბათობის მინიმუმამდე დაყვანაზე. მცირე შეცდომები ინდუსტრიული პოლიტიკის არასაკმარის ინტენსიურობაზე მიუთითებს. შესაბამისად, მიკრო დონეზე ყველა ცალკე აღებული პროექტი ვერ იქნება მომგებიანი. თუ სამიზნე მხოლოდ მომგებიანი პროექტებია, მაშინ რატომ არ ახორციელებს იგივეს კერძო სექტორი? თუ არც ძალიან მსხვილ პროექტებთან გვაქვს საქმე (თანადაფინანსების ჩათვლით) და არც კოორდინაციის პრობლემასთან, მაშინ გამოდის, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა კერძო სექტორს კონკურენციას უქმნის. სინგაპურის ვაჭრობისა

და მრეწველობის მინისტრ რავი მენონის აზრით, „ბევრი ეკონომისტი სკეპტიკურად უყურებს მთავრობის შესაძლებლობებს შეარჩიოს „გამარჯვებული“, და სამართლიანადაც. ის რაც განასხვავებს კარგ ინდუსტრიულ პოლიტიკას არის არა წარმატებულის შერჩევა, არამედ, წარმატებელზე დროულად უარის თქმის სიმამაცე“ (Menon, 2010).

- **მხარდაჭერის ხერხები უნდა იყოს განახლებადი დამოქნილი** – განვითარების სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა ინსტრუმენტი და ინდუსტრიული სააგენტოს სხვადასხვა სახის მოწყობა შეიძლება დასტირდეს.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული წინაპირობების დაკმაყოფილება, თავის მხრივ, მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე, დაბალ კორუფციაზე, ეფექტიან ბიუროკრატიაზე და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობაზე დამოკიდებული. არსებობს წარუმატებელი სახელმწიფო ჩარევის უამრავი მაგალითი, როგორც ჯამურად ქვეყნების დონეზე, ასევე ზემოთ განხილული წარმატებული ქვეყნების შემთხვევებშიც. როგორც მენონი მიუთითებს, მიუხედავად კეთილშობილური მიზნებისა, ბევრ ქვეყანაში ინდუსტრიული პოლიტიკა პირადი გამორჩენისა და კორუფციის წყაროდ გადაგვარდა (Menon, 2010).

ეკონომიკური ზრდა და სტრუქტურული ტრანსფორმაცია საქართველოს მაგალითზე

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ეკონომიკის საკმაოდ მაღალი, საშუალო წლიური 6,9 პროცენტის ზრდის ტემპი ფიქსირდებოდა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი განხორციელებულმა პირველი თაობის რეფორმებმა შეასრულა. ამასთან, საყურადღებოა, რომ ქვეყანაში დაბალი ტემპებით ხდებოდა წარმოების ფაქტორების აკუმულირება. საკუთრივ, დასახელებულ პერიოდში ინვესტიციების მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტთან საშუალოდ 25 პროცენტი იყო, მაშინ, როდესაც ზემოგანხილულ სწრაფად მზარდ ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი საშუალოდ 40 პროცენტს შეადგენდა. ამასთან, პრაქტიკულად არ ხდებოდა ადამიანური კაპიტალის გამოყენების ზრდა. შედეგად, ეკონომიკის მატების დიდი ნაწილი პროდუქტიულობის ზრდაზე მოდიოდა. მსოფლიო ბანკის მიხედვით, პროდუქტიულობის ასეთ მაღალ, საშუალოდ 4.8 პროცენტის ზრდის ტემპს ე.წ. „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის ფაქტორი“ განაპირობებდა (World Bank, 2013). საკუთრივ,

აღნიშნული უკვე არსებული, 1990-იან წლებში, ეკონომიკის კატასტროფული დაცემის შედეგად გამოუყენებადი საწარმოო სიმძლავრეების ეტაპობრივ დატვირთვასა და მათ შედარებით უფრო ეფექტიან გამოყენებაში გამოისახებოდა⁵. ასეთი სახის რესტრუქტურისაც ვგვლა ყოფილ სოციალისტურ რესპუბლიკაში მოხდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი 90-იან წლებშივე დასრულდა. დიდი ალბათობით, საქართველოში ეს პროცესი ჯერაც არ დასრულებულა, რაც ახალი სამუშაო ადგილების შედარებით ნაკლები დანახარჯების შექმნის მხრივ, შესაძლოა, ეფექტიანი გზა იყოს. ამასთან, რა რესურსიც არ უნდა იყოს დარჩენილი ამ მიმართულებით, თავისთავად იგი მაინც ამოწურვადია. შესაბამისად, ადრე თუ გვიან, უნდა შევეგუოთ საქართველოს მსგავსი ეკონომიკისათვის დამახასიათებელ პროდუქტიულობის მატების დაახლოებით 2–3 პროცენტის წლიურ ზრდის ტემპს, რაც ეკონომიკის 7 პროცენტის ზრდის მისაღწევად, ინვესტიციების მთლიან შიდა პროდუქტთან ოდენობის

5. მაგალითად, განვიხილოთ წყალტუბოში ფუნქციონირებადი სათბური, რომელიც სოციალისტური წყობის დროს დიზელის საწვავზე ფუნქციონირებდა და სადღეისოდ, ენერჯის წყაროდ თხილის ნაჭუჭს იყენებს. ბუნებრივია, უკვე არსებული ძირითადი ინფრასტრუქტურისა და ადამიანური კაპიტალის გათვალისწინებით, სათბურის ფუნქციონირების ხელახალი დაწყება გაცილებით ნაკლებ საინვესტიციო დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ინფრასტრუქტურა და ადამიანური კაპიტალი მთლიანად ახალი ინვესტიციით უნდა შექმნილიყო. ანალოგიურ მაგალითებად გამოდგება კვებისა და სასმელების წარმოება, სამშენებლო საქმიანობა და სხვა.




დაახლოებით 40 პროცენტამდე გაზრდას მოითხოვს. ეს კი, ინვესტიციების უმეტესწილად შიდა წყაროებით დაფინანსების შემთხვევაში, მოკლევადიან პერიოდში სამომხმარებლო ხარჯების შემცირებასა და ცხოვრების საშუალო დონის გაუარესებას გამოიწვევს. ასევე საყურადღებოა, რომ საქართველოში სახეზეა კერძო სექტორის მიერ ძირითადად ტრადიციული სექტორებით დაინტერესების პრაქტიკა. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში, არ მომხდარა ახალი ინდუსტრიული მიმართულებების აღმოჩენა და განვითარება. საინვესტიციო ბუმი კვლავ მხოლოდ

ტრადიციულ პოპულარულ სექტორებში გრძელდება, რაც მათ ე.წ. „გადახურებას“ და ინვესტიციების არა-ეფექტიანობას იწვევს. მათ რიცხვს მიეკუთვნება საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონება, ჰიპერმარკეტები, კომერციული ბანკები, სააფთიაქო ქსელი (იხ. დიაგრამა), ავტოგასამართი სადგურები. მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვითაც, ახალი კომპანიები უმეტესად უკვე გაჯერებულ, კონკურენტულ ბაზრებზე ხშირად იგივე პროდუქტებით შედიან (მსოფლიო ბანკი, 2013).

დიაგრამა №4.

აფთიაქების რაოდენობა მოსახლეობის 10,000 სულზე



წყარო: ABDA-Statistik 2012 (რეგისტრირებული აფთიაქების რაოდენობა).


მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განვითარებული საბანკო სექტორი, რომელიც თავისთავად უფრო დამხმარე დარგია, ბუნებრივია, შედარებით დაბალრისკიანი და მოკლევადიანი კაპიტალის მი-

წოდებაში, უკვე „აღმოჩენილი“ დარგების დაკრედიტებაში სპეციალიზდება და ამდენად, ის ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაში წამყვან როლს ვერ შეასრულებს.

6. საშუალო მოსახლის ცხოვრების დონის უკეთეს ამსახველს არა მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, არამედ მოხმარება ერთ სულზე წარმოადგენს. მართლაც, მოცემულ დღეს ის ადამიანი იღებს ყველაზე დიდ სარგებელს, რომელიც იმ დღეს მოიხმარს ყველაზე მეტს („დღევანდელი კვერცი ჯობს ხვალისდელ ქათამს“). თუმცა, დღევანდელი მოხმარების მაქსიმიზაცია შესაძლებელია ხვალისდელი კეთილდღეობის შემაფერხებელი ფაქტორი იყოს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კეთილდღეობის დინამიკური ოპტიმიზაციისათვის, დღევანდელი შემოსავლების ნაწილი ინვესტიციებში ჩაიდოს, რაც წარმოებასა და განკარგვად შემოსავალს გაზრდის. ამ უკანასკნელის ზრდა კი კვლავ მოხმარების ზრდის შესაძლებლობას იძლევა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოხმარება მთლიანი შიდა პროდუქტის დიდ ნაწილს იკავებს, რაც მოსახლეობის კეთილდღეობას შედარებით ზრდის. შედარებისთვის, 2007 წლის მონაცემების მიხედვით, PPP-ით დათვლილი მთლიანი შიდა პროდუქტი სინგაპურში 50,936 \$-ს, ხოლო საქართველოში – 4,676\$-ს წარმოადგენს. ერთ სულზე საშუალო მოხმარება სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა; კერძოდ, სინგაპურში მოხმარება ერთ სულზე საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს მხოლოდ 5-ჯერ აღემატება მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი (PPP) ერთ სულზე ამ ორ ქვეყანას შორის 11-ჯერ განსხვავდება. შესაბამისად, დაზოგვის მხრივ სინგაპურის მსგავს მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაზე რომ გადავიდეთ, საქართველოში მოხმარება მკვეთრად უნდა დაეცეს.

დიაგრამა №5.

ეკონომიკური აქტივობა და ბიზნეს დაკრედიტება (კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ) სექტორების მიხედვით, 2012



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი & საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2012.

საერთაშორისო პრაქტიკით, ზრდის ამ მოდელში, სახელმწიფოს გადამწყვეტი როლის გათვალისწინებით, ასევე სათუთა კაპიტალის ბაზრის გადამწყვეტი როლი მიზნობრივი ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ბაზრისა და დანაზოგების სიმცირე, ასევე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა განვითარების მნიშვნელოვანი დაბრკოლებებია.

მთლიანობაში შეიძლება დავასკვათ, რომ საქართველოს ეკონომიკა უფრო ფუნდამენტალური შესაძლებლობების ჯამური აკუმულირების გზით ვითარდება, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ნელი და ხარჯიანი პროცესია. ეკონომიკის ზრდის სრულ-


ტურული ტრანსფორმაციის მოდელზე გადასასვლელად კი, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ინდუსტრიული პოლიტიკის არსებობა აუცილებელი წინაპირობაა.

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა ეტაპებზე და რა თანამიმდევრობით უნდა განხორციელდეს დასაქმების ზრდასა და პროდუქტიულობის მატებაზე მიმართული ინდუსტრიული პოლიტიკა. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველომ საწყის ეტაპზე აქცენტი ძირითადად არსებული რესურსების მაქსიმალური დატვირთვაზე უნდა გააკეთოს.





დიაგრამა №6.
დასაქმების სტატისტიკა



წყარო: The World Bank & National Statistical Agencies, 2012.

დანართში განხილულია რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი. კერძოდ, პირობითად რა ბაზრის ფიასკოს შეიძლება ჰქონდეს ადგილი საქართველოში და როგორ შეიძლება ამ ჩავარდნების გადაჭრა სახელმწიფოს მხრიდან. აღნიშნულ მაგალითებს

მხოლოდ საილუსტრაციო დატვირთვა აქვს და მათი მოყვანა არ ემსახურება პრიორიტეტების გამოვლენას ან მოცემულ სექტორში პრობლემების სრულფასოვან აღწერას.

ინდუსტრიული პოლიტიკის ინსტიტუციური ორგანიზება

ინდუსტრიული პოლიტიკის წარმატებული განხორციელება საჭიროებს მის ოპტიმალურ ინსტიტუციურ ორგანიზებას. რამდენადაც თვალსაჩინოდ არ უნდა ჩანდეს სახელმწიფო ჩარევის მიზანშეწონილობა, პირველ რიგში, აუცილებელია ინსტიტუციური ჩარჩოს გამართვა. სხვა სიტყვებით, პირველხარისხოვანი პროცესის გამართვაა და არა მიზნები (Rodrik, 2004). მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინსტიტუციური სქემა მაქსიმალურად იცავდეს ბალანსს სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტს შორის (საჯარო სექტორი, კერძო სექტორი, საერთაშორისო ინსტიტუტები). ინიციატივები უნდა მოდიოდეს რო-

გორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის მხრიდან. მართალია, მთავრობას არ შეუძლია მოქმედ კომპანიებზე უკეთესად გათვალისწინოს ბაზრის სამომავლო ტენდენციები, მაგრამ ერთობლივი განხილვა ხშირად ბევრად ეფექტიანია, ვიდრე მხოლოდ კომპანიების მიერ მიკრო დონეზე მოსინჯვებითა და საკუთარი შეცდომებით სწავლა ('trial and error') (Pfaller & Fink, 2011). წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა ხასიათდებოდეს მაღალი პოლიტიკური მხარდაჭერით, ასევე, გამჭვირვალობისა და ანგარიშგების მექანიზმებით. სამუშაო დონეზე მნიშვნელოვანია აუცილებელი ინფორმაციის

და შესაბამისი კვალიფიკაციის უზრუნველყოფა. მათ შორის, სექტორის ცოდნა მიკრო დონეზე⁷. ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელების სათავეში უნდა იდგას ისეთი ორგანო, რომელიც შეიმუშავებს ინდუსტრიული პოლიტიკის ზოგად მიზნებს და განსაზღვრავს ინდუსტრიული პოლიტიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხებს. თავისთავად, გათვალისწინებულ უნდა იყოს ზემოთ დასახელებული პრინციპები, წინაპირობები და

დიაგრამა №7.
ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების რესურსები



დასკვნა

საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ განვითარებად ქვეყნებში სწრაფი ეკონომიკური ზრდა არა ფუნდამენტალური ფაქტორების ჯამური აკუმულირების, არამედ სტრუქტურული ტრანსფორმაციის გზით მიიღწევა, რაშიც გადამწყვეტი როლი ხარჯების იდენტიფიცირებისა და კოორდინაციის პროცესების აღმოფხვრაზე ორიენტირებულ სახელმწიფო პოლიტიკას ენიჭება. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ შესაბამისი პრინციპების დაუცველობის შემთხვევაში, ინდუსტრიული პოლიტიკა უფრო მეტ რისკებს წარმოშობს, ვიდრე შესაძლებლობებს. იმ

პრიორიტეტების შერჩევის კრიტერიუმები. ერთ-ერთი შესაძლო ინსტიტუციური მოწყობის ჩარჩო შემოთავაზებულია საქართველოს ბიზნეს ასოციაციის „საქართველოს გრძელვადიანი განვითარების კონცეფციაში“ (საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, 2013). მნიშვნელოვანია, რომ ამ მექანიზმით მოხდეს სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების რესურსების ეფექტიანი კოორდინირება.

აღსანიშნავია, რომ ამ ჩარჩოს განხორციელებისთვის საქართველოში წინაპირობები უკვე არსებობს. კერძოდ, უზრუნველყოფილია მაკროეკონომიკური სტაბილურობა, სახელმწიფო ინსტიტუტებს გააჩნიათ ნდობა, შედარებით ეფექტიანია ბიუროკრატია და დაბალია კორუფციის დონე (World Democracy Audit, 2012).

ინდუსტრიული პოლიტიკის განსახორციელებლად და მისი გამტვირველობის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია ძირითადი პრიორიტეტების, პრინციპებისა და მეთოდების განსაზღვრა ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებში. ასეთი მიდგომა ბევრი ქვეყნის სტრატეგიაში გვხვდება. მაგალითად, აღნიშნული მიდგომა დაფიქსირებულია თურქეთის მე-9 განვითარების გეგმაში (State Planning Organization, 2006).

შემთხვევაში, თუ პოლიტიკის წინაპირობების შესრულებისათვის შესაბამისი ბაზა არ არსებობს, უმჯობესია სახელმწიფოს ჩარევა მხოლოდ “Laissez-Faire” მიდგომით შემოიფარგლოს. ამ მხრივ, თვალსაჩინო მაგალითებად ლათინურ ამერიკაში დაფიქსირებული ჩავარდნები გამოდგება (Rodrik, 2004). საქართველოში არსებული მაკროეკონომიკური სტაბილურობა და კორუფციის შედარებით დაბალი დონე წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას იძლევა და ამ მხრივ პოტენციალი სათანადოდ უნდა იქნას გაანალიზებული.

7. ამ მხრივ, კარგი საილუსტრაციო მაგალითია თურქეთის ინდუსტრიული სტრატეგია, სადაც თუნდაც ტექსტილის ინდუსტრიის მაგალითზე შეიძლება იმის მტკიცება, რომ სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფი საკმაოდ დეტალურად ერკვევა სექტორში არსებულ ვითარებაში და გააზრებული აქვს სახელმწიფო ჩარევის მიზნები (Turkish Industrial Strategy Document 2011-2014 (Towards EU Membership 2012), 2010)



დანართი⁸

მემვანილოების ხელშეწყობა იმერეთში

რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს შემდეგ იმერეთში მოსავლის რეალიზაცია მნიშვნელოვნად შემცირდა. გასაღების ალტერნატიული ბაზარი ევროპაა. თუმცა, ამ მიმართულებით ექსპორტი რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რაც ზემოთ აღწერილ კოორდინაციისა და ხარჯების სტრუქტურის იდენტიფიცირების პრობლემებში გამოიხატება. საკუთრივ:

- არ არსებობს პირდაპირი სატვირთო ავიარეისი ქუთაისიდან ევროპის მიმართულებით. რეგულარული რეისის დანიშვნის შემთხვევაში, ავიაკომპანიისთვის საექვთა მაღალი დატვირთულობა მიმწოდებლის მხრიდან;
- მწვანილის ბაზარზე უამრავი მცირე ზომის მწარმოებელია და ცალკე რომელიმე მათგანს არ შეუძლია თვითმფრინავის შევსების უზრუნველყოფა. მათ გაერთიანებას და დამატებით ინვესტირებას ხელს უშლის ხარჯების იდენტიფიცირების პრობლემა – პრაქტიკის არარსებობის გამო. ევროპაში ექსპორტი დიდ რისკებთან არის დაკავშირებული, ხოლო იდეა – მიუწვდომელი. ამავე მიზეზით, კომერციული ბანკები დაფინანსებისაგან თავს იკავებენ;
- ევროპაშიც მსხვილი დისტრიბუტორებისთვის საქართველო ახალი მომწოდებელია. შესაბამისად, ქვეყანას სიფრთხილით ეკიდებიან და შეფერხებების თავიდან ასაცილებლად გარანტიებს ითხოვენ;
- მოსაგვარებელია საექსპორტო საქონლის ხარისხის დაცვის საკითხიც. არსებული ლაბორატორია მსხვილი მასშტაბებისთვის არასაკმარისი და გადასაიარაღებელია. თუმცა, სანამ წარმოება მცირეა, ინვესტირება არ იგეგმება;
- ევროპის მიმართულებით ექსპორტისათვის მეწარმეებს შესაბამისი სტანდარტის სერტიფიკატები დასჭირდებათ (GAP), რაც, ერთი მხრივ, მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული და, შესაბამისად, ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის. მეორე მხრივ, თუ ყველა სხვა ზემოთ ჩამოთვლილი პირობა არ შესრულდა, აღნიშნული სერტიფიკატის აღების საჭიროება არ დგას;
- საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო ზედამხედველობა სტანდარტების დაცვაზე, რაც, ერთი მეწარმის არაკეთილსინდისიერი ქცევის შემთხვევაშიც კი, მთელ დარგს საფრთხის წინაშე აყენებს.

ამ პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია შემდეგი მექანიზმით: იმ შემთხვევაში, თუ არსებული გათვლებით სრულად დატვირთული თვითმფრინავი მომგებიანია, პირველ ეტაპზე სახელმწიფოს სუბსიდირებით (დროებით თვითმფრინავის შეუვსებელ ნაწილზე) დაინიშნოს სატვირთო ავიარეისი, რომლის საჭიროებაც წარმატების შემთხვევაში აღარ იქნება. ასევე, უნდა დაფინანსდეს ლაბორატორიისა და საჭირო ტექნოლოგიის განახლება, ხოლო, წარუმატებლობის შემთხვევაში, აუცილებელია პროექტის შეწყვეტა ნაწილობრივი კომპენსაციებით.



8. ჩამოთვლილი მაგალითები საილუსტრაციო ხასიათისაა და გამოვლენილია მათ შორის საქართველოზე ჩატარებულ სხვადასხვა სექტორული კვლევებიდან (IFC, Georgia Sector Competitiveness Overview; USAID/EPI, Value Chain Assessment).

სანერგე/სათესლე მეურნეობების განვითარება

ბოლო წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემა – ატმის ჭარბი მოსავალია, რომლის რეალიზაცია ვერ ხერხდება. ერთ-ერთი მიზეზი სანერგე მეურნეობის არარსებობაა, რის გამოც ბოლო პერიოდში გაშენებული ბაღების უმეტესობაში სულ ხილის რამდენიმე ჯიშია დარგული. ამის გამო, ერთი სახის მოსავლის დიდი ნაწილი კონცენტრირებულია ერთსადაიმავედროს. ყოველივე ეს აისახება ფასზე და შესაბამისად, საოჯახო მეურნეობების შემოსავალზე. განვითარებულ ქვეყნებში ეს პრობლემა დიდი ხანია გადაიჭრა (Adams County Nursery, inc. 2005). კერძოდ, სამაცივრე მეურნეობების განვითარების

გარდა, ინტენსიურად გამოიყენება ჯიშების ვარიაცია, რაც საშუალებას იძლევა, მოსავალი ფერმერის მიერ შერჩეულ პერიოდში მოვიდეს. ჯიშების გამოყვანის მეთოდოლოგია ცნობილია და ნერგების შემოტანაც შესაძლებელია. თუმცა, აუცილებელია მათი ადაპტირება ადგილობრივ კლიმატთან და სხვადასხვა ნიადაგთან ექსპერიმენტირება, რაც მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული. ცალკეულ ფერმერს ეს გაუჭირდება. თუმცა, ინდუსტრიული პოლიტიკის ფარგლებში მსგავსი პროექტის დაფინანსებამ, შესაძლოა, შედეგი გამოიღოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, 2013, საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია.
2. Agosin M, Larraín C & Grau N, Industrial Policy in Chile, A proposal, Departamento de Economía, Universidad de Chile.
3. Agosin M., Export Diversification and Growth in Emerging Economies, Departamento de Economía Universidad de Chile.
4. Adams County Nursery, inc. 2005, Dave Wilson Nursery 2012, Yellow Peach Maturity Chart, Viewed August 2013 < http://www.acnursery.com/maturity_chart.pdf>
5. Frances R., Holger G 2003, Reflections on Irish Industrial Policy towards Foreign Direct Investment, Trinity Economic Papers Series, Policy Papers 97/3.
6. Imbs, J & Wacziarg R 2003, Stages of Diversification.
7. Lee, C April 2005, Industrial Policy and Competition Policy in Malaysia, Faculty of Economics & Administration, University of Malaya.
8. McKinsey Global Institute, March, 2010, How to Compete and Grow: A Sector Guide Policy.
9. Menon, R, 2010. Markets and Government: Striking a Balance in Singapore [Speech] (22 October 2010).
10. O'Donnell, R December 1998, Ireland's Economic Transformation, Industrial Policy, European Integration and Social Partnership, Working Paper No.2, Center for West European Studies, University Center for International Studies, University of Pittsburgh.
11. Pfaller, A & Fink, P, 2011, An Industrial Policy for Social Democracy, Cornerstones of an Agenda for Germany.
12. Rodrik, D 2003, Growth Strategies, NBER Working Paper Series.
13. Rodrik, D 2004, Industrial Policy for the Twenty-First Century, Harvard University.
14. Rodrik, D 2007, Normalizing Industrial Policy, Harvard University.
15. Rodrik, D 2013, The Past, Present and Future of Economic Growth, Working Paper 1. Global Citizen Foundation.
16. Romer P, Economic Growth
17. State Planning Organization, 2006, Ninth Development Plan 2007-2013.
18. Toh Kin Woon, Malaysia's Industrial Policy-Some Lessons, viewed August 2013 <<http://www.em.gov.lv/images/modules/items/Kin%20Woon%20Tohs%20Presentation.pdf>>
19. Turkish Industrial Strategy Document 2011-2014 (Towards EU Membership 2012), 2010, Republic of Turkey, Ministry of Industrial and Trade.
20. World Bank, 2013, Georgia, Sustaining Rapid Economic Growth, Country Memorandum, Report No. 79532-GE .
21. World Bank: Georgia's Fight Against Corruption in Public Services.
22. World Democracy Audit 2012, The 2012 Corruption Rankings, Viewed August 2013 <<http://www.worldaudit.org/corruption.htm>>
23. World Bank, Entrepreneurship Survey, Fostering entrepreneurship in Georgia, Conference Materials, Tbilisi, 2013.



ბიზნეს უწყვეტობის ეფექტიანი მართვა

შესავალი

2001 წლის 11 სექტემბერს, დაახლოებით დილის 8:30 საათზე, ორი თვითმფრინავი შეეჯახა ქალაქ ნიუ იორკში მდებარე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის კომპლექსს. შეჯახების შედეგად, ჩამოიშალა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორივე ძირითადი შენობა. განადგურდა 1.4 მილიონი კვადრატული მეტრის ოდენობის ათვისებული საოფისე ფართი, რაც ქალაქ ატლანტის მთლიანი საოფისე ფართის ტოლია. მოცემულ ოფისებში და ასევე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული იყო მსოფლიოს არაერთი მოწინავე საფინანსო ორგანიზაცია¹, რომლებზეც ზემოაღნიშნულმა ტერორისტულმა აქტებმა დიდი ზეგავლენა იქონია. ერთერთი ასეთი მსხვილი ფინანსური ორგანიზაციის ამერიკული დანაყოფის არსებული 1000 თანამშრომლიდან, 733 დაიღუპა². მასშტაბური ადამიანური დანაკარგების გარდა, ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა უდიდესი ზარალი განიცადეს ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისითაც³. პრაქტიკულად მთლიანად განადგურდა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ირგვლივ არსებული ტელეკომუნიკაციების ქსელი, რომელიც მიწისქვეშ გადიოდა და რაც საფინანსო (და სხვა) ორგანიზაციებს დანარჩენ მსოფლიოსთან აკავშირებდა. ნიუ იორკის ბანკში (Bank of New York), რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გადარიცხვების უმნიშვნელოვანეს საანგარიშსწორებო კვანძს წარმოადგენდა და სადაც ყოველდღიური

გადარიცხვების ბრუნვა 900 მილიარდ ა.შ.შ. დოლარს შეადგენდა, მწყობრიდან გამოვიდა ორი მონაცემთა ცენტრი, რამაც დიდი საფრთხე შეუქმნა ფინანსური სექტორისთვის ლიკვიდობის დროულ მიწოდებას.

საბედნიეროდ, დიდი დანაკარგების მიუხედავად, მსოფლიო სავაჭრო ცენტრში არსებული ორგანიზაციების უმეტესობის ოპერაციების აღდგენა დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში მოხერხდა და მსოფლიომ თავიდან აიცილა მსხვილი საფინანსო კრიზისი. მსოფლიო სავაჭრო ცენტრი აღმოჩნდა ერთერთი ყველაზე კარგად მომზადებული დაწესებულება საინფორმაციო სისტემების და მონაცემების აღდგენის თვალსაზრისით⁴. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ მნიშვნელოვანი ხარვეზების მიუხედავად, ნიუ იორკის სავაჭრო ცენტრში არსებული ორგანიზაციების დიდ ნაწილს ბიზნეს უწყვეტობის საკმაოდ ეფექტიანი მართვის მექანიზმები გააჩნდათ რომელიც თავის მხრივ უბედური შემთხვევის შემდგომ აღდგენის ტესტირების პროცესსაც მოიცავს.

ბიზნეს უწყვეტობის რისკი ორგანიზაციის საოპერაციო რისკის განუყოფელი ნაწილია. ყველა ორგანიზაციას, როგორც მცირეს, ისე დიდს, გააჩნია უწყვეტობის რისკი. შესაბამისად, როგორც ზემოთ უკვე იქნა აღნიშნული, ორგანიზაციის არსებობის მანძილზე, გარდაუვალია ის ფაქტიც, რომ წარმოიქმნება და ვითარდება ისეთი მოვლენები, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიან ორგანიზაციის არსებობას (Stewart, Tittel and Chapple, 2011).

1. The World Trade Center Disaster: Who Was Prepared? Available from: <http://wps.prenhall.com/bp_laudon_essmis_6/21/5556/1422339.cw/content/index.html>. [29 სექტემბერი, 2013].

2. იგლისხმება კომპანია Cantor Fitzgerald-ი. Gibson, S. 2001, eSpeed Lifts Cantor Fitzgerald. Available from: <<http://www.architecture.com.au>>. [25 სექტემბერი 2013].

3. 2001 წლის სექტემბრის ტერაქტების შედეგად, მხოლოდ ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრე ფირმების კომპიუტერული აპარატურის დანაკარგი 3.2 მილიარდ ა.შ.შ. დოლარს აღემატებოდა.

4. Scheeres, J. 2001. Attack Can't Erase Stored Data. Available from: <<http://www.wired.com/techbiz/media/news/2001/09/47004?currentPage=all>>. [30 სექტემბერი 2013]



ძლიერ და ეფექტიან ორგანიზაციებს გააჩნიათ ბიზნეს უწყვეტობის კარგად ჩამოყალიბებული გეგმები და დაკავშირებული პროცედურები იმისათვის, რომ მინიმუმებული იქნას მოცემული სახის რისკი და შესაძლებელი იყოს ოპერაციების დროული აღდგენა და მუშაობის ჩვეულ რეჟიმში დაბრუნება. დამატებით, დიდი მნიშვნელობა შეიძინა რისკებზე ორიენტირებულმა ბიზნეს უწყვეტობის გეგმის არსებობამ, რომელიც სათანადოდ ითვალისწინებს იმ საფრთხეებს, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ორგანიზაცია. ზუსტად ამ მიზანს ემსახურება ეფექტიანი ბიზნეს უწყვეტობის მართვის მექანიზმების

ჩამოყალიბება. მოცემული სტატია განიხილავს ორგანიზაციებში ბიზნეს უწყვეტობის გეგმის არსებობის მნიშვნელობას და ეფექტიანი ბიზნეს უწყვეტობის მართვის პრინციპების დანერგვას ორგანიზაციების შიგნით. თავდაპირველად, სტატიაში მოყვანილია 2001 წლის სექტემბრის ე. ნიუ იორკში მომხდარი ტერორისტული აქტების შედეგად ორი სხვადასხვა ორგანიზაციის ბიზნეს უწყვეტობის მართვის მოკლე მაგალითები. ხოლო შემდეგ განხილულია ბიზნეს უწყვეტობის მართვის პრინციპები და ბიზნეს უწყვეტობის გეგმის სტრუქტურა.

ბიზნეს უწყვეტობა მსოფლიოს მასშტაბით: წარსულის მაგალითები და თანამედროვე პრაქტიკა

კანტორ ფიცჯერალდი

1 945 წელს დაფუძნებული საერთაშორისო კომპანია კანტორ ფიცჯერალდი (Cantor Fitzgerald) წარმოადგენს საინვესტიციო ბანკს. ორგანიზაცია შედის ამერიკის შეერთებული შტატების (ა.შ.შ.-ს) პირველად დილერთა ჯგუფში, რომელსაც ექსკლუზიური უფლება გააჩნია ა.შ.შ.-ს ნიუ-იორკის ფედერალურ სარეზერვო ბანკთან ღია ბაზრის ოპერაციების⁵ წარმოებაში. კანტორ ფიცჯერალდის სათაო ოფისი მდებარეობდა ქალაქ ნიუ იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის პირველი შენობის 101-105 სართულებზე. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების დროს, ტერორისტების მიერ მართვადი ერთ-ერთი თვითმფრინავი მსოფლიო სავაჭრო ცენტრს შეეჯახა იმ ადგილას, სადაც რამდენიმე სართულით ზემოთ, განლაგებული იყო კანტორ ფიცჯერალდის სათაო ოფისი. ტერორისტული აქტის შედეგად, დაიღუპა ფირმის 733 თანამშრომელი არსებული 1000 თანამშრომლიდან, რომელიც ბანკის ამერიკის დანაყოფში მუშაობდა. დაღუპულთა შორის აღმოჩნდა ფირმის აღმასრულებელი დირექტორის ძმა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრუქტურული ერთეულის 150-ზე თანამშრომელი⁶.

თვითმფრინავის შენობასთან შეტაკებიდან რამდენიმე წამში, კანტორ ფიცჯერალდის სავაჭრო-საინფორმაციო სისტემები გაითიშა. გარკვეული პერიოდის მანძილზე, კომპანიის უშუალო კონტრაგენტები და მილიონობით სხვა კლიენტი მსოფლიოს მასშტაბით ვერ ხვდებოდნენ თუ რა მოუვიდა ბანკის სავაჭრო პლატფორმას. როგორც საბოლოოდ გაირკვა, კომპანიის ძირითადი კომპიუტერული სერვერები, რომლებიც ამუშავებდნენ ბანკის სავაჭრო სისტემებს, მწყობრიდან გამოვიდა ტერორისტული აქტის შედეგად. ზემოაღნიშნული სერვერები მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობაში იყო განლაგებული. ამავდროულად, ორგანიზაციის შიგნით ამოქმედდა ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, რომლის ფარგლებშიც, ფირმის დარჩენილი თანამშრომლები გადავიდნენ საგანგებო მუშაობის რეჟიმზე, რომლის ტესტირებაც არაერთხელ ჰქონდათ გავლილი და ბანკის საინფორმაციო სისტემების ბირთვი ავტომატურად გადაერთო ალტერნატიულ მონაცემთა ცენტრზე, სადაც დროის რეალურ რეჟიმში ხდებოდა ყველა მონაცემის დუბლირება.

ბიზნეს უწყვეტობის ეფექტიანი გეგმის არსებობის შედეგად და მმართველი გუნდის მხრიდან დროული

5. ღია ბაზრის ოპერაციები წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის ერთერთ ძირითად ინსტრუმენტს და რაც გულისხმობს ფასიანი ქაღალდების ყიდვა/გაყიდვით ფულის მასის რეგულირებას.
6. Cantor Fitzgerald (n.d.), Available from: < http://en.wikipedia.org/wiki/Cantor_Fitzgerald>. [29 სექტემბერი 2013].

გადაწყვეტილებების მიღებიდან გამომდინარე, კანტორ ფიცჯერალდმა შეძლო ყველა კრიტიკული ბიზნეს პროცესის აღდგენა ინციდენტიდან 47 საათში. შესაბამისად, ფირმის თანამშრომლებმა კლიენტებისგან ჩვეულ რეჟიმში დაიწყეს შეკვეთების მიღება მოვლენიდან დაახლოებით ორი დღის შემდეგ. კანტორ ფიცჯერალდის თითქმის წარმოდგენელი და დაუკერებელი წარმატება განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით. ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ფარგლებში, ფირმას გააჩნდა კარგად დივერსიფიცირებული ალტერნატიული მონაცემთა ცენტრები და ასევე, სამუშაო სივრცე, საიდანაც შესაძლებელი გახდა ოპერაციების დროული აღდგენა. აღსანიშნავია, რომ ფირმის ერთი ალტერნატიული მონაცემთა ცენტრი განლაგებულია (ინციდენტის დროსაც განლაგებული იყო) ნიუ ჯერსის შტატში ხოლო მეორე ცენტრი, კონეკტიკუტის შტატში⁷. აღსანიშნავია ისიც, რომ ბანკის ალტერნატიული მონაცემთა ცენტრის ჩამოყალიბებასა და მართვაში რამდენიმე მსხვილმა საინფორმაციო ტექნოლოგიურმა ფირმამ კრიტიკული როლი ითამაშა და ამ ფირმების დახმარების გარეშე, ოპერაციების დროული აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა.

დამატებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბანკის ძირითად და ალტერნატიულ მონაცემთა ცენტრებს შორის, ინფორმაციის გაცვლა ხდებოდა დროის რეალურ რეჟიმში.⁸ როგორც დამატებითი დაზღვევის მექანიზმი, კანტორ ფიცჯერალდი ყველა კრიტიკულ მონაცემს მაგნიტურ ლენტებზე ინახავდა და ალტერნატიულ მონაცემთა ცენტრებში არანაკლებ დღეში სამჯერ გადაჰქონდა. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციას არ დაუკარგავს კრიტიკული მონაცემები, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ოპერაციების დროული აღდგენისათვის. გადამწყვე-

ტი მნიშვნელობა ჰქონდა ასევე იმ ფაქტს, რომ თანამშრომლები არ იყვნენ დამოკიდებული კომპიუტერებზე ან ერთ კონკრეტულ პლატფორმაზე საფინანსო გარიგებების დასადებად. კანტორ ფიცჯერალდის თანამშრომლები კლიენტებთან ურთიერთობისას, აქტიურად გადავიდნენ ტელეფონით კომუნიკაციაზე.

ნიუ იორკის ბანკი

ალექსანდრე ჰამილტონის მიერ 1784 წელს დაფუძნებული ნიუ იორკის ბანკი (Bank of New York), ა.შ.შ.-ის ყველაზე ძველი ბანკი იყო⁹. საფინანსო სექტორის მასშტაბით, ნიუ იორკის ბანკი კრიტიკულ და საკვანძო როლს თამაშობდა გადარიცხვებისა და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ტრანზაქციების თვალსაზრისით. ყოველდღიურად, 900 მილიარდი ა.შ.შ. დოლარის ოდენობის გადარიცხვები ხორციელდებოდა ორგანიზაციის მიერ. 2001 წლის სექტემბრის ტერორისტული აქტის შედეგად, ბანკმა საგრძნობლად იზარალა და ორგანიზაციის ოპერაციები მნიშვნელოვნად შეფერხდა.¹⁰

2001 წლის მდგომარეობით, ნიუ იორკის ბანკის ოპერაციების უდიდესი ნაწილი კონცენტრირებული იყო ქ. ნიუ იორკში, მანჰეტენის კუნძულზე, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მახლობლად. ორგანიზაციის სათაო ოფისი გადანაწილებული იყო რამდენიმე შენობაში, სადაც ასევე იყო განლაგებული ბანკის ძირითადი კომპიუტერული ცენტრი იმ სერვერების ჩათვლით, რომელთა მემწეობითაც ბანკის საინფორმაციო სისტემები უზრუნველყოფდნენ ორგანიზაციის შეუფერხებელ მუშაობას. სექტემბრის ტერორისტული აქტიდან ერთი კვირის მანძილზე, ნიუ იორკის ბანკის ორი ალტერნატიული მონაცემთა ცენტრი, რომელიც ბანკის სათაო ოფისიდან ახლო

7. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ცენტრების გეოგრაფიული დივერსიფიკაციის მიზნით, ორგანიზაციამ ერთი ალტერნატიული მონაცემთა ცენტრი განათავსა ქ. ნიუ იორკის დასავლეთით, შტატ ნიუ ჯერსიში, ხოლო მეორე ცენტრი ქალაქის აღმოსავლეთით, შტატ კონეკტიკუტში. ორივე მონაცემთა ცენტრი ნიუ იორკიდან დაახლოებით 100 კილომეტრის რადიუსის ფარგლებშია, რაც უზრუნველყოფს სათანადო გეოგრაფიულ დივერსიფიკაციას.

8. კანტორ ფიცჯერალდი იყენებდა ე.წ. აქტიურ-აქტიურ სერვერულ კონფიგურაციას რაც გულისხმობს სხვადასხვა სერვერებს (მაგ. ორ მონაცემთა ცენტრში არსებულ სერვერებს) შორის ინფორმაციის დროის რეალურ რეჟიმში გაცვლას და სერვერების დამოუკიდებელ, პარალელურ მუშაობას. ეს უკანასკნელი იმ მიზანს ემსახურება, რომ თუ ერთი სერვერული ჯგუფი გაითიშება მონაცემთა ცენტრში, ოპერაციების განხორციელება ავტომატურად იქნება შესაძლებელი პარალელურ რეჟიმში მომუშავე ალტერნატიული სერვერებიდან.

9. ნიუ იორკის ბანკი 2007 წელს მელონის ფინანსური კორპორაციას შეერწყა. Bank of New York (n.d.), Available from: <http://en.wikipedia.org/wiki/Bank_of_new_york>. [29 სექტემბერი 2013].

10. The World Trade Center Disaster: Who Was Prepared? Available from: <http://wps.prenhall.com/bp_laudon_essmis_6/21/5556/1422339.cw/content/index.html>. [29 სექტემბერი, 2013].



მანძილზე, ასევე მანჭეტენზე იყო განლაგებული, მწყობრიდან გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ბანკს გააჩნდა ბიზნეს უწყვეტობის გეგმა და ასევე ჰქონდა შემუშავებული ინსტრუქციები იმისათვის, რომ ძირითადი ოპერაციები საჭიროების შემთხვევაში გადაერთო ბანკის სხვა ალტერნატიულ მონაცემთა ცენტრებზე, რომლებიც ქ. ნიუ იორკის ფარგლებს გარეთ იყო განლაგებული, ფირმამ ამის განხორციელება რამდენიმე მიზეზის გამო ვერ შეძლო. აქედან ერთ-ერთი, ბიზნეს უწყვეტობის გეგმის არასასრული ტესტირება იყო. დამატებით, კავშირის დამყარების შეუძლებლობა განპირობებული იყო იმით, რომ ის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რომელსაც ბანკი იყენებდა, საგრძნობლად დაზიანდა, მსოფლიო საგაჭრო ცენტრის შენობების ჩამოშლის შედეგად. ბანკს არ გააჩნდა დამატებითი, ალტერნატიული კომუნიკაციის არხი. ყველა ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ბანკს საკმაოდ ხანგრძლივი დროის მონაკვეთში კლიენტებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება გაუართულდა.

აღმოჩნდა, რომ ნიუ იორკის ბანკს არ გააჩნდა მონაცემებისა და ოპერაციების სრული დაზღვევის მექანიზმები. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ბანკს გეგმის მიხედვით შეეძლო ფასიან ქალაქდებთან დაკავშირებული ოპერაციების სრული აღდგენა სხვადასხვა ალტერნატიული მონაცემთა ცენტრიდან, ოპერაციების დროული და სრული აღდგენა რეალურად ვერ მოხერხდა, რადგან სათანადო

ტესტირება არ იყო ჩატარებული. ასევე, არ არსებობდა აღდგენის პროცედურები, რაც ბანკომატების აღდგენას მოიცავდა. ბანკს ჰქონდა გათვლილი, რომ საგანგებო სიტუაციის დადგომისას, ორგანიზაციის კლიენტები შეძლებდნენ სხვა ბანკების ბანკომატების გამოყენებას.

ოპერაციების და ზოგადად კრიტიკული ბიზნეს პროცესების აღდგენაში დაფიქსირებული შეფერხებების გამო, ორგანიზაციის მრავალი კლიენტი, რომელიც თანხების დროულ ჩარიცხვას ელოდა ნიუ იორკის ბანკიდან იმედგაცრუებული დარჩა, რადგან თანხა განსაზღვრულ ვადებში ვერ მიიღო. გადარიცხვების შეფერხებების შედეგად, არაერთ კლიენტს დასჭირდა ა.შ.შ.-ს ფედერალური რეზერვისგან თანხის სესხება. საერთო ჯამში, ნიუ იორკის ბანკმა მოახერხა ოპერაციების აღდგენა, თუმცა იმაზე უფრო გვიან, ვიდრე ეს ორგანიზაციას ჰქონდა გათვლილი. აქედან გამომდინარე, 2001 წლის სექტემბრის მოვლენების შემდეგ, ბანკმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საკუთარი ბიზნეს უწყვეტობის გეგმა და ტესტირებისას გაითვალისწინა ის არაერთი ხარვეზი, რაც ტერორისტული აქტის და შემდგომ პერიოდში გამოვლინდა.

მომდევნო სექციებში განხილულია ბიზნეს უწყვეტობის მართვის ის ყველა თანმიმდევრული ეტაპი, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციების მასშტაბით გამოსადეგი და მარტივად აღქმადი ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ჩამოსაყალიბებლად.

ბიზნეს უწყვეტობის მართვის საფუძვლები და ზოგადი მიმოხილვა

ყველა წარმატებულ წამოწყებას, მ.შ. ბიზნეს უწყვეტობას, ესაჭიროება სრულყოფილი დაგეგმვა. ბიზნეს უწყვეტობის დაგეგმვა გულისხმობს სხვადასხვა სახის რისკების შეფასებას რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ორგანიზაციის პროცესებზე და ასევე მოიცავს პოლიტიკის, გეგმებისა და პროცედურების შემუშავებას იმისათვის, რომ მოხდეს ზემოაღნიშნული რისკების მინიმიზება,

რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ორგანიზაცია (Stewart, Tittel and Chapple, 2011). აუცილებელია, რომ ბიზნეს უწყვეტობის ყველა შემადგენელი კომპონენტი იყოს შემუშავებული ორგანიზაციის მიერ და ნათელ და გასაგებ ენაზე იყოს შედგენილი. მთლიანობაში, უწყვეტობის რისკი კომერციული ბანკების სტრატეგიული რისკების მართვის გეგმის განუყოფელი ნაწილია (ISACA, 2002). თვითონ ბიზ-

ნეს უწყვეტობის საკითხი წარმოადგენს ორგანიზაციისთვის რისკების ერთ-ერთ მიტიგაციის სტრატეგიას. ბიზნეს უწყვეტობა მოიცავს სამ ძირითად საკითხს. ესენია:

- ორგანიზაციის ოპერაციების აღდგენის დაგეგმვა და უზრუნველყოფა, რაც უშუალოდ საოპერაციო გარემოს უკავშირდება;
- უბედური შემთხვევისგან აღდგენის დაგეგმარება, რაც ორგანიზაციის საინფორმაციო სისტემების აღდგენას გულისხმობს;
- კრიზისის მართვა, რომელიც ორგანიზაციის გადაწყვეტილებების მიღების უნარს უკავშირდება და მოიცავს ბიზნეს უწყვეტობის ეფექტიან ზედამხედველობას და მართვას.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ფარგლებში შედის თანამშრომელთა და პოტენციურად სხვა პიროვნებათა (მ.შ. კლიენტების) ევაკუაციის გეგმაც.

ბიზნეს უწყვეტობის გეგმა გულისხმობს ორგანიზაციის უწყვეტ რეჟიმში მუშაობას მოულოდნელი ან უჩვეულო გარემოებების დადგომისას. მოცემული ჩარჩოს მიზანია, დაინერგოს პოლიტიკების, პროცედურებისა და პროცესების ისეთი ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციაზე რისკის მაქსიმალურ შერბილებას და მინიმალურ ზეგავლენას პოტენციური, დამანგრეველი ან ორგანიზაციისთვის შემაფერხებელი მოვლენის დროს.

დამატებით, ბიზნეს უწყვეტობა გულისხმობს ორგანიზაციის საოპერაციო უწყვეტობის შენარჩუნებას შემცირებული ან შეზღუდული ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გამოყენებით, ან ისეთ პირობებში მუშაობას, როდესაც ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომია საოპერაციო რესურსების შედარებით უფრო მცირე რაოდენობა. მთავარია, რომ ორგანიზაციის კრიტიკული პროცესების უწყვეტობა შენარჩუნდეს. აქედან გამომდინარე, ბიზნეს უწყვეტობის გეგმა შეიძლება გამოყენებულ იქნას ორგანიზაციის ოპერაციების ეფექტიან მართვისა და აღდგენისათვის. თუ ოპერაციების უწყვეტობის უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა, მაშინ ეს ავტომატურად მიუთითებს იმაზე, რომ ბიზნეს პროცესები შეფერხებულად მუშაობს და ორგანიზაცია გადადის მუშაობის საგანგებო რეჟიმზე. ეს უკანასკნელი უკვე გულისხმობს უბედური შემთხვევისგან აღდგენის გეგმაზე ავტომატურ გადასვლას. მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს უწყვეტობის დაგეგმვის დროს, პრიორიტეტი ყოველთვის უნდა მიენიჭოს ადამიანებს. პირველ რიგში, ადამიანების უსაფრთხოება უნდა იყოს უზრუნველყოფილი უწყვეტობის გეგმის ამოქმედებისას.

ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ზოგადი მიზანია, ორგანიზაციის მასშტაბით ამოქმედდეს ეფექტიანი, მშვიდი¹¹ და სწრაფი რეაგირების მექანიზმი მოულოდნელი გარემოებების დადგომისას და ასევე, გაუმჯობესდეს კომპანიის შესაძლებლობა, რომ ალადგინოს ყველა საჭირო ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობა დროის მოკლე მონაკვეთში.

ორგანიზაცია (ISC)²-ის მიხედვით¹², ბიზნეს უწყვეტობის გეგმის (დაგეგმვის) ოთხი ძირითადი კომპონენტია:

- პროექტის სფეროს განსაზღვრა და წინასწარი დაგეგმვა;
- ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზი;
- უწყვეტობის დაგეგმვა;
- დამტკიცება, განხორციელება და მოქმედებაში მოყვანა.

მომდევნო სექციებში დეტალურად არის განხილული მოცემული ოთხი პროცესის შემადგენელი ნაწილები.

11. ტერმინი „მშვიდი“ გულისხმობს არა-პანიკურ რეაგირებას კრიზისული მოვლენის დროს. ეს თავისთავად ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ტესტირება არის ის აუცილებელი წინაპირობა, რომ ორგანიზაცია მშვიდ რეჟიმში განხორციელოს კრიზისული მოვლენაზე რეაგირება.

12. Stewart, JM, Tittel, E, &Chapple, M., 2011, CISSP: Certified Information Systems Security Professional Study Guide, 5th edn, Wiley Publishing, Indianapolis, IN.



პროექტის სფეროს განსაზღვრა და წინასწარი დაგეგმვა

ძლიერი და ეფექტიანი ბიზნეს უწყვეტობის გეგმა საჭიროებს აღიარებული მეთოდოლოგიის გამოყენებას¹³. ნიშანდობლივია, რომ ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს არა თავისით შემუშავებული მეთოდოლოგია, რომელიც საგრძნობლად შეიძლება განსხვავდებოდეს საერთაშორისო სტანდარტებისგან, არამედ დაეყრდნოს უკვე არსებულ, ფართოდ აღიარებულ პრაქტიკას. ბიზნეს უწყვეტობის პრინციპების აღიარებული პრაქტიკის გამოყენება გულისხმობს:

- ორგანიზაციის სრულყოფილ და კარგად-გააზრებული ანალიზის ჩატარებას, რომელიც მოიცავს ოპერაციების აღდგენის საკითხსაც კრიზისის მართვის თვალსაზრისით;
- ბიზნეს უწყვეტობის გუნდის ჩამოყალიბებას აღ-

მასრულებელი დირექტორატის მონაწილეობით; არსებული რესურსების შეფასებასა და მობილიზებას;

- სამართლებრივ და საკანონმდებლო გარემოს ანალიზს, რომელიც მოიცავს მოთხოვნებს საგანგებო სიტუაციების დადგომის რეაგირების მიმართ.

აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა ჩამოყალიბდეს ორგანიზაციის ზომისა და სირთულის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, არ არსებობს ერთიანი, უნივერსალური და სტანდარტული ბიზნეს უწყვეტობის გეგმა. თითოეულმა ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს და შეიმუშავოს საკუთარი მახასიათებლებიდან გამომდინარე, სასურველი მიდგომა.

ორგანიზაციის ანალიზი

მის შემდეგ, რაც ორგანიზაცია გამოყოფს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს, გეგმის ავტორებმა თავდაპირველად უნდა გაითვალისწინონ ორგანიზაციაში შემავალი ყველა ის სტრუქტურული ერთეული და პიროვნება, რომლებიც შეიძლება უშუალოდ დაკავშირებული იყოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ჩამოყალიბებასთან. ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ავტორებმა სტრუქტურული ერთეულების და პიროვნებების იდენტიფიცირებასა და შერჩევაში უნდა გაითვალისწინონ შემდეგი საკითხები:

- ორგანიზაციის კრიტიკულ ბიზნეს პროცესების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების იდენტიფიცირება;
- კრიტიკული მხარდამჭერი სერვისების 14 გამოვლენა (მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრუქტურული ერთეული და

პოტენციურად სხვა ჯგუფებიც რომლებიც კრიტიკული ბიზნეს პროცესების უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ);

- აღმასრულებელი მენეჯმენტი და სხვა საკვანძო თანამშრომლები, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობაში.

- ზემოაღნიშნული პროცესის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, როდესაც ხდება ორგანიზაციისთვის კრიტიკული სტრუქტურული ერთეულების და პიროვნებების იდენტიფიცირება, უფრო ადვილდება თვითონ ბიზნეს უწყვეტობის გუნდის ჩამოყალიბებაც. დამატებით, ზემოაღნიშნული პროცედურები საფუძველს უყრის მთლიანი ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავების პროცესსაც.

13. "As with any formalized business process, the development of a strong business continuity plan requires the use of a proven methodology." (Stewart, Tittel and Chapple, 2011, p. 613)

14. სერვისებში იგულისხმება ზოგადად ფუნქციები და ბიზნეს პროცესები.

ბიზნეს უწყვეტობის გუნდის შერჩევა

დამატებით, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ის არის, რომ ორგანიზაციამ შეარჩიოს და უზრუნველყოს ეფექტიანი ბიზნეს უწყვეტობის მართვის გუნდის ჩამოყალიბება. ყველა ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მასშტაბით კრიტიკული ბიზნეს პროცესების განხორციელებას ან კრიტიკული ბიზნეს პროცესების მხარდაჭერი ფუნქციების შესრულებას, უნდა შევიდეს ბიზნეს უწყვეტობის მართვის გუნდში. უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ გუნდი მოიცავდეს ორგანიზაციის ბიზნეს ფუნქციების წარმომადგენლებს და არა მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების მმართველების ან უსაფრთხოების თანამშრომლებს. მრავალი ორგანიზაცია უშვებს უაღრესად სახიფათო შეცდომას, როდესაც ბიზნეს უწყვეტობის მართვის საკითხებს ანდობს მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების და/ან უსაფრთხოების სტრუქტურულ ერთეულებს. ეს ხშირ შემთხვევაში იწვევს იმას, რომ ორგანიზაციის დანარჩენი თანამშრომლები, რომლებიც კრიტიკულ ფუნქციებს ასრულებენ ორგანიზაციის მასშტაბით, მაგრამ არ არიან დაკავშირებულნი საინფორმაციო ტექნოლოგიების და/ან უშიშროების სტრუქტურულ ერთეულებთან, რჩებიან არაინფორმირებულნი ბიზნეს უწყვეტობის გეგმის თაობაზე. იმისათვის რომ ზემოაღნიშნული სიტუაცია თავიდან იქნას აცილებული, ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ხელმძღვანელებმა/ავტორებმა უნდა ჩამოაყალიბონ ბიზნეს უწყვეტობის მართვის გუნდი შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

- აღმასრულებელი მენეჯმენტის წარმომადგენლები;
- კრიტიკულ ბიზნეს პროცესებზე პასუხისმგებელი ყველა სტრუქტურული ერთეულიდან უნდა იყოს წარმომადგენელი არანაკლებ ერთი წარმომადგენელი;
- კრიტიკული ბიზნეს პროცესების მხარდაჭერი ერთეულებიდან არანაკლებ ერთი წარმომადგენელი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფუნქციური ერთეულიდან დამატებითი წარმომადგენლები, რომლებსაც ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ფარგლებში, გააჩნიათ დაფარული საკითხების ცოდნა ტექნიკური თვალსაზრისით;
- იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც გათვინციობიერებულნი არიან კორპორატიულ-იურიდიულ და სახელშეკრულებო სამართალში¹⁵.

ბიზნეს უწყვეტობის მართვის გუნდის შერჩევისას, გადამწყვეტი როლი ენიჭება გუნდის წევრების ერთმანეთთან ეფექტიან მუშაობას. იქიდან გამომდინარე, რომ ზემოაღნიშნული წარმომადგენლები სავარაუდოდ დიდ მრავალფეროვნებას შემოიტანენ გუნდის შემადგენლობაში და გუნდის მუშაობის პროცესში, არ უნდა შეიქმნას ისეთი გარემოება გუნდის შიგნით, რომელიც საფრთხეს შეუქმნის გუნდის ეფექტიან და კონსტრუქციულ რეჟიმში მუშაობას. შესაბამისად, ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გუნდის გამართულ ფუნქციონირებას. აქედან გამომდინარე, გუნდის შიგნით არ უნდა მოიყარონ თავი ისეთმა წევრებმა, რომლებიც კონფლიქტში არიან ერთმანეთთან, ან კონფლიქტი შემოაქვთ გუნდის მუშაობის პროცესში.¹⁶

15. იურიდიული დეპარტამენტის არანაკლებ ერთი თანამშრომლის ჩართულობა ბიზნეს უწყვეტობის მართვის გუნდში არის აუცილებელი (Pironti, 2009) რადგან კრიზისული მოვლენის დროს უაღრესად მნიშვნელოვანია იურიდიული საკითხების და სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინება კრიზისული სიტუაციის მართვისას. არა-ორდინალურ პირობებში ქმედებების განხორციელება ბიზნეს უწყვეტობის მართვის გუნდის მიერ საჭიროებს სათანადო იურიდიული საკითხების გათვალისწინებასაც.

16. ბიზნეს უწყვეტობის გუნდის შერჩევის შემდეგ, გადამწყვეტი როლი გუნდის წევრების ერთმანეთთან მუშაობაში გააჩნია ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ტესტირებას. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს იმას, რომ კრიზისული სიტუაციის სიმულირებისას, ხშირად ვლინდება არსებობს თუ არა კონფლიქტი გუნდის წევრებს შორის რაც პრობლემას შეუქმნის უწყვეტობის მართვის გუნდის ჰარმონიულ მუშაობას.



აღმასრულებელი დირექტორატი და ბიზნეს უწყვეტობის გეგმა

მსოფლიოში არაერთი, ბიზნეს უწყვეტობის აღიარებული ექსპერტი¹⁷ მიიჩნევს, რომ აღმასრულებელი მენეჯმენტის როლი ბიზნეს უწყვეტობის მართვის პრინციპების დამკვიდრებაში ორგანიზაციის მასშტაბით, არის ფასდაუდებელი და ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული ფაქტორი. ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ჩამოყალიბების დროს, აუცილებელია აღმასრულებელი მენეჯმენტის აქტიური ჩართულობა ბიზნეს უწყვეტობის პროცესებში. ბიზნეს უწყვეტობაზე პასუხისმგებელმა პირებმა მაქსიმალურად უნდა იზრუნონ იმაზე, რომ მოხდეს აღმასრულებელი დირექტორატის აქტიური ჩართვა ბიზნეს უწყვეტობის პროცესებში. იმ შემთხვევაში, თუ მენეჯმენტის მხრიდან არ არის დაინტერესება ზემოაღნიშნული საკითხის მიმართ, მაქსიმალურად არგუმენტირებულად უნდა მოხდეს მენეჯმენტისთვის იმ კრიტიკული როლის ახსნა, რაც მენეჯმენტს აკისრია ბიზნეს უწყვეტობის მართვის ფარგლებში. დირექტორატის მიდგომა და ქმედებები ამ მიმართულებით სასურველია იყოს პროაქტიული და განხორციელდეს საკუთარი ინიციატივით, მაგრამ რიგ ქვეყნებში ასევე არსებობს კანონმდებლობა, რომელიც მენეჯმენტს ავალდებულებს ბიზნეს უწყვეტობის პროცესებში აქტიურ ჩართულობას. ბიზნეს

უწყვეტობის გუნდმა ასევე შეიძლება შეახსენოს აღმასრულებელ მენეჯმენტს, რომ არაერთ იურისდიქციაში, ორგანიზაციის დირექტორები უშუალოდ პასუხისმგებლები არიან კანონის წინაშე იმ შემთხვევაში, თუ მოულოდნელი, საგანგებო მოვლენა ორგანიზაციას მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს. შეიძლება მოხდეს დირექტორატის პასუხისმგებლობაში მიცემა იმ შემთხვევაში, თუ დირექტორს დაუმტკიცდა, (ან დირექტორებს) რომ მან სათანადო ზომები არ მიიღო, რათა აღეკვეთა ბიზნეს უწყვეტობის ჩავარდნასთან დაკავშირებული ზიანი ან ზარალი.

დამატებით, აღმასრულებელ მენეჯმენტს მაქსიმალურად უნდა განემარტოს ისიც, რომ დაუშვებელია ბიზნეს უწყვეტობის მიმართულებით დაგეგმილი ინვესტიციები და/ან ხარჯები განხორციელდეს მენეჯმენტის საკუთარი დისკრეციის ან შეხედულებების საფუძველზე. ბიზნეს უწყვეტობის გეგმის მიმართულებით განხორციელებული ინვესტიციები და შესაბამისი ხარჯები აუცილებლად უნდა იყოს ორგანიზაციის ზომისა და სირთულის შესაბამისი. დამატებით, მენეჯმენტს გააჩნია დიდი პასუხისმგებლობა ორგანიზაციის აქციონერებისა და დაინტერესებული მხარეების მიმართ. აქედან გამომდინარე, როგორც მინიმუმ, სათანადო ბიზნეს უწყვეტობის მექანიზმები აუცილებლად უნდა იყოს დანერგილი ორგანიზაციის მასშტაბით, რაც გულისხმობს მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებას ამ მიმართულებით.

რესურსების მობილიზება და სამართლებრივი/საგეგმავი მოთხოვნები

ბიზნეს უწყვეტობის გუნდის შერჩევის შემდეგ, მოდის უკიდურესად მნიშვნელოვანი პროცესი, რაც ყველა საჭირო რესურსის მობილიზებას გულისხმობს. პირველ რიგში, ორგანიზაციამ უნდა გამოყოს სახსრები ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შესამუშავებლად. ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსის გამოყოფა ამ შრომატევადი პროცესისათვის. მომდევნო ეტაპზე მოდის ბიზნეს

უწყვეტობის გეგმის ტესტირებისთვის, ტრენინგებისა და მხარდაჭერის სახსრების მობილიზება. მოცემულ სტადიაზე, საჭიროა სათანადო აპარატურული და პროგრამული რესურსების გამოყოფა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია კვლავ, ისევე როგორც წინა ეტაპზე, ადამიანისეული კომპონენტი. და ბოლოს, ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ამოქმედებისას რა სახის რე-

17. აღიარებულ ექსპერტებში იგულისხმება როგორც CISSP-ის, ასევე CISA და CISM სერტიფიცირების მფლობელი პირვნებები.

სურსია გამოსაყოფი. გეგმის მასშტაბურობიდან გამომდინარე, დიდი სიფრთხილეა საჭირო ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ამოქმედების მიღებასთან დაკავშირებით. უშუალოდ ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ამოქმედება, ხშირ შემთხვევაში, უდიდეს რესურსებთან არის დაკავშირებული.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა დაკავშირებულია მნიშვნელოვან რესურსებთან. ეს მოიცავს ყველაფერს დაწყებული უშუალოდ აპარატურულ და ზოგადად ტექნიკური უზრუნველყოფიდან (მაგალითად დუბლირებული სერვერების არსებობა, დუბლირებული კომუნიკაციების არხები, და სხვ.) დამთავრებული კალმითა და ფურცელით. ორგანიზაციამ უნდა გაიღოს სათანადო სახსრები იმისათვის, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა იყოს ორგანიზაციის ზომისა და სირთულის შესაფერისი. გლობალურად, ფიქსირდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ორგანიზაციის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი ინვესტიციის განხორციელება ბიზნეს უწყვეტობის მიმართულებით საჭირო არ არის, თუმცა მერე ხვდება (ან ვერ ხვდება) რომ ეს მცდარი პოზიცია იყო მენეჯმენტის მხრიდან. ის მოსაზრება, რომ ორგანიზაცია ყოველთვის მზადყოფნაშია ნებისმიერი ინციდენტის ან მოვლენის ხდომილების პირობებში ბიზნეს უწყვეტობის გეგმის არსებობის გარეშე, უკეთეს შემთხვევაში მცდარია, რადგან გარანტია, რომ ორგანიზაცია მუდმივად იარსებებს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ფიქსირდება მნიშვნელოვანი ბუნებრივი ან ადამიანისგან გამოწვეული მოვლენები და კატაკლიზმები არ არის.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს სავალდებულო მოთხოვნები ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. არსებობს არაერთი ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ბანკის ბიზნეს უწყვეტობის მართვის საკითხებს. საქართველოში, მსგავსი სახის სავალდებულო მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ ამ ეტაპზე არ არის. თუმცა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა საოპერაციო რისკების დებულების ახალი პროექტი, რომელიც კომერციულ ბანკებს ავალდებულებს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის

შემუშავებას და რეგულარული ტესტირებების ჩატარებას.

დამატებით, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არც არსებობდეს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის კონკრეტული მარეგულირებელი მოთხოვნები, პირველ რიგში თვითონ ორგანიზაციების ინტერესში შედის გამართული ბიზნეს უწყვეტობის გეგმის არსებობა რომლის ტესტირებაც რეგულარულად ხორციელდება ორგანიზაციის მასშტაბით (Stewart, Tittel and Chapple, 2011). მაგალითად, როდესაც კომერციულ ბანკს არ გააჩნია ბიზნეს უწყვეტობის გეგმა და ორგანიზაცია მნიშვნელოვანი მოვლენის (ინციდენტის) მსხვერპლი ხდება, ორგანიზაცია დიდი ალბათობით ვერ მოახერხებს უარყოფითი მოვლენისგან დროულად და ეფექტიანად აღდგენას და შესაბამისად წარმოიქმნება მაღალი რეპუტაციული რისკი. ბევრი კლიენტი არ ისურვებს ისეთ ორგანიზაციასთან საქმის დაჭერას, რომელსაც კლიენტისთვის იმის გარანტიის მიცემა არ შეუძლია, რომ შეუფერხებლად შეძლებს მომსახურების მიწოდებას. ოპერაციების დროულად ვერ აღდგენა შესაძლებელია დამატებით უკავშირდებოდეს ისეთ რისკებსაც, რომლებიც მონაცემების დაუცველობასაც უკავშირდება და დამატებითი უარყოფითი რეპუტაციული რისკის მატარებელია ორგანიზაციისათვის.

საპირისპირო შემთხვევაში, ისეთი კომერციული ბანკი, რომელსაც გააჩნია ბიზნეს უწყვეტობის გეგმა და რომელიც ხარვეზების გარეშე ახორციელებს ოპერაციების აღდგენას უბედური და/ან მოულოდნელი გარემოებების პირობებში, დიდ ნდობას იმსახურებს მოსახლეობის მხრიდან, რაც მას დამატებითი კლიენტების მოზიდვაში ეხმარება. ეს უკანასკნელი არის საკმაოდ ძლიერი არგუმენტი იმისათვის, რომ ორგანიზაციებმა შეიმუშაონ ეფექტიანი და ყოვლისმომცველი ბიზნეს უწყვეტობის გეგმები. შესაბამისად, ბიზნეს უწყვეტობის დამატებითი ღირებულებაც ზუსტად ისეთი სექტორებისთვის არის მნიშვნელოვანი, სადაც ნდობის ფაქტორი კრიტიკულია. ასეთ სექტორს უპირველესად მიეკუთვნება ფინანსური სექტორი.



ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზი

ბიზნეს უწყვეტობის მართვის ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ როლს თამაშობს ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზი. ზემოაღნიშნული პროცესი მოიცავს ორგანიზაციისთვის ყველა კრიტიკული პროცესის იდენტიფიცირება/განსაზღვრას და იმ პოტენციური საფრთხეების შეფასებას, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიონ კრიტიკულ პროცესებზე. აღსანიშნავია, რომ ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზი მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ ანალიზს.

ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზის განხორციელების პირველი სტადია გულისხმობს პრიორიტეტების განსაზღვრას. ეს მოიცავს როგორც კრიტიკული ბიზნეს პროცესების უშუალო იდენტიფიცირებას ბიზნეს უწყვეტობის მართვის გუნდის წევრების მიერ, ასევე იმ დროითი შუალედების დადგენასაც, რაც კრიტიკული ბიზნეს პროცესების ხელმიუწვდომლობასა და აღდგენას უკავშირდება. მაქსიმალური დასაშვები ხელმიუწვდომლობის ზღვარი (MTD)¹⁸ რაც ბიზნეს პროცესის ხელმიუწვდომლობას უკავშირდება, განსაზღვრავს დროის იმ მაქსიმალურ მონაკვეთს, როდესაც ბიზნეს პროცესი შეიძლება იყოს ხელმიუწვდომელი. მაგრამ, ამავდროულად, პროცესის გათიშულობამ არ უნდა მიაყენოს ორგანიზაციას გამოუსწორებელი ზარალი. მაგალითად, თუ განისაზღვრა, რომ მაქსიმალური დასაშვები ხელმიუწვდომლობის ზღვარი საერთაშორისო გადარიცხვის სისტემისთვის წარმოადგენს 1 საათს, მაშინ MTD 1 საათს შეადგენს.

ბიზნეს პროცესის ხელმიუწვდომლობის დასაშვები ზღვარის განსაზღვრის შემდეგ, უნდა დადგინდეს ბიზნეს პროცესის აღდგენის მიზნობრივი მაჩვენებლები (RTO)¹⁹. კარგ პრაქტიკას წარმოადგენს RTO-ს ისეთი მაჩვენებლების განსაზღვრა, რომელიც არ აღემატება პროცესის ხელმიუწვდომლობის მაქსიმალურ დასაშვებ ზღვარს.

რისკების იდენტიფიკაცია, ალბათობა და ზეგავლენის ანალიზი

მომდევნო ეტაპზე ხორციელდება ბიზნეს რისკების იდენტიფიკაცია; იმ რისკების/საფრთხეების დადგენა, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ორგანიზაცია. საერთო ჯამში, არსებობს ორი სახის რისკი, ადამიანის მიერ გამოწვეული რისკი და ბუნებრივი მოვლენებისგან გამომდინარე რისკები (Doughty, 2002). ასეთ რისკებს შეიძლება წარმოადგენდეს მიწისძვრა, მეწყერი, შიდა თაღლითობა, ტერორისტული აქტი, სენსიტიური ინფორმაციის გაჟონვა და სხვა.

იმის შემდეგ, რაც ორგანიზაციის რისკების იდენტიფიცირება მოხდება, უნდა ჩატარდეს რისკებზე ზეგავლენის ანალიზი. ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც რაოდენობრივი ანალიზის მეშვეობით, ასევე, თვისებრივი ანალიზის მეშვეობითაც. ცხრილ N1-ში მოყვანილია პოტენციური რისკების ჩამონათვალის მაგალითი, შესაბამისი ალბათობის და ზეგავლენის მაჩვენებლებით. რისკების რაოდენობრივი ანალიზი შეიძლება ჩატარდეს შემდეგნაირად: საწყის ეტაპზე უნდა განხორციელდეს კონკრეტული რისკის ხდომილების დადგენა, ხოლო შემდეგ, უნდა შეფასდეს რა პოტენციური ზეგავლენა შეიძლება იქონიოს კონკრეტულმა მოვლენამ (რისკმა) ორგანიზაციაზე ალბათობის თვალსაზრისით. მაგალითად, თუ დადგინდა, რომ მიწისძვრისგან მიყენებული პოტენციური ზარალი კომერციული ბანკისთვის წარმოადგენს 2 მილიონ ლარს და მიწისძვრის დაფიქსირების ალბათობა დადგინდა რომ შეადგენს 60 წელიწადში ერთხელ (2-პროცენტიანი ალბათობა ერთი წლის მანძილზე), გაწლიურებული ზარალის მოლოდინი (ALE)²⁰ შეადგენს დაახლოებით 33 300 ლარს.

18. Mean Tolerable Downtime (MTD) წარმოადგენს ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს. ის განსაზღვრავს თუ რა დროის მანძილზე შეიძლება იყოს ბიზნეს პროცესი ხელმიუწვდომელი და პარალელურად არ მიაყენოს გამოუსწორებელი ზიანი ორგანიზაციას (როგორც რეპუტაციული, ასევე სხვა თვალსაზრისით).

19. Recovery Time Objective (RTO) არის ტერმინი რომელიც ხშირად გამოიყენება ბიზნეს უწყვეტობის მართვაში. ის გულისხმობს ბიზნეს პროცესის მიზნობრივი აღდგენის მაჩვენებლის დადგენას, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს კონკრეტული ბიზნეს პროცესის აღდგენა. მაგალითად, თუ ადგილობრივი ფულადი გადარიცხვის სისტემის RTO წარმოადგენს 2 საათს, ეს გულისხმობს იმას, რომ ზემოაღნიშნული კრიტიკული ბიზნეს პროცესი უნდა აღდგეს არაუმეტეს 2 საათის ფარგლებში.

20. Annualized loss expectancy (ALE) - ქართულად, გაწლიურებული ზარალის მოლოდინი, წარმოადგენს იმ ფულად დანაკარგს, რომელსაც ორგანიზაცია ვარაუდობს რომ იზარალებს კონკრეტული რისკის მიერ ორგანიზაციის კონკრეტული აქტივის (მაგალითად შენობის) დაზიანების შედეგად, ერთი წლის მანძილზე.

ცხრილი №1.
რისკების ჩამონათვალის მაგალითი

| რისკი | ალბათობა | ზეგავლენა |
|---------------------------------------|-------------------|--------------|
| წყალდიდობა | საშუალო | საშუალო |
| მიწისძვრა | საშუალო | ექსტრემალური |
| ქარიშხალი | მოსალოდნელი | მცირე |
| მეწყერი | ნაკლებადსავარაუდო | მცირე |
| ტერორისტული აქტი | იშვიათი | მასშტაბური |
| კიბერ-შეტევა | მოსალოდნელი | მასშტაბური |
| შიგა თაღლითობა | საშუალო | მასშტაბური |
| პლასტიკური ბარათებით თაღლითობა | მოსალოდნელი | მცირე |
| შენობის მიზნობრივი დაზიანება | საშუალო | მცირე |
| ელექტროენერჯის მომარაგებაში შეფერხება | მოსალოდნელი | მცირე |

სქემა N1 ასახავს რისკების ანალიზის თვისობრივი მეთოდის ერთ-ერთ მაგალითს, სადაც მოყვანილია ზეგავლენა-ალბათობის მატრიცა, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაციას ასევე შეუძლია განსაზღვროს კონკრეტული რისკის ალბათობა და ამავე მოვლენის ზეგავლენა ორგანიზაციაზე. გრაფიკში ასახულია, რომ ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტის მიხედვით, კომპანია ადგენს ზეგავლენა-ალბათობის მატრიცას და იყენებს ალბათობის ხუთ კატეგორიას (იხ. გრაფიკი) იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით მოელის კონკრეტული რისკის მოვლენას. ჰორიზონტალურ ღერძზე ფიქსირდება მოცემული რისკის ზეგავლენა მთლიანად ორგანიზაციაზე, რომელიც დაყოფილია ხუთ კატეგორიად.

დამატებით, მწვანე კატეგორიაში მოქცეული რისკები გულისხმობს იმას, რომ რისკის ზეგავლენა კომპანიაზე არის საკმაოდ დაბალი (რისკის დაბალი სიხშირის და მცირე მასშტაბის გამო) და დიდი ალბათობით, არ საჭიროებს მოცემული სახის საფრთხე რისკის შემცირებაზე ორიენტირებულ ქმედებების განხორციელებას. ამავდროულად, ყვითელ და წითელ კატეგორიაში მოქცეული რისკები საყურადღებოა და ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს თუ რა ფორმით შეიძლება მოხდეს საშუალო და მაღალ კატეგორიაში მყოფი რისკების თავიდან აცილება ან შემცირება. დასაშვებია ისიც, რომ გარკვეულ რისკებზე ორგანიზაციამ გადაწყვიტოს რისკის მიტიგაცია/შერბილების პროგრამის არ გამოყენება.

სქემა №1.
რისკის ზეგავლენა-ალბათობის მატრიცის მაგალითი

| | | | | | | |
|-----------|--------------------|------------|---------|---------|------------|--------------|
| ალბათობა | ხშირი | საშუალო | საშუალო | მაღალი | მაღალი | მაღალი |
| | მოსალოდნელი | საშუალო | საშუალო | საშუალო | მაღალი | მაღალი |
| | საშუალო | დაბალი | საშუალო | საშუალო | საშუალო | მაღალი |
| | ნაკლებად სავარაუდო | დაბალი | დაბალი | საშუალო | საშუალო | საშუალო |
| | იშვიათი | დაბალი | დაბალი | დაბალი | საშუალო | საშუალო |
| | | უმნიშვნელო | მცირე | საშუალო | მასშტაბური | ექსტრემალური |
| ზეგავლენა | | | | | | |




სქემა N2 ასახავს რისკების ზეგავლენა-ალბათობის მატრიცას უშუალოდ რისკების ზეგავლენის ანალიზის ჩატარების შემდეგ, სადაც ასახულია საფრთხეების მნიშვნელობები მოვლენის ალბათობასა და ზეგავლენის მიხედვით. მოცემულ გრაფიკში მოყვანილია რამდენიმე რისკის მოვლენის ალბათობის და ზეგავლენის გრაფიკული მაგალითი. რისკების ზეგავლენის ანალიზი ჩატარებულია

ორგანიზაციის საოპერაციო გარემოდან გამომდინარე. გასათვალისწინებელია, რომ ილუსტრაცია მხოლოდ მაგალითს წარმოადგენს და შესაბამისად, კონკრეტული რისკის მოვლენის ზეგავლენა და ალბათობაც შეიძლება საგრძნობლად განსხვავდებოდეს სხვადასხვა ორგანიზაციის საოპერაციო გარემოდან გამომდინარე.

სქემა №2.

რისკების ზეგავლენა-ალბათობის მატრიცა რისკების მოვლენათა გათვალისწინებით



უწყვეტობის დაგეგმვა

ბიზნეს უწყვეტობის მართვის მესამე ფაზა გულისხმობს ბიზნეს უწყვეტობის სტრატეგიის შემუშავებას. იმისათვის რომ მოხდეს ყველა იმ ძირითადი რისკის მინიმიზაცია, რომლის იდენტიფიცირებაც მოხდა უწყვეტობის მართვის წინა ეტაპებზე. ეს გულისხმობს უშუალოდ უწყვეტობის სტრატეგიის შემუშავებას, ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ინდივიდუალური პროცედურებისა და ინსტრუქციების ჩამოყალიბება-დანერგვას. ამ ეტაპზე, სამი სახის ორგანიზაციული აქტივების დაცვა უნდა იყოს გათვალისწინებული ბიზნეს უწყვეტობის პროცედურებისა და დაკავშირებული ინსტრუქციების მიერ. ესენია: ადამიანები, შენობა/ნაგებობები და ინფრასტრუქტურა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბი-

ზნეს უწყვეტობის გეგმა პირველ რიგში უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანების უსაფრთხოებას. შემდგომ ეტაპზე უნდა მოხდეს შენობა/ნაგებობების დაცვა და შესაბამისი გამაგრებითი ღონისძიებების გატარება. ეს გულისხმობს როგორც ბანკის (ორგანიზაციის) ძირითად სამუშაო სივრცეს, ასევე ბანკის ალტერნატიულ მონაცემთა ცენტრებსაც. ბოლოს, უნდა განხორციელდეს ორგანიზაციის ინფრასტრუქტურის დაცვა, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული აპარატურისა და საინფორმაციო სისტემების შეუფერხებელ რეჟიმში მუშაობას. მომდევნო მაგალითი წარმოადგენს ისრაელში მოქმედ ერთ-ერთი კომპანიის ინიციატივას რომელიც ჯერ არ დასრულებულა და შემუშავების პროცესშია.





კომპანია ბაინეტ დატა კომუნიკაციები

ისრაელი წარმოადგენს ქვეყანას, რომელიც უკიდურესად არამდგრად რეგიონში მდებარეობის მიუხედავად, გამოირჩევა პოლიტიკური და ფინანსური სტაბილურობის მაღალი დონით. ფინანსური სტაბილურობის ფარგლებში, განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ბიზნეს უწყვეტობის მართვის საკითხი. ქვეყნის მთავრობა, ისევე როგორც კერძო სექტორის წარმომადგენლები, აქტიურად არიან ჩართული ბიზნეს უწყვეტობის პრინციპების დამკვიდრებასა და გაღრმავებაში.

2013 წელს, ებრაულმა კომპანია ბაინეტ დატა კომუნიკაციებმა (Bynet Data Communications) ქალაქ იერუსალიმის ჰარ ჰოცვიმის²¹ რაიონის ქვეშ, წამოიწყო მასშტაბური პროექტი. მოცემული ინიციატივის ფარგლებში, მიწის ზედაპირიდან 35 მეტრის (დაახლოებით 10-სართულიანი შენობის) სიღრმეზე, შენდება შენობა-ნაგებობა, რომლის საერთო ფართობი 17 000 კვ. მეტრს წარმოადგენს. დაგეგმილია, რომ მოცემულ სივრცეში, განთავსდება 100 000 ერთეული კომპიუტერული სერვერი, რომლის სრული ტევადობა იმდენად მასშტაბური იქნება, რომ პოტენციურად უზრუნველყოფს ისრაელში არსებული ყველა ორგანიზაციის მონაცემების შენახვა/დაზღვევას და კრიტიკული ოპერაციების აღდგენის შესაძლებლობას²². მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ინიციატივა, რომლის დასრულებაც

2014 წლისთვის არის გათვალისწინებული, მიზნად არ ისახავს ქვეყნის ყველა მონაცემის შენახვას, პროექტში გათვალისწინებულია ისრაელის მთავრობის, მსხვილი ორგანიზაციებისა და მთლიანი საფინანსო სექტორის უწყვეტ რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფა ისეთი რეალური და პოტენციური საფრთხეების პირობებში, რომელთა მხოლოდ რამდენიმე მაგალითს წარმოადგენს ფართო-მასშტაბიანი კონფლიქტი, წყალდიდობა, მძლავრი მიწისძვრები, ელექტრომაგნიტური იმპულსები და კიბერ-შეტევა.

მიმდინარე ეტაპზე, ისრაელში არსებობს მრავალი მონაცემთა ცენტრი და დაწესებულება, რომლებიც ჩართულები არიან მთავრობისა და/ან სხვადასხვა ორგანიზაციის ბიზნეს უწყვეტობის მართვის პროცესში. არსებობს არაერთი მიწისზედა მონაცემთა ცენტრი და რამდენიმე მიწისქვეშა ალტერნატიული ცენტრიც. ზოგადად, მიწისზედა მონაცემთა ცენტრები ითვლება უფრო ნაკლებად დაცულად, ვიდრე ამავე მიზნისთვის გამოყენებული მიწისქვეშა შენობა-ნაგებობები. ამავდროულად, ძირითადი თუ ალტერნატიული მონაცემთა ცენტრების უმრავლესობა განლაგებულია ქალაქ თელ-ავივის ირგვლივ და არა იერუსალიმში. ასევე, ზემოაღნიშნული ცენტრების დიდი ნაწილი ორგანიზაციებს არ სთავაზობს მონაცემთა ცენტრების მომსახურების სრულ სპექტრს, რასაც სავარაუდოდ, კომპანია ბაინეტ დატა კომუნიკაციები განახორციელებს²³.

გეგმის დამტკიცება, მოქმედებაში მოყვანა და ტესტირება

სმ ფაზაში შედის ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დამტკიცების საკითხი. იმის შემდეგ რაც ბიზნეს უწყვეტობის გეგმა შემუშავდება ორგანიზაციის მიერ ყველა დაკავშირებული პროცედურებისა და ინსტრუქციების ჩათვლით, აუცილებელია დოკუმენტი

დამტკიცდეს ორგანიზაციის აღმასრულებელი მენეჯმენტის მიერ. სასურველია, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა დამტკიცდეს კომერციული ბანკის აღმასრულებელი დირექტორის მიერ. თუ აღმასრულებელი დირექტორის მიერ დოკუმენტის

21. ჰარ ჰოცვიმი წარმოადგენს ქ. იერუსალიმის და მთლიანად ისრაელის მაღალ-ტექნოლოგიურ ცენტრს.
22. Shamah, D., 2013, Ten stories down, Israel's data will be safe, Available from < <http://www.timesofisrael.com/ten-stories-down-israels-data-will-be-safe/> > [8 ოქტომბერი 2013]
23. არსებობს ისეთი შემთხვევები როდესაც ალტერნატიული მონაცემთა ცენტრი შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ თანამშრომლების განსათავსებლად ან პირიქით, მხოლოდ აპარატურული უზრუნველყოფის დასანერგად.

დამტკიცება შეუძლებელია, დოკუმენტის დამტკიცება უნდა მოხდეს ისეთი წამყვანი პირის მიერ, რომელსაც მთელი ორგანიზაციის მასშტაბით გააჩნია ნდობა და ძალაუფლება. დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ, უნდა მოხდეს გეგმის მოქმედებაში მოყვანა და გეგმაში დასახული ყველა მიზნის განხორციელება.

ტრეინინგი ასევე წარმოადგენს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის უკიდურესად მნიშვნელოვან ნაწილს. აუცილებელია ყველა იმ პერსონალისთვის ტრეინინგის ჩატარება, რომელიც როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ იქნება ბიზნეს უწყვეტობის გეგმასთან დაკავშირებული. აუცილებელია, რომ ყველა ზემოაღნიშნულმა პიროვნებამ მიიღოს ელემენტარული ტრეინინგი ბიზნეს უწყვეტობის გეგმის მიმართულებით. სასურველია, რომ ტრეინინგი იყოს მინიმალურზე უფრო მეტი და მოიცავდეს ბიზნეს უწყვეტობის სტრატეგიებსა და ამოცანებს, რის საფუძველზეც ორგანიზაცია დააპირებს აღადგინოს ოპერაციები. აღსანიშნავია, რომ მთლიანი ბიზნეს უწყვეტობის გეგმა უნდა იყოს სრულფასოვნად და გასაგებ ენაზე გაწერილი. შესაბამისად, ბიზნეს უწყვეტობასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა, ინსტრუქცია და მითითება უნდა იყოს წერილობითი ხასიათის. ასევე ხელმისაწვდომი

მასთან ყველა დაკავშირებული პირისთვის ორგანიზაციის მასშტაბით. ამავდროულად, ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ფასი იქნება უმნიშვნელო, თუ არ განხორციელდება გეგმის რეგულარული და სრულფასოვანი ტესტირება. აუცილებელია, რომ მოხდეს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ყველა კომპონენტის ტესტირება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სანამ მოხდება გეგმის სრული ტესტირება, სასურველია რომ შესრულდეს ე.წ. ქაღალდის ტესტირება²⁴, რაც გულისხმობს ტესტირების პროცესის წინასწარ სიმულაციას და პროცესუალურ განხილვას იქამდე, სანამ სრულფასოვანი ტესტირება ჩატარდება. დამატებით, ტესტირების ჩატარება უნდა მოხდეს რეგულარულად. წარსულის მოვლენებმა აჩვენა, რომ რაც უფრო ხშირად ტარდება ტესტირება, მით უფრო უკეთესია კონკრეტულ მოვლენაზე რეაგირების შედეგი²⁵. მაგალითად, სასურველია ტესტირებების არა ყოველწლიურად ჩატარება, არამედ ყოველ კვარტალში, რადგან ეს გაზრდის ორგანიზაციის თანამშრომლების ცნობიერების დონეს და ბიზნეს უწყვეტობის აღქმადობას. მომდევნო მაგალითი აღწერს იაპონიაში მომხდარ მიწისძვრის და ცუნამის გეგავლენის ერთერთ ეპიზოდს ამავე ქვეყნის საბანკო სექტორზე.

იაპონია: ბიზნეს უწყვეტობა და კომუნიკაცია

2011 წლის იაპონიის მიწისძვრის და შემდგომი ცუნამის შედეგად, ბიზნეს უწყვეტობის მართვის თვალსაზრისით გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი. მიუხედავად იმისა, რომ მოულოდნელი მოვლენების მიმართ იაპონური ორგანიზაციების მხრიდან დიდი მზადყოფნაა, იაპონიის ფინანსურ სექტორში დაფიქსირდა კომუნიკაციის პრობლემა. იაპონური საბანკო სექტორი მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად პირდაპირ არ დაზარალებულა, რადგან ამ სექტორში მოღვაწე ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის დედაქალაქში, ტოკიოშია განლაგებული, რომელიც იაპონიის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და მიწისძვრის ეპიცენტრი-

დან მოშორებულ ადგილას აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ტოკიოში არსებული ბანკების სათაო ოფისები დიდ შეფერხებებს წააწყდნენ, როდესაც უკავშირდებოდნენ ბანკის ფილიალებს და ფილიალებში მომუშავე თანამშრომლებს. მაგალითად, სათაო ოფისი დაზარალებული ფილიალებიდან ან საერთოდ ვერ იღებდა ინფორმაციას, ან დაგვიანებით მიეწოდებოდა კრიტიკული ინფორმაცია უშუალოდ ბანკის თანამშრომლების და ასევე, სხვადასხვა ოპერაციების შესახებ. შესაბამისად, ინფორმაციის გაცვლა პრაქტიკულად ვერ ხერხდებოდა თვითონ ორგანიზაციების შიგნით.

კომუნიკაციის პრობლემა წარმოიშვა მობილური და ფიქსირებულ-ხაზიანი კომუნიკაციების ქსელის გადატვირთულობის და ასევე სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ნაწილობრივი დაზიანების შე-

24. ISACA, 2010, CISA Review Manual 2010, 2009, Information Systems and Audit Control Association.

25. Summary of "Lessons Learned" from Events of September 11 and Implications for Business Continuity, (February 13, 2002), Available from: < <http://www.sec.gov/divisions/marketreg/lessonslearned.htm> > [30 სექტემბერი 2013]



დეგად. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ბანკებს გააჩნდათ ბიზნეს უწყვეტობის გეგმები, ტესტირების დროს სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა ბანკის სხვადასხვა ერთეულებთან კომუნიკაციის საკითხს. ერთ-ერთმა მსხვილმა ბანკმა გამოავლინა, რომ საგანგებო სიტუაციის დადგომის შედეგად ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ამოქმედების ფარგლებში, 10 პრობლემური საკითხიდან, რომელიც უშუალოდ ორ-

განიზაციის მზადყოფნას ეხებოდა, შვიდი ხარვეზი კომუნიკაციისა და ურთიერთკავშირის ნაკლებობას უკავშირდებოდა²⁶. ყველა შემთხვევაში გამომდინარე, აუცილებელია კომუნიკაციების არხებისა და თანამშრომლებთან კონტაქტის დამყარების ტესტირება, ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ტესტირების ფარგლებში.

დასკვნა

როგორც წინა სექციებში აღინიშნა, იმისათვის რომ ორგანიზაციამ დანერგოს ბიზნეს უწყვეტობის ეფექტიანი მართვის მექანიზმები, საკმარისი არ არის მხოლოდ ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავება. ეფექტიანობის თვალსაზრისით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ორგანიზაციის აღმასრულებელი მენეჯმენტის ჩართულობა ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დაგეგმარების პროცესში. სასურველია, აღმასრულებელი მენეჯმენტი აქტიურად ადევნებდეს თვალყურს ბიზნეს უწყვეტობის შემუშავება/განხორციელების ყველა ეტაპს. ამასთან, მნიშვნელოვანია მთლიანი ორგანიზაციის მასშტაბით ცნობიერების ამაღლება უწყვეტობის საკითხების მიმართულებით. თუ ორგანიზაციას არ გააჩნია მცოდნე და ცნობიერება-ამაღლებული პერსონალი, მაქსიმალური უკუგების მიღება ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დანერგვიდან იქნება რთული.

ამასთან, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკვე ინერგება ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ დაარეგულირებენ ბიზნეს უწყვეტობის მართვის საკითხებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბანკო სფეროსთვის, რადგან საბანკო სფერო ტრადიციულად ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული სექტორია, რომლის შეფერხებამაც შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს ეკონომიკის დანარჩენ სექტორებს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა კომერციულ ბანკში აქტიურად ხორციელდებოდეს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის საკითხებზე მსჯელობა, რათა გაანალიზდეს რამდენად მზად არის ორგანიზაცია სხვადასხვა სახის რისკების ფონზე, უწყვეტ რეჟიმში შეინარჩუნოს მომსახურების განხორციელების შესაძლებლობა.

26. Campbel A, Lessons from Japan: Communication key to business continuity, (September 26, 2011), Available from <http://www.risk.net/operational-risk-and-regulation/feature/2111999/lessons-japan-communication-key-business-continuity> [8 ოქტომბერი 2013]

გამოყენებული ლიტერატურა

1. The World Trade Center Disaster: Who Was Prepared? Available from: <http://wps.prenhall.com/bp_laudon_essmis_6/21/5556/1422339.cw/content/index.html>. [29 სექტემბერი 2013].
2. Gibson, S. 2001, eSpeed Lifts Cantor Fitzgerald. Available from: <<http://www.architecture.com.au>>. [25 სექტემბერი 2013].
3. Scheeres, J. 2001. Attack Can't Erase Stored Data. Available from: <<http://www.wired.com/techbiz/media/news/2001/09/47004?currentPage=all>>. [30 სექტემბერი 2013]
4. Bank of New York (n.d.), Available from: <http://en.wikipedia.org/wiki/Bank_of_new_york>. [29 სექტემბერი 2013].
5. Cantor Fitzgerald (n.d.), Available from: <http://en.wikipedia.org/wiki/Cantor_Fitzgerald>. [29 სექტემბერი 2013].
6. Summary of "Lessons Learned" from Events of September 11 and Implications for Business Continuity, (February 13, 2002), Available from: <<http://www.sec.gov/divisions/marketreg/lessonslearned.htm>>. [30 სექტემბერი 2013]
7. Doughty, K., 2002, Business Continuity: A Business Survival Strategy, ISACA Journal - Volume1, ISACA.
8. Pironti, J. P., 2009, Key Considerations for Business Resiliency, ISACA Journal - Volume3, ISACA.
9. ISACA, 2010, CISA Review Manual 2010, 2009, Information Systems and Audit Control Association.
10. Stewart, JM, Tittel, E,&Chapple, M., 2011,CISSP: Certified Information Systems Security Professional Study Guide, 5th edn, Wiley Publishing, Indianapolis, IN.
11. Campbel A, 2011, Lessons from Japan: Communication key to business continuity, (September 26, 2011), Available from <http://www.risk.net/operational-risk-and-regulation/feature/2111999/lessons-japan-communication-key-business-continuity> [8 ოქტომბერი 2013]
12. Shamah, D., 2013, Ten stories down, Israel's data will be safe, Available from <<http://www.timesofisrael.com/ten-stories-down-israels-data-will-be-safe/>> [8 ოქტომბერი 2013]





ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობა და ფინანსური განათლების მნიშვნელობა მომხმარებელთა უფლებების დაცვისთვის

შესავალი

ბოლო წლებში, განსაკუთრებით ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, მრავალი ქვეყნის მთავრობებს უფროდაუფრო აწუხებთ თავიანთი მოქალაქეების ფინანსური განათლების დონე (OECD, 2012). აღნიშნული საკითხი აქტუალურია როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ბაზრებზე. ფინანსური განათლების ამაღლების საკითხი მრავალ ქვეყანაში განიხილება როგორც ფინანსური მომსახურების მომხმარებელთა უფლებების დაცვის უფრო ფართო პრობლემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მრავალ ქვეყანაში უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები ამ კუთხით, მათ შორის საქართველოშიც. ფინანსური განათლებისადმი მზარდ ინტერესს მსოფლიოს ნაკლებად მდიდარ ნაწილში აქვს სხვადასხვა მამოძრავებელი მოტივი, რომელთაგან სამი უმთავრესია: ფინანსური განათლების დაბალი დონე; ფინანსური ხელმისაწვდომობისა და გამოყენების დაბალი დონე; და იმის აღიარება, რომ ფინანსები ინოვაციისა და ზრდის კრიტიკული ელემენტია (Holzmann, Robert, 2010).

ფინანსური სფეროს, განსაკუთრებით საცალო სეგმენტის მომხმარებელთა დაცვის პრობლემა შედარებით ახალია და წინა წლებში ნაკლებად იდგა დღის წესრიგში, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ბაზრებზე. საქართველოში აღნიშნულის ძირითადი მიზეზი, საფინანსო ბაზარზე ნაკლები ხელმისაწვდომობაა, რაც ძირითადად კორპორატიული სექტორის დომინირებით და, შესაბამისად, საფინანსო კულტურის დაბალი დონით გამოიხატებოდა. თუმცა, სწრაფმა გლობალურმა, მათ შორის ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, საფინანსო სექტორი მეტად ხელმისაწვდომი გახადა საცალო მომხმარებლებისთვისაც, აქტიურად იზრდება საცალო საფინანსო სექტორი განსაკუთრებით განვითარებად ბაზრებზე. სექტორის ზრდის, ინოვაციური

პროდუქტების დანერგვისა და მათი კომპლექსურობის, ასევე ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად, იმატა ბაზრის ჩავარდნის რისკმაც. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება აღნიშნულ ჩავარდნებთან ბრძოლის გზების ძიება და მათი განხორციელება.

სტატიის მიზანია, მოკლედ მიმოიხილოს ფინანსური განათლების, როგორც მომხმარებელთა დაცვის შემადგენელი ძირითადი ნაწილის კუთხით არსებული პრობლემები და ამ პრობლემების გადაწყვეტის შესაძლო გზები.

სტატიის პირველ ნაწილში განხილულია ის პრობლემები, რომლებსაც თანამედროვე მომხმარებელი ეჯახება ფინანსური პროდუქტების გამოყენების დროს. აღნიშნული მოიცავს პროდუქტების გამჭვირვალობისა და ფინანსური განათლების დაბალ დონეს. სტატიაში ასევე განხილულია ფინანსური პირამიდის თაღლითური სქემა, რომელიც პირველ რიგში ფინანსური განათლების დაბალი დონის მქონე მომხმარებლებს აზარალებს. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემები პირდაპირ აისახება მომხმარებელთა ფინანსურ კეთილდღეობაზე.

სტატიაში ასევე განხილულია ზემოხსენებულ პრობლემებთან ბრძოლის გზები. აღნიშნული მოიცავს ძირითადად სამ მიმართულებას: ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ფინანსური განათლების დონის ამაღლებასა და რეგულირებას. სამივე კომპონენტი წარმოდგენს მომხმარებელთა უფლებების დაცვის უფრო ფართო მიზნის განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, სტატიაში ასევე წარმოდგენილია ეუთო-ს მიერ შემუშავებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის პრინციპები. და ბოლოს, განხილულია მომხმარებელთა დაცვის მიზნით ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მნიშვნელობა.



პროდუქტების გამჭვირვალობისა და ფინანსური განათლების დაბალი დონის ნეგატიური გავლენა მომხმარებლების ფინანსურ მდგომარეობაზე

ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისებმა, რომლებსაც აშშ-ს ე.წ. სუბპრაიმ იპოთეკურმა კრიზისმა დაუდო სათავე, ნათელი გახადა, რომ მომხმარებელთა დაცვისათვის რამდენად მნიშვნელოვანია მათი ფინანსური განათლება და ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობა. თანხმდებიან, რომ ხსენებული კრიზისების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ფინანსური განათლების დაბალი დონე იყო, რამდენადაც მან ხელი შეუწყო ცუდად ინფორმირებულ ფინანსურ გადაწყვეტილებებს. კერძოდ, უძრავი ქონების გამოუცდელი (unsophisticated) მყიდველები იმედოვნებდნენ, რომ უძრავი ქონების ფასი მუდმივად მზარდი იქნებოდა (Rahn, Richard W., 2010). თავის მხრივ, ამ გადაწყვეტილებებს ჰქონდათ უდიდესი ნეგატიური „გადამდები“ (ე.წ. spill-over) ეფექტი. შესაბამისად, დღეისათვის ფინანსური განათლების მაღალი დონე მთელს მსოფლიოში მიჩნეულია ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობისა და განვითარების მნიშვნელოვან ელემენტად (OECD, 2012).

გარდა ფინანსური და ეკონომიკური კრიზისისა, არის რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ზურგს უმაგრებენ ფინანსური განათლებისადმი მზარდ გლობალურ ინტერესს:

- მზარდი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა – ბაზარსა დაზოგადად ეკონომიკაში ცვლილებების კვალდაკვალ იზრდება მომხმარებელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა და, შესაბამისად, მათ მიერ ინდივიდუალურ დონეზე აღებული პასუხისმგებლობა (OECD, 2012). აღნიშნულის გამომწვევი ფაქტორები სიცოცხლის მზარდი ხანგრძლივობაა, პირადი და ოჯახის სამედიცინო ხარჯების დაფინანსება, მზარდი ხარჯები განათლებისთვის, ფინანსური პროდუქტების გამოყენება და ა.შ. ფინანსური განათლების მაღალი დონე აუცილებელია ინფორმირებული და, შესაბამისად, პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.
- ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების მზარდი ფართო არჩევანი – ფინანსური შუამავლების მიერ სხვადასხვა არხით შეთავაზებული

უამრავი პროდუქტი, რომლებიც უფროდაუფრო კომპლექსური ხდება, აიძულებს მომხმარებლებს არჩევანის გასაკეთებლად ერთმანეთს შეადარონ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა საკომისიო, საპროცენტო განაკვეთი, ვადა და რისკის დონე. მათ ასევე უწევთ უშუალოდ მომწოდებლებიდან მათთვის ყველაზე ხელსაყრელის არჩევა. ტექნოლოგიების განვითარება ფინანსურ პროდუქტებს უფრო ხელმისაწვდომს ხდის და აუმჯობესებს ფინანსურ ჩართულობას.

- მზარდი მოთხოვნა ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებაზე – ეკონომიკურმა და ტექნოლოგიურმა განვითარებამ მასობრივი ცვლილებები გამოიწვია კომუნიკაციასა და ფინანსურ ტრანზაქციებში. შესაბამისად, სოციალურ ურთიერთობებსა და მომხმარებლის ქცევაში (OECD, 2012). მომხმარებლები სულ უფრო ხშირად იყენებენ ფინანსურ მომსახურებას ელექტრონული არხებით ხელფასის მისაღებად, გადარიცხვებისათვის, კომუნალური გადასახდელების გადასახდელად, ონლაინ ტრანზაქციებისთვის და ა.შ. ვისაც ხელი არ მიუწვდება მსგავს მომსახურებაზე, მას უფრო მეტის გადახდა უწევს ფულად ოპერაციებში.

ზემოხსენებული ტენდენციების გათვალისწინებით პასუხისმგებლობა ძირითად ფინანსურ გადაწყვეტილებებზე მომხმარებლებზე გადადის. ამასთანავე, იზრდება შეთავაზებების რაოდენობა და მათი კომპლექსურობა. შესაბამისად, მომხმარებლები უნდა იყვნენ ფინანსურად უფრო განათლებულები, რათა დაიცვან საკუთარი ინტერესები და ფინანსური კეთილდღეობა.

ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობის დაბალი დონე ნეგატიურ გავლენას ახდენს მომხმარებელთა, განსაკუთრებით კი გამოუცდელ მომხმარებელთა ფინანსურ კეთილდღეობაზე. კერძოდ, იზრდება მომხმარებლების მიერ საკუთარ თავზე ისეთი ვალდებულებების აღების რისკი, რომლის შესრულებაც გართულებულია, ზოგჯერ კი შეუძლებელიც. აღნიშნული თავის მხრივ იწვევს ე.წ. ჭარბვალიანობას (overindebtedness).

აღნიშნულის გარდა, ფინანსური ინსტიტუტების შესაძლო არაკეთილსინდისიერი და პროდუქტების გაყიდვაზე ორიენტირებული ქცევის პირობებში იზრდება მომხმარებლების გადატვირთვა პროდუქტებით. ფინანსური ინსტიტუტები ხშირად იყენებენ ე.წ. პაკეტურ შეთავაზებებს, რაც გულისხმობს მომხმარებლისთვის ერთზე მეტი პროდუქტის შეთავაზებას სპეციალურ ფასად – რამდენიმე პროდუქტის ერთდროულად შექმნის შემთხვევაში მომხმარებელი იხდის იმაზე ნაკლებ საკომისიოს, ვიდრე გადაიხდიდა აღნიშნული პროდუქტების ცალ-ცალკე შექმნისას. თუმცა, საყურადღებოა, რომ მსგავსი შეთავაზებისას, უმეტესწილად, ფასს განსაზღვრავს პროდუქტების რაოდენობა და მათი შექმნის, და არა სარგებლობის ფაქტი. შესაბამისად, „ნაკლები ფასით“ მოზიდული მომხმარებელი ყიდულობს რამდენიმე პროდუქტს, რომელთაგან შესაძლოა რეალურად მხოლოდ ერთი სჭირდებოდეს. აღნიშნულის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაყიდული პროდუქტების რაოდენობაზე ორიენტირებული თანამშრომელთა წახალისების სისტემა. მართალია,

ხშირ შემთხვევაში, პაკეტური შეთავაზების დროს ფინანსური ინსტიტუტი ყიდის საბაზისო პროდუქტებს, რომელთა ფასი შედარებით დაბალია და, შესაძლოა, არამატერიალური იყოს. თუმცა, დროთა განმავლობაში დაგროვებული საკომისიოს გადახდა, შესაძლოა, მომხმარებლისათვის გართულდეს.

მომხმარებელთა ფინანსური განათლებისა და პროდუქტების გამჭვირვალობის დაბალი დონე, შესაძლოა ე.წ. დეფოლტის, იგივე მომხმარებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზიც გახდეს. აღნიშნული უარყოფითად მოქმედებს როგორც ფინანსური ინსტიტუტის ფინანსურ მდგომარეობაზე ვადაგადაცილებული და/ან უმოქმედო სესხების მზარდი წილით მთლიან საკრედიტო პორტფელში, ასევე, უშუალოდ მომხმარებლის ფინანსურ კეთილდღეობაზე.

ფინანსური განათლების დაბალი დონის პირობებში არსებობს სხვადასხვა სახის თაღლითური სქემების წარმოშობის საფრთხე. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ფინანსური პირამიდები, რომლის დეტალური მიმოხილვა მოცემულია ჩანართში №1.

ჩანართი №1.

ფინანსური პირამიდები და მათთან ბრძოლის გზების მიმოხილვა

ფინანსური პირამიდები

2013 წლის დასაწყისში ბაზარზე გამოჩნდა ორგანიზაცია, რომელიც კომპანიაში გაწევრიანებისა და შესაბამისი ინვესტიციის ჩადების მსურველ მოსახლეობას მოკლე დროში შეუსაბამოდ მაღალი – წლიური რამდენიმე ასეული ათასი პროცენტის (!!!) – სარგებლის მიღებას სთავაზობდა. აღნიშნული სარგებლის მისაღებად მომხმარებელს კიდევ ოთხი ადამიანი უნდა „გაეწევრიანებინა“ ორგანიზაციაში. ფირმის წარმომადგენელთა განცხადებით, მათ ჰქონდათ ქსელური მარკეტინგის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემოტანას და ამონაგები ფულით მოსახელობის დამხარებას

(ჟურნალი „ლიბერალი“, 2013; საინფორმაციო სააგენტო მედიანიუსი, 2013). შესაძლოა, ამ ისტორიამ მკითხველს 90-იან წლებში მრავლად არსებული მსგავსი კომპანიები გაახსენოს – „აჩი“, „ოქროს თასი“, „სპექტრი“, „საქართველო“ და სხვა. მაშინ საქართველოს მოსახლეობამ საკმაოდ დიდი ონდენობის თანხა დაკარგა, ხოლო კომპანიის მფლობელებმა კი დიდი შემოსავალი მიიღეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2013 წლის თებერვალში ეროვნულმა ბანკმა გაავრცელა შესაბამისი განცხადება, რომელიც მოუწოდებდა მომხმარებლებს სიფრთხილე გამოეჩინათ მსგავს კომპანიებში თანხის დაბანდებისაგან და წინასწარ მოეძიათ ინფორმაცია¹.

1. საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადება, 2013 წლის 18 თებერვალი: ბოლო პერიოდში ქართული მედიასაშუალებების სარეკლამო სივრცეში გამოჩნდა კომპანიები, რომლებიც წარმოებული ინტენსიური სარეკლამო კამპანიის საშუალებით, მოსახლეობას მოკლე ვადაში ბაზრისათვის არაადეკვატურად მაღალი სარგებლის მიღებას სთავაზობენ. მაღალია ალბათობა იმისა, რომ ისინი ფიზიკური პირებისაგან მოზიდულ სახსრებს საკმაოდ რისკიან აქტივებსა თუ ბიზნეს საქმიანობაში აბანდებენ. უმეტეს შემთხვევაში კი მათი მოქმედება „ფინანსური პირამიდის“ კლასიკური მოდელის ნიშნებსაც შეიძლება ატარებდეს. უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მსგავსი ტიპის კომპანიები არ კონტროლდება ეროვნული ბანკის მხრიდან, შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება საზედამხედველო ნორმები და სანქციები. ამიტომ, ეროვნული ბანკი მიმართავს მოქალაქეებს და მოუწოდებს მათ, რომ მეტი სიფრთხილით მოეკიდონ საკუთარი სახსრების განთავსებას ეროვნული ბანკის მიერ არარეგულირებად ინსტიტუტებში. რისკის თავიდან აცილების მიზნით, წინასწარ მოიძიონ ინფორმაცია აღნიშნული კომპანიების საქმიანობისა და გადამხდელუნარიანობის მდგომარეობის შესახებ.



ზემოხსენებული ფორმები წარმოადგენენ ფინანსური პირამიდის, ე.წ. პონცის სქემის კლასიკურ მაგალითს. რამდენიმე სიტყვით შევხებით კლასიკურ პირამიდას.

კლასიკური პირამიდა

კლასიკური პირამიდა არის ბიზნესის წარმოების ისეთი სქემა, როდესაც ორგანიზაცია იზიდავს სახსრებს მოსახლეობის ღია წრიდან და სანაცვლოდ მათ სთავაზობს გარკვეულ სარგებელს (Clements Len, 1997; Central Bank of Sri Lanka, 2007), ხშირ შემთხვევაში ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების არაადეკვატურს. ამასთან, ორგანიზაცია არ აწარმოებს რეალურ ბიზნესს და მისი შემოსავლის და ვალდებულებების მომსახურების ერთადერთი წყაროა ახალი წევრებისაგან და/ან არსებული წევრებისაგან დამატებით მოზიდული სახსრები (Kwan, Joseph, 2011). კერძოდ, სქემაში მონაწილეობისათვის პირი იხდის საწევროს წინასწარ ან სქემაში ჩართვის შემდეგ, რაც მას აძლევს უფლებას მიიღოს სარგებელი მის მიერ შემდგომში სქემაში ჩართული ახალი მონაწილეების მიერ გადახდილი საწევროდან. თუმცა, ახალი მონაწილეების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება ვალდებულებებიც. შესაბამისად, მაშინ, როდესაც შეუძლებელი იქნება ახალი წევრების ან არსებული წევრებისაგან დამატებითი თანხების მოზიდვა, სქემა დაიშლება. ამასთან, სქემაში მონაწილეობისაკენ მას სრულად ან ნაწილობრივ უბიძგებს მის მიერ სქემაში მოწვეული ახალი წევრებისაგან მისაღები სარგებლის პერსპექტივა. შესაძლოა, დაწესებული იყოს გარკვეული ლიმიტი მონაწილეთა რაოდენობაზე, ან გარკვეული პირობები ზემოაღნიშნული უფლების მისაღებად.

ზოგიერთ შემთხვევაში პირამიდის შესანიღბად კომპანიები იყენებენ ე.წ. მრავალდონიანი მარკეტინგის შირმას, როდესაც კომპანია ახორციელებს გარკვეული საქონლის/მომსახურების გაყიდვას. ამ დროს სქემაში მონაწილეობისა და სარგებლის მიღებისათვის მხოლოდ საწევროს გადახდა არ არის საკმარისი. ამ შემთხვევაში სქემა მონაწილეებს სთავაზობს გარკვეული საქონლის/მომსახურების შეძენას. ამასთან, საქონელი შეიძლება შეთავაზებული იყოს როგორც კომპანიის, ასევე სქემის მონაწილე

ნებისმიერი პირის მიერ. თუმცა, აღნიშნული საქონლის/მომსახურების შეთავაზება ხდება კომერციულად გაუმართლებელი რაოდენობით და/ან ღირებულებით (მნიშვნელოვნად აღემატება ბაზარზე არსებული მსგავსი საქონლის/მომსახურების ღირებულებას). შესაბამისად, მსგავსი ტიპის სქემაც განიხილება პირამიდად. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში, მონაწილის მიერ მისაღები სარგებელი დიდწილად დამოკიდებულია მის მიერ სქემაში ჩართული ახალი მონაწილეების რაოდენობაზე და არა გაყიდული საქონლის/მომსახურების რაოდენობაზე.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნების უმრავლესობაში მსგავსი სქემები აკრძალულია და ითვლება კრიმინალად. ამასთან, უკანონო პირამიდის სქემის პიდაპირ ან ირიბად ინიცირება, პირისთვის სქემაში მონაწილეობის შეთავაზება, მონაწილეობა, სქემის ხელშეწყობა, რეკლამირება, ფინანსირება, მართვა, ან გაძღოლა. გარდა ამისა, უკანონო იმ პირების საქმიანობა, რომლებიც სხვა პირს უბიძგებენ მონაწილეობა მიიღონ სქემაში მაშინ, როდესაც მათ აქვთ ინფორმაცია, რომ შესაძლო მისაღები სარგებელი სრულად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია ახალი მონაწილეების მიყვანაზე. სასჯელად მიღებულია როგორც ფულადი ჯარიმა, ასევე თავისუფლების აღკვეთა. გარდა ამისა, სამართლოს შეუძლია სამართალდამრღვევს დააკისროს კომპენსაცია დაზარალებული პირის სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით ფინანსური პირამიდა არ რეგულირდება და არ არსებობს მისი ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი შესაძლო ზარალის გამო ორგანიზაციის და/ან პიროვნების პასუხისმგებლობის მექანიზმი. გამომდინარე იქიდან, რომ პირამიდის სქემა საბოლოოდ ნებისმიერ შემთხვევაში განწირულია კოლაფსისათვის, რაც სქემაში მონაწილეებს მიაცენებს ფინანსურ ზარალს, ვფიქრობთ, საჭიროა სქემის უნიფიცირებული დეფინიციის შემუშავება და საქმიანობის კრიმინალიზაცია, რომელიც ექცევა პირამიდის განმარტების ქვეშ. ამასთან, დასჯადი უნდა იყოს არამართო სქემის ჩამოყალიბება, არამედ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს პირამიდის

ფუნქციონირებას. გარდა ამისა, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლებელია მსგავსი კომპანიების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომი სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით გავრცელება (FSA – Warning: unauthorized firms and individuals).

აღსანიშნავია, რომ ფინანსური პირამიდების საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევის მიუხედავად, პოტენციური თაღლითები ყოველთვის ეცდებიან გვერდი აუარონ რეგულირებას და თავიანთი მიზნების განსახორციელებლად უფრო დახვეწილი სქემები შექმნან. შესაბამისად, რეგულირების პარალელურად აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს მომხმარებელთა ფინანსური განათლების დონის ამაღლებაზე. ამასთან, მომხმარებელთა უკეთ ინფორმირებისა და ფი-

ნანსურ პირამიდებთან დაკავშირებული შესაძლო რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით აუცილებელია შესაბამისი საინფორმაციო სივრცის გამოყენება ფინანსური პირამიდების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით. მაგალითად, არსებობს ვებ-გვერდები, სადაც მოცემულია ფინანსური პირამიდის საერთო დამახასიათებელი ნიშნები, აღწერილია როგორ ხდება ადამიანების სქემაში ჩართვა, ახსნილია რატომ არის პირამიდა თაღლითური სქემა, როგორია მსგავს სქემაში მონაწილეობასთან დაკავშირებული რისკები, როგორია საზოგადოების პასუხისმგებლობა მსგავსი სქემების გამოვლენის პროცესში და სხვა (Central Bank of Sri Lanka, 2007; 9 Signs You're Involved in a Pyramid Scheme, 2009; Clements Len, 1997).





პრობლემის გადაწყვეტის გზები

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჩარჩო მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობისა და მომხმარებელთა ფინანსური განათლების დონის ამაღლების უზრუნველყოფასა და რეგულირებას.

ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობა უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ პროდუქტის მახასიათებლებისა და შესაბამისად მასთან ასოცირებული რისკების გაანალიზებას, ასევე სხვადასხვა ფინანსური მომსახურების მიმწოდებლების მიერ შეთავაზებული მსგავსი პროდუქტების შედარებას, რაც ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი, ასევე მომხმარებლისთვის ფინანსურად მაქსიმალურად ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა. თუმცა, ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობის პირობებშიც კი შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების არქონის გამო, მომხმარებელმა შესაძლოა ვერ შეძლოს რისკების იდენტიფიცირება და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც უარყოფითად აისახება მის ფინანსურ კეთილდღეობაზე. შესაბამისად, ფინანსური განათლების დონის ამაღლების გარეშე პროდუქტების გამჭვირვალობის უზრუნველყოფამ, შესაძლოა, სასურველი შედეგი ვერ გამოიღოს.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ორივე კომპონენტის უზრუნველყოფის პირობებშიც კი მომხმარებელმა, შესაძლოა, ვერ გაითვალისწინოს მეორადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური გადაწყვეტილებების შედეგებზე. მაგალითად, პროდუქტით სარგებლობასთან დაკავშირებული დამატებითი საკომისიოები, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის და/ან წინასწარ შეწყვეტისათვის გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები და პირგასამტეხლოები, ხელშეკრულების პირობების ფინანსური შუამავლის მიერ ცალმხრივად ცვლილების შესაძლებლობა და ასეთი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში დამატებითი ტვირთი და ა.შ. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საცალო ფინანსური ბაზრისათვის, სადაც მომხმარებლის მიერ მცირე ზომის პროდუქტის დე-

ტალური შესწავლა ხარჯების გამო არ არის ეფექტიანი. შესაბამისად, მომხმარებლის ქცევა არ არის ოპტიმალური, რადგან მის მიერ შიძლება უგულებელყოფილ იქნას ისეთი ფაქტორები, რომელთა რეალიზაციის ალბათობა დაბალია. ფინანსური ინსტიტუტებისათვის ინდივიდუალურად ოპტიმალური ქცევაა მოახდინონ ამ ფაქტორებზე მაქსიმალურად მათთვის ხელსაყრელი პირობების დადგენა.² აღნიშნული მოვლენის დადგომისას მომხმარებელი მართო რჩება ფინანსური ინსტიტუტის წინაშე, სადაც სამართლიანი საბაზრო პრინციპების გამოყენება ვერ ხერხდება. შედეგად, ბაზარი ვერ აღწევს რესურსების ეფექტიან განაწილებას, ეს შესაძლებელია განხილულ იქნას როგორც რეგულირების რაციონალიზაციის წინაპირობა. რეგულირებას შეუძლია მოახდინოს აღნიშნული ხარჯების შემცირება მეორადი ფაქტორების სტანდარტიზირებისა და დაბალი ალბათობების მქონე მოვლენის დადგომის დროს, ფინანსური ინსტიტუტის უფრო სამართლიანი ქცევის წახალისებით.

CGAP-ის მიერ 2012 წელს ჩატარდა კვლევა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში: აზერბაიჯანი, ალბანეთი, ბოსნია, კოსოვო, მაკედონია, რუსეთი, საქართველო, სერბეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი.

ამ ქვეყნებიდან თითოეულს აქვს მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკუთარი მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩო კანონებისა და რეგულაციების სახით, რომლებიც ეფუძნება მომხმარებელთა დაცვის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორებიცაა გამჭვირვალობა და ინფორმაციის გამჟღავნება, სამართლიანი მოპყრობა, დავების გადაწყვეტის მექანიზმების ხელმისაწვდომობა. აღნიშნული რეგულაციების აღსრულებას ძირითადად ახორციელებენ ცენტრალური ბანკები ან ფინანსური სფეროს საზედამხედველო ორგანოები. ზოგჯერ იქმნება სპეციალური განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, სერბეთი).

2. აღსანიშნავია რომ კოლექტიურად ეს ქცევა არ არის ოპტიმალური, რამეთუ საბოლოო ჯამში მომხმარებელი ფინანსური პროდუქტის ფასს უფრო ძვირად აღიქვამს და პროდუქტზე მოთხოვნას ამცირებს. მსგავსი სახის საბაზრო ჩვარდნები ეკონომიკაში ცნობილია „პატიმრის დილემისა“ და „თემის ტრაგედიის“ სახელით.

ცხრილი №1.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო

| ქვეყანა | ფინანსური მომსახურება, რომელსაც ფარავს რეგულაცია | მარეგულირებელი ორგანო |
|-----------------------|---|--|
| ალბანეთი | ბანკებისა და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების, ასევე სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებული სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტები, დეპოზიტები, ასევე სხვა ტიპის კრედიტები | ცენტრალური ბანკი, ფინანსური საზედამხედველო ორგანო |
| სომხეთი | სამომხმარებლო კრედიტები, დეპოზიტები, პროდუქტები და მომსახურებები, რომელსაც სთავაზობენ ყველა ტიპის ფინანსური ინსტიტუტები (ბანკები, არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები, სადაზღვევო კომპანიები, საგადაამხდელო კომპანიები, საინვესტიციო კომპანიები, ლომბარდები) | ცენტრალური ბანკი |
| აზერბაიჯანი | საბანკო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კრედიტები, სხვა საბანკო მომსახურებები | ცენტრალური ბანკი, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფო სამსახური |
| ბოსნია და ჰერცეგოვინა | საბანკო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კრედიტები, საბანკო დეპოზიტები | ბოსნია და ჰერცეგოვინას ფედერაციისა და სრპსკას რესპუბლიკის საბანკო სააგენტოები |
| საქართველო | საბანკო კრედიტები და დეპოზიტები | ცენტრალური ბანკი |
| ყაზახეთი | კრედიტები, იპოთეკური კრედიტები, დეპოზიტები | ცენტრალური ბანკი |
| კოსოვო | კრედიტები (მიკროსაფინანსო ორგანიზაციები), სადაზღვევო მომსახურება | ცენტრალური ბანკი |
| ყირგიზეთი | კრედიტები და დეპოზიტები | ცენტრალური ბანკი |
| მაკედონია | სამომხმარებლო კრედიტები | ცენტრალური ბანკი |
| რუსეთი | კრედიტები, სხვა მომსახურებები, საინვესტიციო და ფასიანი ქაღალდების მომსახურება | ცენტრალური ბანკი, ფინანსური ბაზრების ფედერალური სააგენტო, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერალური სააგენტო |
| სერბეთი | ყველა საბანკო მომსახურება | ცენტრალური ბანკი |
| ტაჯიკეთი | კრედიტები | ცენტრალური ბანკი |

წყარო: CGAP, Financial Consumer Protection Regulation in Europe/Central Asia, 31 July 2012.



როგორც ცხრილიდან ჩანს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის პრიორიტეტები და პრაქტიკული იმპლემენტაცია ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. ამასთან, რეგულირება ძირითადად მიმართულია პროდუქტის შესახებ სრული ინფორმაციის მომხმარებლისთვის მიწოდებაზე. ძირითადად რეგულირება ეხება სამომხმარებლო და იპოთეკურ კრედიტებს. ინფორმაციის გამჟღავნება მოიცავს კრედიტის ნომინალურ და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს, ხარჯებს, სხვა მნიშვნელოვან სახელშეკრულებო ინფორმაციას, როგორცაა მაგალითად, კრედიტის წინსწრებით დაფარვის უფლება, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში მხართა პასუხისმგებლობა, ზუსტი და სამართლიანი რეკლამა და მარკეტინგული აქტივობა. წესები ხშირად ეხება დეპოზიტებსაც. ამასთან, მარეგულირებელი აქტები ასევე მოიცავს მომხმარებლისადმი სამართლიანი მიდგომის ელემენტებს, როგორცაა პასუხისმგებლიანი დაკრედიტება და ჭარბვალთანობის თავიდან აცილება. ქვეყნების უმრავლესობას აქვს პრეტენზიების მიღებისა და მათზე ეფექტური რეაგირების წესები.

აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წელს აამოქმედა სპეციალური წესი, რომელიც ითვალისწინებს კომერციული ბანკების მიერ საცალო საბანკო მომსახურების მიწოდებისას მომხმარებლისათვის გარკვეული ინფორმაციის აუცილებელი წესით გაცნობას. აღნიშნული მოიცავს კრედიტის ნომინალურ და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს, კრედიტით სარგებლობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში კრედიტორის პასუხისმგებლობას წინასწარ მოახდინოს მომხმარებლის ინფორმირება ცვლილების შესახებ, ინფორმაცია სავალუტო რისკების შესახებ და ა.შ. აღნიშნული წესი ასევე ვრცელდება სადეპოზიტო ხელშეკრულებებზეც. ამასთან, წესი ითვალისწინებს საცალო საკრედიტო და სადეპოზიტო ხელშეკრულებების სტანდარტიზაციას, რაც გულისხმობს ზემოხსენებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის აუცილებელი წესით ხელშეკრულების თავსართში განთავსებას.

ინფორმაციის გამჟღავნების და ხელმისაწვდომობის გარდა, ფინანსური პროდუქტებისა და უშუალოდ ფინანსური შუამავლების გამჭვირვალობის

ამაღლება ერთ-ერთი პრიორიტეტული უნდა იყოს ფინანსური სექტორისათვის (KPMG, 2012). მომხმარებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესის ღიაობა და გამჭვირვალობა. აღნიშნული სცილდება უბრალოდ ინფორმაციის გამჟღავნებას და მოიცავს უფრო ფართო პასუხისმგებლობას მომხმარებლის ინფორმირებულობისა და ფინანსური განათლების კუთხით. პრინციპი “caveat emptor” (ლათ. დაე, მყიდველი იყოს ფრთხილად) ფინანსური მომსახურების მიწოდებელს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან მოიქცეს სამართლიანად გამყიდველსა და მყიდველს შორის ინფორმაციის მნიშვნელოვანი დისბალანსის ფონზე (KPMG, 2012). ფინანსურმა შუამავლებმა აქტიურად უნდა უზრუნველყონ, რომ მომხმარებლებს ესოდეთ მათთვის შეთავაზებული ვარიანტები, გასაგები იყოს კომპლექსური პროდუქტები და მომსახურებები, ასევე, სრულად აცნობიერებდნენ გადასახდელ ფასს იმისათვის, რომ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება.





ზემოხსენებული მარეგულირებელი ჩარჩოები ძირითადად ითვალისწინებს ეუთო-ს მიერ 2011 წელს შემუშავებულ ფინანსური სფეროს მომხმარებელთა დაცვის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს. პრინციპები ჩამოყალიბებული იმ მიზნით, რომ დაეხმაროს დიდი ოცეულის წევრ და სხვა დაინტერესებულ ქვეყნებს გააძლიერონ მომხმარებელთა უფლებების დაცვა ფინანსურ სექტორში. ის ავსებს და არ ცვლის უკვე არსებული საერთაშორისოდ მიღებულ პრინციპებსა და/ან სახელმძღვანელოებს. აღნიშნული პრინციპები ითვალისწინებს საკანონმდებლო, მარეგულირებელი და საზედამხებდველო ჩარჩოს, ასევე საზედამხებდველო ორგანოების არსებობის აუცილებლობას; ფინანსური შუამავლების მიერ მომხმარებლისადმი სამართლიან მოპყრობასა და სამართლიან ბიზნეს ქცევას, რაც კორპო-

რაციული მართვის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს; პროდუქტების მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის, გამჟღავნებისა და ხელმისაწვდომობის, ასევე ზუსტი და გასაგები სარეკლამო და მარკეტინგული მასალების უზრუნველყოფას, რომელსაც შეცდომაში არ უნდა შეყავდეს მომხმარებელი; ფინანსური განათლებისა და ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული, ეროვნულ საჭიროებებსა და თავისებურებებზე მორგებული ღონისძიებების ხელშეწყობას; მომხმარებლის აქტივების, მონაცემებისა და პირადი ინფორმაციის დაცულობის უზრუნველყოფას თაღლითობისა და ბოროტადგამოყენებისაგან; მომხმარებლების მიერ პრეტენზიების გამოხატვისა და კომპენსაციის/ანაზღაურების მექანიზმების არსებობის უზრუნველყოფას; და კონკურენტული გარემოს ხელშეწყობას.





იმპერატიული მარეგულირებელი ნორმების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია თვითრეგულირების მექანიზმების არსებობა, როგორცაა ქცევის კოდექსები. რაც, ასევე ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური შუამავლების ასოციაციებისა თუ უშუალოდ ფინანსური შუამავლების მიერ.

როგორც აღვნიშნეთ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი ჩარჩო, ძირითადად მიმართულია მომხმარებლისათვის გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებისაკენ. მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნები ასახვას ჰპოვებენ ქცევის კოდექსებშიც, რომლებიც ნებაყოფლობითია და არ წარმოადგენს სავალდებულო წესებს. თუმცა, მრავალი ქვეყანა იყენებს აღნიშნულ პრინციპებს.

მაგალითად, CGAP აყალიბებს მომხმარებელთა დაცვის ექვს პრინციპს (Sevelia Jozeph, 2010):

- ჭარბვალიანობისათვის თავის არიდება – ფინანსური მომსახურების მიმწოდებელმა ორგანიზაციამ კრედიტის გაცემამდე სათანადოდ უნდა შეაფასოს მომხმარებლის გადახდისუნარიანობა და მისი მზაობა დააბრუნოს აღებული თანხა. ამასთან, არასაკრედიტო პროდუქტები უნდა შესთავაზონ როგორც მაღალი, ასევე დაბალი შემოსავლის მქონე მომხმარებლებს.

- გამჭვირვალე ფასდადება – ფინანსური პროდუქტების პირობები და საფასო პოლიტიკა უნდა იყოს გასაგები და გამართლებული (justifiable). ამასთან, მომსახურების ყველა დეტალი და ძირითადი ინფორმაცია გაცხადებულ უნდა იქნას შესაბამის დროს.
- ვალის ამოღების შესაბამისი პრაქტიკა – ვალის ამოღების პროცედურები არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი და პროცესი უნდა წარიმართოს ორივე მხარისათვის მისაღები გზით, მათი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით.
- მომსახურე პერსონალის ეთიკური ქცევა – ფინანსური მომსახურების მიმწოდებელმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები შესაძლო კორუფციისა და მომხმარებელთა არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად. ასევე, მათ უნდა უზრუნველყონ მომხმარებლის ღირსეული მომსახურება.
- მომხმარებელთა პრეტენზიების მიღების მექანიზმები – უნდა არსებობდეს მომხმარებელთა პრეტენზიების მიღების, ასევე, დროული და ეფექტიანი გადაწყვეტის პროცედურები.
- მომხმარებლის პირადი ინფორმაციის დაცვა – მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს კონფიდენციალური და არ გადაეცეს მესამე პირებს უშუალოდ მომხმარებლის თანხმობის გარეშე.

მომხმარებელთა ფინანსური განათლება

მომხმარებელთა დაცვა და ფინანსური განათლება ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მთავრობების დღის წესრიგში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს (CGAP, 2012).

დღეისათვის ფართოდ გამოიყენება ეუთო-ს მიერ შემუშავებული ფინანსური განათლების განმარტება: ფინანსური განათლება ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ადამიანები/ინდივიდები აუქმობენ ფინანსური პროდუქტებისა და ცნებების გაგება-გაცნობიერებას. ისინი ინფორმაციის, ინსტრუქციისა და/ან ობიექტური რჩევის მეშვეობით ავითარებენ უნარებსა და რწმენას (confidence) გახდნენ მეტად გათვითცნობიერებული ფინანსური რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ, გააკეთონ ინფორმი-

რებული არჩევანი, იცოდნენ ვის მიმართონ დახმარების მიზნით, და განახორციელონ ეფექტიანი ქმედებები, რათა გაიუმჯობესონ ფინანსური მდგომარეობა და დაცვა (Atkinson Adele and Messy Flore-Anne, 2011).

ფინანსური განათლების სამუშაო განმარტება, რომელსაც იყენებს ეუთო-ს საერთაშორისო სტუდენტთა შეფასების პროგრამა (PISA – Programme for International Student Assessment of the OECD): ფინანსური განათლება არის მომხმარებელთა მიერ ფინანსური ცნებებისა და რისკების ცოდნა და გაგება, უნარ-ჩვევები, მოტივაცია და რწმენა, რომ გამოიყენონ ეს ცოდნა იმისთვის, რომ მიიღონ ეფექტიანი გადაწყვეტილებები ფინანსური პროდუქტებით სარგებლობისას, ინდივიდებისა და საზოგადოების ფინან-

სური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ასევე იმისათვის, რომ ეკონომიკურ ცხოვრებაში მიიღონ მონაწილეობა (OECD, 2012).

გაერთიანებული სამეფო გვთავაზობს „ფინანსური შესაძლებლობის“ (financial capability) ცნებას, რომელსაც სხვა ქვეყნებიც უფრო ხშირად იყენებენ კვლევებში (Holzmann, Robert, 2010). ამ ცნების მიხედვით, საბოლოო მიზანია ფინანსურად „შემძლე“ ადამიანებმა მოახდინონ სასურველი ფინანსური ქცევის დემონსტრირება, როგორცაა ბიუჯეტის შედგენა, დაგეგმვა და დაზოგვა სიბერის ასაკისთვის.

ზემოხსენებული განმარტებებიდან გამომდინარე ფინანსური განათლება განიხილება, როგორც გაფართოებული ცოდნა, უნარ-ჩვევები და სტრატეგიები, რომელსაც ინდივიდები აყალიბებენ მთელი ცხოვრების მანძილზე. ის მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე დაგროვილი ცოდნაა. ის ასევე მოიცავს შემეცნებითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ნაზავს და ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: დამოკიდებულება, მოტივაცია და ღირებულებები. ამასთან, სასურველი ფინანსური ქცევის მისაღწევად დროთა განმავლობაში უნდა მოხდეს ადამიანის ევოლუცია ცოდნიდან უნარ-ჩვევებამდე, შემდეგ დამოკიდებულებამდე, და ბოლოს ქცევამდე. მაგალითისათვის ცოდნა მოიცავს დაზოგვის მიზანსა და მისი განხორციელების ბერკეტებს, უნარ-ჩვევები – დაზოგვის გეგმის შექმნის შესაძლებლობას, დამოკიდებულება – წინასწარ დაზოგვის სურვილს და ქცევა – უშუალოდ თანხის გადადებას დაზოგვის მიზნით (Holzmann, Robert, 2010). ფინანსური განათლების განმარტებაში არსებულ ფაქტორებს ჰოლცმანი შემდეგნაირად ახასიათებს:

ფინანსური ცნებები და რისკები – ადამიანები იცნობენ მათ გარშემო არსებულ ფინანსურ გარემოს და აქვთ წარმოდგენა არსებული რისკებისა და ისეთი ცნებების შესახებ, როგორცაა პროცენტი, ინფლაცია, ფასისა და ხარისხის თანაფარდობა და ა.შ. მათ უწევთ არჩევანის გაკეთება სხვადასხვა ფინანსურ პროდუქტს შორის და გადაწყვეტილების მიღება – ის, რაც სურთ, ნამდვილად არის თუ არა ის, რაც სჭირდებათ და რისი უფლებაც შეუძლიათ საკუთარ თავს მისცენ.

უნარ-ჩვევები – მოიცავს ისეთ შემეცნებით პროცესებს, როგორცაა მიწოდებული ინფორმაციის შედარება, ექსტრაპოლაცია და შეფასება. ამისათვის მომხმარებელს უნდა შეეძლოს პროცენტის დათვლა, ვალუტის კონვერტაცია, ასევე ესმოდეს ის ენა, რომლითაც ხდება მომხმარებელთან კომუნიკაცია რეკლამისა და ხელშეკრულების მეშვეობით მას უნდა შეეძლოს ხელშეკრულების წაკითხვა და მისი ინტერპრეტირება. დამატებით, ეს მოიცავს მომხმარებლის უნარ-ჩვევებს მართოს ემოციური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილებების მიღებაზე.

მოტივაცია და რწმენა – არაშემეცნებითი თვისებები, როგორცაა ინფორმაციისა და რჩევის მოძიების მოტივაცია ფინანსურ ცხოვრებაში ჩართვის მიზნით და თავდაჯერებულობა, გააკეთო ეს. მიიჩნევა, რომ სწორედ ეს არის ფინანსური განათლების საბოლოო მიზანი – ადამიანს გამოუმუშავდეს შესაბამისი მოტივაცია და რწმენა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რათა მიიღო ეფექტიანი გადაწყვეტილებები – მნიშვნელოვანია პერსონალური ფინანსების შესახებ მიღებული ცოდნის გამოყენება ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად. თავის მხრივ, ეფექტიანი გადაწყვეტილება ნიშნავს ინფორმირებულ და პასუხისმგებლიან გადაწყვეტილებას, რომელიც აკმაყოფილებს მოცემულ საჭიროებას.

პროვნებისა და საზოგადოების ფინანსური კეთილდღეობის გაუმჯობესება – მიჩნეულია, რომ ინდივიდების მხრიდან ფინანსური საკითხების კარგად გაგებას, მართვასა და დაგეგმვას კოლექტიური გავლენა აქვს ფართო საზოგადოებაზე, რაც ხელს უწყობს სტაბილურობას, პროდუქტიულობასა და განვითარებას არამხოლოდ ქვეყნის, არამედ მსოფლიო მასშტაბით. ფინანსური განათლების მაღალი დონის მქონე ადამიანები უკეთ არიან აღჭურვილნი ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც მყისიერად დადებით გავლენას ახდენენ მათ ფინანსურ კეთილდღეობაზე. ამასთან, ისინი ხელს უწყობენ განვითარებასა და ინოვაციას იმ ეკონომიკური გარემოს კრიტიკის გზით, რომელშიც ცხოვრობენ.



ფინანსური განათლების მაღალი დონის პოტენციური სარგებელი

ღრსებობს ემპირიული ფაქტები, რომ ფინანსური განათლების მქონე ზრდასრულ ადამიანებს, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ეკონომიკებში, სხვებთან შედარებით უფრო დიდი შანსი აქვთ დაზოგონ თანხა და დაგეგმონ თავიანთი საპენსიო ასაკი (OECD, 2012). გარდა ამისა, მტკიცებულებები აჩვენებენ, რომ ფინანსური განათლების გაუმჯობესებულმა დონემ, შესაძლოა, მიგვიყვანოს ქვეყნის პოზიტიურ ცვლილებამდე. ამასთან, ფინანსური განათლების მქონე ადამიანებს შეუძლიათ უკეთ მოახდინონ საკუთარი ფულადი სახსრების მართვა, ისინი უფრო დიდ კაპიტალს აგროვებენ (აღნიშნული დაკვირვება ეხება ძირითადად განვითარებულ ქვეყნებს); უკეთ შეუძლიათ ვალის მართვა – ფინანსურად უფრო განათლებულებს უფრო იაფი იპოთეკური კრედიტები აქვთ და თავს არიდებენ მაღალ პროცენტებსა და დამატებით საკომისიოებს.

ფინანსური განათლება ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური ბაზრის განვითარებისთვის – ფინანსურად განათლებული ადამიანები იღებენ უფრო ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს და ითხოვენ მომსახურების უფრო მაღალ დონეს, რაც ხელს უწყობს კონკურენციასა და ინოვაციას ბაზარზე. ისინი ბაზრის მიერ შეთავაზებულ პირობებზე არ რეაგირებენ არაპროგნოზირებადად, არ აცხადებენ უსაფუძვლო პრეტენზიებს და დგამენ სწორ ნაბიჯებს თავიანთი რისკე-

ბის სამართავად. ყველა ზემოხსენებული ფაქტორი საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს უფრო ეფექტიანი ფინანსურ მომსახურებასა და პოტენციურად უფრო დაბალ დანახარჯებს მარეგულირებელი მოთხოვნების შემსუბუქების პირობებში. კერძოდ, რაც უფრო მაღალია მომხმარებელთა ფინანსური განათლების დონე, მით უფრო მსუბუქია მარეგულირებელი და საზედამხებველო რეჟიმი, რაც, თავის მხრივ ამცირებს ფინანსური შუამავლისა და შედეგად უშუალოდ მომხმარებლის ხარჯს. გარდა ამისა, მცირდება სახელმწიფოს პოტენციური ხარჯი, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს იმ ადამიანების დასახმარებლად, ვინც არასწორი ფინანსური გადაწყვეტილებები მიიღო.

ხშირად ფინანსური განათლება განიხილება ფინანსური ჩართულობის ზრდის ერთ-ერთ საშუალებად. ფინანსური ჩართულობა არის პროცესი, რომელიც უკვე არსებული და ინოვაციური მიდგომებით ხელს უწყობს რეგულირებადი ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების დროულ და ადეკვატურ ხელმისაწვდომობასა და მათი გამოყენების გაფართოებას საზოგადოების ყველა სეგმენტის მიერ. აღნიშნული მოიცავს ფინანსური ცნობიერების ამაღლებასა და განათლებას ფინანსური კეთილდღეობისა და ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით (Grifoni, A. and F. Messy, 2012).

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია

დღეისათვის მრავალი ქვეყანა ახორციელებს ფინანსური განათლების დონის ამაღლებისაკენ მიმართულ პროექტებს, რაც, უმეტესწილად, გამოიხატება ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაში. აღსანიშნავია, რომ ეროვნული სტრატეგიის შემუშავების საჭიროება ხშირად წყვილდება მომხმარებელთა ფინანსური დაცვისა და ფინანსური ჩართულობის ზომებთან (Grifoni, A. and

F. Messy, 2012). 2012 წლის მონაცემებით 36 ქვეყანა გარკვეულწილად უკვე მუშაობს ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაზე და ინტერესი ამგვარი წამოწყებებისადმი მზარდია საერთაშორისო დონეზე. თუმცა, აღნიშნული ინიციატივები შედარებით ახალი ხილია და შეიმჩნევა ქვეყნების მიერ გამოყენებული მიდგომებისა და მიზნების, სამუშაო ჩარჩოსა და ეროვნული სტრატეგიების განხორციელების შედა-

რებითი ანალიზის ნაკლებობა (Grifoni, A. and F. Messy, 2012).

ეროვნული სტრატეგია განიმარტება, როგორც ფინანსური განათლებისადმი კოორდინირებული მიდგომა ეროვნულ დონეზე, რომელიც შედგება ადაპტირებული ჩარჩოსაგან, ან პროგრამისაგან, რომელიც:

- აღიარებს ფინანსური განათლების მნიშვნელოვნებას და აყალიბებს მის შინაარსსა და მოქმედების სფეროს ეროვნულ დონეზე შესაბამისი საჭიროებებისა და ნაკლოვანებების გათვალისწინებით;
- მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობასა და ეროვნულ დონეზე ლიდერის ან მაკოორდინირებელი ორგანოს იდენტიფიცირებას;
- აყალიბებს სახელმძღვანელოს/გზამკვლევს წინასწარ განსაზღვრული მიზნების კონკრეტულ პერიოდში მიღწევის მიზნით;
- ხელმძღვანელობს აღნიშნული სახელმძღვანელოსა და ინდივიდუალური პროგრამების ერთმანეთთან თანხვედრის პროცესს ეროვნული პროგრამის ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით (Grifoni, A. and F. Messy, 2012).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს და მორგებული იყოს კონკრეტული ქვეყნის საჭიროებებსა და ნაკლოვანებებს. მაგალითად, ავსტრალია, იაპონია და გაერთიანებული სამეფო, ხაზს უსვამენ ინფორმირებული მსჯელობის შედეგად მიღებული ეფექტიანი გადაწყვეტილებებისათვის საჭირო ფინანსური განათლების შესაბამისი დონის აუცილებლობას, როგორც ფინანსური კეთილდღეობის გაუმჯობესების წინაპირობას. კანადა აქცენტს აკეთებს თვითრწმენაზე (confidence), როგორც ადამიანების მიერ მიღებული სწორი გადაწყვეტილებების აუცილებელ ელემენტზე. კოლუმბია მიიჩნევს, რომ ასევე მნიშვნელოვანია იმ ძირითადი მაკროეკონომიური ინდიკატორების ცვლილებების გაგება/გააზრება, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდების ცხოვრების სტანდარტებზე, ღირებულებებსა და პასუხისმგებლობებზე, რომელიც ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და რომელიც აფართოვებს უნარს, აქტიური მონაწილეობა მიიღო

დემოკრატიულ პროცესებში (Grifoni, A. and F. Messy, 2012). ფინანსურ ბაზრებზე აქტიური მონაწილეობა ფინანსური განათლების კომპონენტია ჩეხეთსა და ინდოეთში. მალაიზიაში ეროვნული სტრატეგია უფრო გამოხატულად ფოკუსირდება განათლებაზე, რამდენადაც ისინი ფინანსური პროდუქტების შესახებ მომხმარებლების ცოდნის ამაღლებაზე ზრუნავენ. თუმცა, ახლა მოქმედებები უფრო ფართო სპექტრს მოიცავს. მაგალითად, ფინანსური განათლება სკოლებში და სტრატეგიის სხვა ქვეყნების სტრატეგიებთან მიმსგავსება (Grifoni, A. and F. Messy, 2012).

ბუნებრივია, ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და შემდგომ ეფექტიანი განხორციელებისათვის საჭიროა გარკვეული აუცილებელი ეტაპების გავლა, რაც მოიცავს ეროვნული საჭიროებებისა და ნაკლოვანებების შეფასებას, ადრეულ კონსულტაციასა და განგრძობად თანამშრომლობას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, ლიდერისა და რესურსების იდენტიფიკაციას, სამიზნე ჯგუფებისა და პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრას, ასევე, კოლაბორაციული პლატფორმისა და პროცესების შექმნას, რათა განხორციელდეს ეროვნული სტრატეგიის შეფასება და მონიტორინგი. ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ არ არის აუცილებელი ამ ელემენტებთან წინასწარ განსაზღვრული თანამიმდევრობით მიდგომა, საჭიროა მათი ეროვნულ გარემოებებთან და პრიორიტეტებთან მორგება და ადაპტირება.

ფინანსური განათლების დონის შეფასება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე რჩება ერთ-ერთ კრიტიკულ ასპექტად პოლიტიკოსებისათვის შესაბამისი ინტერვენციების განსახორციელებლად. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ეუთო-ს მეორე შექმნილი ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის (International Network on Financial Education – INFE) მუშაობა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას, ასევე ანალიტიკური სამუშაოს შესრულებასა და პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავებას საერთაშორისო დონეზე. გარდა ამისა, ქსელი მიზნად ისახავს ფინანსური განათლების ამაღლებისაკენ მიმართული პროგრამებისა და ეროვნული სტრატეგიების შეფასებას (Atkinson, A. and F. Messy, 2011).

ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსე-



ლმა შეიმუშავა კითხვარი, რომელიც საშუალებას იძლევა შევაფასოთ ფინანსური განათლების დონე საერთაშორისო დონეზე. კითხვარში გათვალისწინებულია ისეთი პარამეტრები, როგორებიცაა ცოდნა, ქცევა და დამოკიდებულება პირადი ფინანსებისადმი და მიზნად ისახავს მსოფლიოს მასშტაბით ფინანსური განათლების კუთხით არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიცირებას. ამჟამად კითხვარი საპილოტე პროექტის ფარგლებში გაშვებულია 12 ქვეყანაში: გაერთიანებული სამეფო, გერმანია, ესტონეთი, ირლანდია, მალაიზია, პერუ, პოლონეთი, სამხერთ აფრიკა, სომხეთი, უნგრეთი და ჩეხეთი, სადაც გამოკითხვა ტარდება პერსონალური ინტერვიუების მეშვეობით, ასევე ნორვეგია, სადაც ონლაინ გამოკითხვას მიმართავენ.

საერთაშორისო ქსელის მიერ ჩამოყალიბებული კითხვები მიმართულია რესპონდენტის ცოდნის, დამოკიდებულებისა და ფინანსური ქცევის იდენტიფიცირებისაკენ. კითხვარში ასევე არის სოციო-დემოგრაფიული ხასიათის კითხვები სქესის, ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, გეოგრაფიული მდებარეობის, სამუშაო ადგილისა და შემოსავლის შესახებ.

ფინანსურ ცოდნასთან დაკავშირებული კითხვები მოიცავს საკითხებს პროცენტის დარიცხვის მარტივი და რთული მეთოდის, საინვესტიციო რისკისა და დივერსიფიკაციის, ინფლაციისა და მარტივი ფინანსური პროდუქტების შესახებ. არის ისეთი კითხვებიც, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ინდივიდუალურ ფინანსურ ცოდნასა და ქცევას შორის კავშირის დადგენა. ანალიზი აჩვენებს, რომ ცოდნასა და ქცევას უფრო მეტი წონა უნდა მიენიჭოს, ვიდრე დამოკიდებულებას (Atkinson, A. and F. Messy 2012).

არსებობს მოლოდინი, რომ კვლევის შედეგები გახდება აუცილებელი ინსტრუმენტი შესაბამისი პოლიტიკის განმსაზღვრელი პირებისათვის, აკადემიური წრის წარმომადგენლებისათვის, ფინანსური განათლების პროგრამების დიზაინერებისათვის, რომლებიც ფინანსური განათლების საზომი კითხვების იდენტიფიცირებაზე მუშაობენ.

უეთო-ს ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით 36 ქვეყანამ უკვე ჩამოაყალიბა და განახორციელა ეროვნული სტრატეგია ან განიხილავს მათ ჩამოყალიბებასა და განხორციელებას (იხ. ცხრილი №1).

ცხრილი №2.
ფინანსური განათლების განვითარების ეროვნული სტრატეგიები*

| ეროვნული სტრატეგია | რაოდენობა | ქვეყანა |
|---|-----------|--|
| ქვეყნები, რომლებმაც შექმნეს და განახორციელეს (განხორციელების თარიღი) | 15 | ავსტრალია (2011), ბრაზილია (2010), ჩეხეთი (2010), განა (2009), ინდოეთი (2006/2010), ირლანდია (2009), იაპონია (2005), მალაიზია (2003), პოლონდია (2008), ახალი ზელანდია (2008, 2010), პორტუგალია (2011), სლოვენია (2011), ესპანეთი (2008), გაერთიანებული სამეფო (2003), აშშ (2006, 2011) |
| ქვეყნები, რომლებმაც დაიწყეს ეროვნული სტრატეგიის განხილვა ან შექმნა (მაგრამ რომლებიც ჯერ არ განხორციელებულა) | 21 | კანადა, კოლუმბია, ესტონეთი, ინდონეზია, კენია, ლატვია, ლიბანი, მალავი, მექსიკა, პერუ, პოლონეთი, რუმინეთი, სერბეთი, სამხერთ აფრიკა, შვედეთი, ტანზანია, თურქეთი, უგანდა, რუსეთი, ტაილანდი, ზამბია |

წყარო: Grifoni, A. and F. Messy, 2012 * ინფორმაცია განხლებულია 2012 წლის თებერვლისათვის.

ცხრილი №3.

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ინციატორი ინსტიტუტები

| ქვეყანა | გედამხედველი ორგანო, ფინანსური მარეგულირებელი | ცენტრალური ბანკი | მთავრობა | სხვა |
|----------------------|--|------------------|--|--|
| ავსტრალია | ავსტრალიის ფასიანი ქაღალდებისა და ინვესტიციების კომისია | | | |
| ბრაზილია | X | X | | COREMEC* |
| კანადა | | | ფინანსების დეპარტამენტი | |
| კოლუმბია | Fogafin + Fogacoop** | X | ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო | |
| ჩეხეთი | | X | ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო | |
| დანია | FSA | | | |
| ესტონეთი | FSA | | ფინანსთა სამინისტრო | |
| ინდოეთი | RBI, SEBI, IRDA, PFRDA*** | X | ფინანსთა სამინისტრო, მომხმარებელთა საკითხების სამინისტრო | არასამთავრობო ორგანიზაციები |
| ირლანდია | მომხმარებელთა ეროვნული სააგენტო | | | |
| იაპონია | FSA | X | | ფინანსური მომსახურებების ინფორმაციის ცენტრალური კომიტეტი |
| ლიბანი | | | ფინანსთა სამინისტრო | |
| მალაიზია | | X | | |
| მექსიკა | | | ფინანსთა სამინისტრო | |
| ჰოლანდია | | | ფინანსთა სამინისტრო | |
| ახალი ზელანდია | | | | ფინანსური განათლებისა და საპენსიო შემოსავლების კომიტეტი |
| პერუ | FSA | | ეკონომიკის სამინისტრო | |
| პოლონეთი | FSA | | X | |
| პორტუგალია | ფინანსური მარეგულირებლების ეროვნული საბჭო (ბანკები, ფასიანი ქაღალდები, დაზღვევა) | X | | |
| სამხრეთ აფრიკა | ფინანსური მომსახურების საბჭო | | | |
| სლოვენია | | | ფინანსთა სამინისტრო | |
| ესპანეთი | CNMV (ფასიანი ქაღალდები) | X | | |
| შვედეთი | FSA, მომხმარებელთა სააგენტო, საპენსიო სააგენტო | | ფინანსთა სამინისტრო | არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო საფინანსო ინსტიტუტები |
| თურქეთი | კაპიტალის ბაზრების საბჭო | | | |
| გაერთიანებული სამეფო | FSA | | HM Treasury | |
| აშშ | | | ხაზინის დეპარტამენტი | |

წყარო: Grifoni, A. and F. Messy, 2012. შენიშვნა: „X“ - ინსტიტუტი, რომელიც არის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების ინიციატორი. *CORMEC მოიცავს ცენტრალურ ბანკს, CVM (ფასიანი ქაღალდების კომისია), PREVIC (დამატებითი სოციალური დაცვის ეროვნული ინსპექცია), SUSEP (კერძო დაზღვევის ინსპექცია). ** Fogafin: ფინანსური ინსტიტუტების დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, Fogacoop: კოოპერაციული დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო. *** RBI: ინდოეთის სარეზერვო ბანკი; SEBI: ინდოეთის ფასიანი ქაღალდების საბჭო; IRDA: ინდოეთის დაზღვევისა და რეგულირების განვითარების სამსახური; PFRDA: ინდოეთის სადაზღვევო სექტორისა და საპენსიო ფონდების და რეგულირების განვითარების სამსახური.



დასკვნა

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხი, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი პრიორიტეტულია ფინანსური მარეგულირებლებისა და საზედამხედველო ორგანოების დღის წესრიგში. ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს პარალელურად, მომხმარებელთა და ზოგადად საზოგადოების ფინანსური განათლების დონის ამაღლება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ძირითადი კომპონენტია. აღნიშნული მომხმარებელთა ფინანსური კეთილდღეობის, ინოვაციისა და ზოგადად ფინანსური ბაზრის განვითარების წინაპირობაა.

შესაბამისად, მომხმარებელთა დაცვისა და ფინანსური განათლების დონის ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებები სულ უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოს მასშტაბით. ამ მხრივ, არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. თუმცა, ამჟამად არსებული საკანონმდებლო ჩარჩო და ფინანსური განათლების ამაღლებისაკენ გადადგმული ნაბიჯები არ იძლევა ფინანსური მომსახურების

მომხმარებელთა მაქსიმალური დაცვის საშუალებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, შექმნილი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო ძირითადად მიმართულია მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე. თუმცა, შესაბამისი და სათანადო ინფორმაციის ფლობის პირობებშიც კი არ არსებობს იმის გარანტია, რომ აღნიშნულ ინფორმაციას მომხმარებელი სწორად გამოიყენებს და მიიღებს ეფექტიანი ფინანსურ გადაწყვეტილებებს.

შესაბამისად, ქვეყანაში უნდა გაძლიერდეს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის ამაღლებისაკენ მიმართული ქმედითი ნაბიჯები. უნდა შემუშავდეს და შემდგომში განხორციელდეს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია. სწორედ განათლება, მათ შორის ფინანსური, ის უმთავრესი იარაღია, რომელიც ინოვაციებისა და სწრაფი ცვლილებების ეპოქაში ადამიანებს საშუალებას მისცემს მიიღონ ეფექტიანი და მათი ფინანსური კეთილდღეობის განმსაზღვრელი გადაწყვეტილებები.



გამოყენებული ლიტერატურა

1. 9 Signs You're Involved in a Pyramid Scheme, TheSmallCompanyBlog, <http://www.thsmallcompanyblog.com/TheBlog /2009/ 02/9-signs-youre-involved-in-a-pyramid-scheme/> ბოლო ვიზიტი 09.09.2013, 13:52
2. Atkinson, A. and F. Messy, (2011) Assessing Financial Literacy in 12 Countries, an OECD Pilot Exercise <http://www.financialliteracyfocus.org/files/FLatDocs/OECD%20paper.pdf> ბოლო ვიზიტი 09.04.2013, 19:45
3. Atkinson, A. and F. Messy (2012), "Measuring Financial Literacy: Results of the OECD / International Network on Financial Education (INFE) Pilot Study", OECD Working Papers on Finance, Insurance and Private Pensions, No. 15, OECD Publishing. <http://www.oecd-ilibrary.org/docserver/download/5k9csfs90fr4.pdf?expires=1378890967&id=id&accname=guest&checksum=7DDEC95D5328C3DF72451BEC32030DD4> ბოლო ვიზიტი 09.11.2013, 13:02
4. Central Bank of Sri Lanka, 2007, http://www.cbsl.gov.lk/pics_n_docs/02_prs/_docs/notices/notice_20070430.pdf ბოლო ვიზიტი 09.09.2013, 14:25
5. CGAP, Financial Consumer Protection Regulation in Europe/Central Asia, 31 July 2012. Available at <http://www.cgap.org/news/financial-consumer-protection-regulation-europecentral-asia> ბოლო ვიზიტი 09.02.2013, 18:19
6. Clements Len, Pyramid, Ponzi, and Investigation Schemes: Is One Hiding Behind your MLM Program? 1997 <http://www.marketwaveinc.com/viewarticle.asp?id=45> ბოლო ვიზიტი 09.09.2013, 14:10
7. Competition and Consumer Act 2010 - Sxschedule 2, The Australian Consumer Law, http://www.austlii.edu.au/au/legis/cth/consol_act/caca2010265/sch2.html ბოლო ვიზიტი 09.09.2013, 12:48
8. Directive 2008/48/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2008 on Credit Agreements for Consumers and Repealing Council Directive 87/102/EEC, <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:133:0066:0066:EN:PDF> ბოლო ვიზიტი 09.09.2013, 19:41
9. FSA, Warning: unauthorized forms and individuals, <http://www.fsa.gov.uk/doing/regulated/law/alerts/unauthorised-firms> ბოლო ვიზიტი 09.09.2013, 13:00
10. Grifoni, A. and F. Messy (2012), "Current Status of National Strategies for Financial Education: A Comparative Analysis and Relevant Practices", OECD Working Papers on Finance, Insurance and Private Pensions, No. 16, OECD Publishing. <http://www.oecd-ilibrary.org/docserver/download/5k9bcwct7xmn.pdf?expires=1378311806&id=id&accname=guest&checksum=9C7C21976F740D1A96180842684965A5> ბოლო ვიზიტი 09.04.2013, 18:08
11. Holzmann Robert, Bringing Financial Literacy and Education to Low and Middle Income Countries: The Need to Review, Adjust, and Extend Current Wisdom, July 2010 <http://siteresources.worldbank.org/SOCIALPROTECTION/Resources/SP-Discussion-papers/Social-Protection-General-DP/1007.pdf> ბოლო ვიზიტი 09.04.2013, 20:45
12. Holzmann Robert, Mulaj Florentina, Perotti Valeria, 2013, Financial capability in low- and middle-income countries: measurement and evaluation <http://www.finlitedu.org/measurement/> ბოლო ვიზიტი 10.09.2013, 19:05
13. KPMG, Consumer Protection: Just good business, available at <http://www.kpmg.com/Global/en/IssuesAndInsights/ArticlesPublications/consumer-protection/Pages/just-good-business.aspx> ბოლო ვიზიტი 09.02.2013, 18:51
14. KPMG, New Light on Old Truths, Consumer protection and good business sense <http://www.kpmg.com/Global/en/IssuesAndInsights/ArticlesPublications/consumer-protection/Documents/consumer-protection.pdf> ბოლო ვიზიტი 09.09.2013, 14:47
15. Kwan, Joseph, The Pyramid Schemes Prohibition Ordinance Cap 617, 2011, http://www.deacons.com.hk/eng/knowledge/knowledge_457.htm ბოლო ვიზიტი 09.09.2013, 18:24
16. OECD, G20 High-Level Principles on Financial Consumer Protection, <http://www.oecd.org/daf/fin/financial-markets/48892010.pdf> ბოლო ვიზიტი 08/23/2013, 19:28
17. OECD, PISA 2012 Financial Literacy Assessment Framework, April 2012 <http://www.oecd.org/pisa/pisaproducts/46962580.pdf> ბოლო ვიზიტი 09.04.2013, 15:27
18. Rahn Richard W., What Caused the Financial Crisis, CATO Institute web-site, Commentary <http://www.cato.org/publications/commentary/what-caused-financial-crisis>, ბოლო ვიზიტი 09.02.2013, 12:10PM
19. Sevelia Jozeph, July 2010, Consumer Protection Codes of Conduct in the Financial Industry, <http://www.fii-namibia.org/Downloads&%20Press/Objective%20GIz%20Codes%20of%20conduct%20in%20the%20financial%20industry.pdf> ბოლო ვიზიტი 09.02.2013, 17:05
20. მანანა ვარდიაშვილი, პირამიდების სიბლი და ტრაგედია, ჟურნალი „ლიბერალი“, ივლისი 2013, #144 <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/115525/> ბოლო ვიზიტი 08.26.2013, 18:41
21. მოქალაქეები შპს „ოქროს ირემისგან“ დაპირებულ თანხებს ითხოვენ, <http://medianews.ge/ge/moqalaqeebishpsoqrosiremisingandapirebutankhebsitkhoven/34544> ბოლო ვიზიტი 08.26.2013, 18:42
22. საქართველოს ეროვნული ბანკი, განცხადება, 2013 წლის 18 თებერვალი, <http://nbg.gov.ge/index.php?m=339&n&newsid=2075&lng=geo> ბოლო ვიზიტი 08.26.2013, 18:35



განჭვრეტილი და განუჭვრეტილი მონეტარული პოლიტიკა DSGE მოდელში ჩრდილოვანი საბანკო სისტემით

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია DSGE მოდელი ჩრდილოვანი საბანკო სისტემით, რომელიც წარმოდგენილია Verona, Martins and Drumond (2013)-ის სტატიაში. მოდელი მოტივირებულია უკანასკნელი ფინანსური კრიზისით. მისი მიზანია შეაფასოს ცენტრალური ბანკის როლი 2007-2008 წლების ფინანსური კრიზისის გამოწვევაში. ანალიზის მთავარი შედეგი კი ის არის, რომ ზედმეტად რბილი მონეტარული პოლიტიკა იწვევს ბუმ-ბასტს მხო-

ლოდ მაშინ, როდესაც ფინანსურ ბაზრებში არსებობს მიკროეკონომიკური დამახინჯებები (მაგ. ზედმეტი ოპტიმიზმი). გარდა ამისა, განუჭვრეტელი და განჭვრეტილი მონეტარული პოლიტიკის სიმულაციები ცხადყოფს, რომ კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა, ეკონომიკური აგენტების მიერ ზედმეტად რბილი მაკროეკონომიკური პოლიტიკის არსებობისა და მისი ხანგრძლივობის არასწორმა განჭვრეტამ.

შესავალი

ფედერალურ სარეზერვო სისტემას (ფედი) ხშირად აკრიტიკებდნენ მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ზედმეტად ხანგრძლივი და ზედმეტად დაბალი დონის შენარჩუნების გამო. ასევე, საკრედიტო ბუმის გამოწვევისთვის, რაც საბოლოოდ ფინანსური კრიზისით დაგვირგვინდა. მაგალითად, Taylor (2009)-ს მიხედვით ფედი რომ მიყოლოდა საპროცენტო განაკვეთების დადგენის ტეილორის წესს 2002-2005 წლებში, მსგავსი ბუმ-ბასტი (დროის პერიოდი, როდესაც მრავალი ეკონომიკური ინდიკატორი მყარად უმჯობესდება, ანუ ბუმი, ხოლო შემდგომ მკვეთრად და სწრაფად უარესდება, ანუ ბასტი) აღარ მოხდებოდა, რადგან ამ პერიოდში ფედის მიერ დადგენილი განაკვეთები იყო უჩვეულოდ დაბალი, ვიდრე ჩვეულებრივი ტეილორის წესი დაადგენდა.

მიუხედავად ამისა, ავტორები თანხმდებიან, რომ ფინანსური კრიზისი მთლიანობაში მაინც მიკრო და მაკრო ფაქტორების ერთიანობამ გამოიწვია. მაკრო ფაქტორებში, ზედმეტად რბილ მონეტარულ პოლიტიკასთან ერთად, შესაძლოა, შევიყვანოთ გლობალური უთანასწორობა ან გაზრდილი ფინანსური გლობალიზაცია. მიკრო ფაქტორები, თავის მხრივ, მოიცავს კომპლექსურ, და ხშირად არატრანსპარენტული, ფინანსური პროდუქტების ბაზრის განვითარებას და მათი რეგულაციის სირთულეებს ანუ ჩრდილოვანი საბანკო სისტემის (Shadow Banking System) განვითარებას, ფინანსური რისკების გაზომვის გართულებას, მოკლევადიანი და მიკრო-ძოვბული ინტერესების არსებობას ფინანსურ ინსტიტუტებში და მათ არასწორ ზედამხედველობას. საკამათოა, თუ რამდენად ცენტრალური როლი უჭი-

1. ელ-ფოსტა: shalva.mkhatrishvili@hu-berlin.de, shalva.mkhatrishvili@nbg.gov.ge
ავტორი მადლობას უხდის გიორგი ბაქრაძეს დახმარებისა და სასარგებლო კომენტარებისთვის.



რავს მონეტარულ პოლიტიკას მაკრო და მიკრო ფაქტორებში. ამასთან, ლიტერატურის ძირითადი ნაწილი აქამდე აანალიზებდა მოდელებს, სადაც ფინანსური ფრიქციები არსებობდა მსესხებლის მხარეს. თუმცა უკანასკნელმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ასევე მნიშვნელოვანია, ფინანსური შუამავლების მოდელირებაც. გარდა ამისა, მონეტარული პოლიტიკის როლი პრე-კრიზისულ პერიოდში DSGE მოდელის კონტექსტში აქამდე არ გაანალიზებულა. Verona et al. (2013)-ის მოდელი, რომელიც ამ სტატიამაა გაანალიზებული სწორედ ამ მოტივებითაა აგებული და ახდენს თანამედროვე DSGE მოდელის განვრცობას ჩრდილოვანი საბანკო სისტემით.

კრიზისის გამოწვევაში ზედმეტად ხანგრძლივად ზედმეტად დაბალი (too low for too long) მონეტარული პოლიტიკის როლის ცენტრალურობის შესწავლისთვის პირველ რიგში განხილულია, დღეს არსებული წამყვანი მოდელები ცენტრალურ ბანკებში. კრიზისული სურათის შექმნის მათი სირთულეების წარმოჩენის შემდეგ, მოდელი გავრცობილია ჩრდილოვანი საბანკო სექტორით. ეს სექტორი მოიცავს საინვესტიციო ბანკებს, რომლებიც მონოპოლიურ კონკურენციაში არიან. ასევე, (დაბალრისკიანი) მეწარმეებს, რომლებიც ამ ბანკების გავლით ახდენენ ფინანსური სახსრების მოზიდვას ობლიგაციების გამოშვებით გზით. ამ შემთხვევაში, მოდელი უკვე ახდენს კრიზისული სურათის რეპლიკაციას, ზედმეტად რბილი მონეტარული პოლიტიკისა და ჩრდილოვანი საბანკო სისტემაში ზედმეტი ოპტიმიზმის არსებობის კომბინაციით.

სტატიამა ზედმეტად ხანგრძლივად ზედმეტად დაბალი განმარტებულია, როგორც საპროცენტო განაკვეთი, რომელიც 6 კვარტალი გრძელვადიან წონასწორულ დონესთან (steady state) შედარებით 100 საბაზისო პუნქტით დაბლაა შენარჩუნებული. ამ 6 კვარტლის შემდეგ კი აქტიურდება განაკვეთების დადგენის სტანდარტული ტეილორის წესი.

სტატია ახდენს ორი ტიპის სიმულაციას: განჭვრეტელი (anticipated) და განუჭვრეტელი (unanticipated). განჭვრეტელი პოლიტიკის დროს ცენტრალური ბანკი ტრანსპარენტულად აცხადებს მის საპროცენტო განაკვეთების გეგმას მომავალი პერიოდისთვის, რაც უტყუარად აღიქმება ეკონომიკური აგენტების მიერ. განუჭვრეტელი კი, ეკონომიკურად ნიშნავს ისეთ პოლიტიკას, რომლის დროსაც აგენტებმა არ იციან, თუ რას მოიმოქმედებს ცენტრალური ბანკი მომავალში და შესაბამისად, პოლიტიკის ცვლილებები პერიოდულად მოულოდნელი რჩება.

ანალიზის მთავარი დასკვნაა, რომ მოდელი ახდენს ბუმ-ბასტის სურათის დახატვას, მაშინ როდესაც ზედმეტად რბილ მონეტარულ პოლიტიკასთან ერთად არსებობს ზედმეტი ოპტიმიზმი ფინანსურ ბაზრებზე. შედეგების მდგრადობის ანალიზი კი აჩვენებს, რომ ეს შედეგები მხოლოდ ოპტიმიზმის ჩართვით მიიღება, ვინაიდან მას აქვს როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი ეფექტი, ხოლო მოდელის სხვა თვისებებს მხოლოდ რაოდენობრივი. ამასთან, აგენტების მიერ მონეტარული პოლიტიკის განუჭვრეტელობის შემთხვევაში, მოდელის შედეგები უფრო რეალურ სახეს იღებს და ახდენს უკანასკნელი ფინანსური კრიზისის სურათის რეპლიკაციას. განჭვრეტელი პოლიტიკის დროს პირველადი რეაქცია უფრო დიდია. თუმცა, ბევრად უფრო ხანმოკლე. შესაბამისად, ცენტრალური ბანკისთვის მნიშვნელოვანია, რომ თვალყური ადევნოს საპროცენტო განაკვეთების მარჟებს (interest rate spreads), რაც შეიძლება ზედმეტ თავდაჯერებულობაზე მიუთითებდეს გარკვეულ ფინანსურ ბაზრებზე და ტრანსპარენტულად განუცხადოს სამომავლო გეგმები ეკონომიკურ აგენტებს.

სტატია ორგანიზებულია შემდეგნაირად. სექცია 2-ში წარმოდგენილია მოდელის ყველა აგენტი და სექტორი. სექცია 3-ში განხილულია მოდელის კალიბრაცია და სიმულაციის შედეგები, ხოლო სექცია 4 ახდენს შედეგების შეჯამებას.


მოდელის აღწერა

სნალიზის სტრუქტურის ცენტრალური ნაწილი არის Christiano, Motto and Rostango (2010)-ის ფინანსური ამაჩქარებლის (Financial Accelerator) მოდელი (შემდეგში CMR), შემდეგ კი მასზე Verona et al. (2013)-ის მიერ დამატებულია ჩრდილოვანი საბანკო სისტემა, რომელიც საოჯახო მეურნეობებსა და მეწარმეებს შორის სახსრების შუამავლობას ახდენს საინვესტიციო ბანკების გავლით.

მოდელი შეიცავს (მონეტარულ და ფისკალურ) მთავრობას, საოჯახო მეურნეობებს, (საბოლოო და შუალედური პროდუქტების მწარმოებელ) ფირმებს, კაპიტალის მწარმოებლებს, (ორი ტიპის) მეწარმეებს და (ორი ტიპის) ბანკებს. დიაგრამა 1 ახდენს მოდელის სტრუქტურის შეჯამებას. ამ სექციაში მოკლედ განვიხილავთ მოდელის ყველა აგენტს, ძირითადი აქცენტით ფინანსურ სექტორზე³.

დიაგრამა №1.

მოდელის სტრუქტურა. წყარო: Verona et al. (2013)



ჩრდილოვანი საბანკო სისტემა

ჩრდილოვანი საბანკო სისტემა შედგება საინვესტიციო ბანკებისა და დაბალრისკიანი მეწარმეებისაგან. როგორც წესი, ფირმები სეგმენტურები არიან მათი რისკიანობის მიხედვით, სადაც დაბალრისკიანებს ხელი მიუწვდებათ ობლიგაციებით დაფინანსებაზე, ხოლო მაღალრისკიანებს კი საბანკო სესხებზე. შესაბამისად, მოდელში დაბალრისკიანი მეწარმეები ფინანსდებიან საინვესტიციო ბანკებზე ობლიგაციების მიყიდვის გზით. დაბალრისკიანი ნიშნავს, რომ ამ ტიპის მეწარმეს, მაღალრისკიანებისგან განსხვავებით, დეფოლტის საშიშროება არ ემუქრება.

საინვესტიციო ბანკები, რომლებიც მონოპო-

ლიურ კონკურენციაში არიან, ადგენენ კუპონის განაკვეთებს მოგების მაქსიმიზაციის მიზნით. ეს დაშვება ემპირიული თვალსაზრისით გამართლებულია, რადგან Fang (2005)-ის მიხედვით, მართლაც, 15 ყველაზე დიდი საინვესტიციო ბანკი ახდენს ობლიგაციების საერთო რაოდენობის 95 პროცენტის წარმოებას. ამ სექტორის ძირითადი ნაწილი აგებულია ემპირიული შესაბამისობის მოტივით. იმისათვის რომ ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთის მარჯა იყოს დროში ცვალებადი და კონტრციკლური. გარდა ამისა, ზოგიერთ პერიოდში უნდა არსებობდეს ზედმეტი ოპტიმიზმი, ძირითადად ბუმის დროს, რაც ამ მარჯის ზედმეტად დაბალ დონეზე ჩამოსვლაში აისახება.

3. სტატიის მოცულობის კონტროლის მიზნით, აქ განვიხილავ ყველა აგენტის მხოლოდ მოქმედების მექანიზმს და მოდელის სტრუქტურას. მოდელის ამონახსნისთვის და სხვა ტექნიკური დეტალებისთვის (განტოლებების დერივაცია, ლოგ-ლინეარზაცია და პროგრამული კოდი) იხილეთ სტატიის ორიგინალი ვერსია "(Un)anticipated Monetary Policy in a DSGE Model with a Shadow Banking System", რომლის მიღებაც შესაძლებელია ავტორისაგან მოთხოვნის შემთხვევაში.



დაბალრისკიანი მენარმეები

დაბალრისკიანი მენარმეები წარმოადგენენ მენარმეების მთლიანი რაოდენობის $1-\eta$ ნაწილს (შესაბამისად მაღალრისკიანი მენარმეები η ნაწილია). ყოველი პერიოდის დასაწყისში თითოეული დაბალრისკიანი მენარმე (აღნიშნული L -ით, ანუ დაბალი რისკი/Low risk) აწვდის შუალედური პროდუქტის მწარმოებელ ფირმებს კაპიტალის მომსახურებას $K_t^L = u_t^L \bar{K}_t^L$, სადაც \bar{K}_t^L არის ფიზიკური კაპიტალის მოცულობა, ხოლო $u_t^L \in [0,1]$ ფიზიკური კაპიტალის უტილიზაციის განაკვეთი. მენარმე უტილიზაციის განაკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იღებს კაპიტალის უტილიზაციის ზრდად და ამოზნექილ ფუნქციას $a(u_t^L)$, რომელიც აღწერს კაპიტალის გამოყენების ხარჯებს (გამოსახულს საბოლოო პროდუქტის ერთეულში). ამ პერიოდის ბოლოს იგი ყიდის ცვეთის შემდგომ დარჩენილ კაპიტალს $Q_{\bar{K}_t}$ ფასად, იხდის ნომინალურ კუპონის განაკვეთს R_t^{coupon} მის ობლიგაციებზე და ყიდულობს ახალ კაპიტალს ისევე $Q_{\bar{K}_t}$ ფასად. ახალი კაპიტალის ყიდვა ხდება როგორც მენარმის საკუთარი სახსრებით, ასევე საინვესტიციო ბანკებისგან ფულის მოზიდვით ობლიგაციების გამოშვების გზით. შესაბამისად, გამოშვებული ობლიგაციების მოცულობაა $BI_{t+1}^L = Q_{\bar{K}_t} \bar{K}_{t+1}^L - N_{t+1}^L$, სადაც N_{t+1}^L არის მენარმის წმინდა ღირებულება (net worth, ანუ საკუთარი სახსრები).

მენარმე ლეზულობს გადაწყვეტილებას უტილიზაციის განაკვეთისა და ახლადშეძენილი კაპიტალის მოცულობის შესახებ, რათა მოახდინოს t -პერიოდის მოგების მაქსიმიზაცია:

$$\max_{u_t^L, \bar{K}_t^L} \Pi_t^L = [u_t^L r_t^{k,L} - a(u_t^L)] \bar{K}_t^L P_t + (1-\delta) Q_{\bar{K}_t} \bar{K}_t^L - Q_{\bar{K}_t} \bar{K}_{t+1}^L - R_t^{coupon} (Q_{\bar{K}_t} \bar{K}_t^L - N_t^L)$$

სადაც $r_t^{k,L}$ არის რეალური რენტის განაკვეთი დაბალრისკიანი მენარმისთვის, P_t საბოლოო პროდუქტის ფასი, ხოლო δ ცვეთის განაკვეთი. ამ მაქსიმიზაციის პრობლემის პირველი რიგის პირობები (first order conditions) წარმოადგენს მოდელის ამოხსნის შემადგენელ განტოლებებს.

დროთა განმავლობაში მენარმე შეიძლება იმდენად დიდი გახდეს, რომ საკუთარი თავი მთლიანად ბანკისგან დამოუკიდებლად დაიფინანსოს. ამ შემთხვევის გამოსარიცხად, დაშვებულია, რომ პერიოდულად თითოეული ურისკო მენარმე $1-y^L$ ალბათობით ტოვებს ეკონომიკას და უტოვებს სა-

კუთარ სახსრებს საოჯახო მეურნეობებს. ამასთან, მენარმეების მთლიანი რაოდენობის უცვლელად შესანარჩუნებლად, იგივე $1-y^L$ ალბათობით იხადებიან ახალი მენარმეები, რომლებიც საქმიანობის დასაწყებად საოჯახო მეურნეობებისგან ლეზულობენ გარკვეული რაოდენობის პირველად ტრანსფერს.

საბოლოოდ, მენარმეები მთლიანი დაფინანსების ხარჯების მინიმიზაციის მიზნით ანაწილებენ მათ ობლიგაციებს მონოპოლიურ კონკურენციაში მყოფ მრავალ საინვესტიციო ბანკს შორის. შესაბამისად, სტანდარტული Dixit-Stiglitz-ის მექანიზმის მიხედვით, თითოეული დაბალრისკიანი მენარმის მოთხოვნა საინვესტიციო ბანკის ფინანსებზე არის:

$$BI_{t+1}^L(z) = \left(\frac{1 + R_{t+1}^{coupon}(z)}{1 + R_{t+1}^{coupon}} \right)^{-\varepsilon_{t+1}^{coupon}} BI_{t+1}^L$$

სადაც $z \in [1,0]$ არის საინვესტიციო ბანკის ინდექსი, $BI_{t+1}^L(z)$ და $R_{t+1}^{coupon}(z)$ გამოშვებული ობლიგაციების რაოდენობა და მისი კუპონის განაკვეთი z საინვესტიციო ბანკთან, $\varepsilon_{t+1}^{coupon} > 1$ დროში ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ელასტიურობა, BI_{t+1}^L დაბალრისკიანი მენარმის მიერ გამოშვებული ობლიგაციების მთლიანი მოცულობა, ხოლო R_{t+1}^{coupon} კუპონის განაკვეთის საშუალო დონე, განმარტებულია შემდეგნაირად:

$$1 + R_{t+1}^{coupon} = \left(\int_0^1 [1 + R_{t+1}^{coupon}(z)]^{1-\varepsilon_{t+1}^{coupon}} dz \right)^{\frac{1}{1-\varepsilon_{t+1}^{coupon}}}$$

საინვესტიციო ბანკები

საინვესტიციო ბანკების მფლობელები არიან საოჯახო მეურნეობები. თუმცა, ბანკი თავის საქმიანობაში გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს. დეპოზიტების ბაზარი, სადაც საინვესტიციო ბანკების სახსრებს იღებენ საოჯახო მეურნეობებისგან, სრულყოფილ კონკურენციაში არიან და შესაბამისად უკუგება საოჯახო მეურნეობების დეპოზიტებზე უდრის ურისკო განაკვეთს ანუ ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილ საპროცენტო განაკვეთს. აქედან გამომდინარე, საინვესტიციო ბანკის მოგების მაქსიმიზაციის პრობლემა შემდეგია:

$$\max_{R_{t+1}^{coupon}(z)} \Pi_t^B(z) = [R_{t+1}^{coupon}(z) - R_{t+1}^e] BI_{t+1}^L(z)$$

პირობით $BI_{t+1}^L(z) = \left(\frac{1 + R_{t+1}^{coupon}(z)}{1 + R_{t+1}^{coupon}} \right)^{-\varepsilon_{t+1}^{coupon}} BI_{t+1}^L$

სადაც R_{t+1}^e არის ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთი.

პირველი რიგის პირობა, სიმეტრიული წონასწორობის გათვალისწინების შემდეგაა:

$$1 + R_{t+1}^{coupon} = \frac{\varepsilon_{t+1}^{coupon}}{\varepsilon_{t+1}^{coupon} - 1} (1 + R_{t+1}^e)$$

შესაბამისად, ობლიგაციების კუპონის განაკვეთის მარჯა არის დროში ცვალებადი:

$$spread_{t+1} \equiv R_{t+1}^{coupon} - R_{t+1}^e = \frac{1}{\varepsilon_{t+1}^{coupon} - 1} (1 + R_{t+1}^e)$$

იმისათვის, რომ საპროცენტო განაკვეთის ელასტიურობა დროში უცვლელი რომ ყოფილიყო, მარჯის დინამიკა პოლიტიკის განაკვეთის პირდაპირპროპორციული იქნებოდა. თუმცა, ემპირიული დაკვირვებები ცხადყოფს, რომ მარჯა ბიზნეს ციკლთან ერთად მოძრაობს. აქედან გამომდინარე, ამ სექტორის მთავარი ნაწილი არის დროში ცვალებადი ელასტიურობის მოდელირება. აქ სტატია არ განიხილავს სრულ მიკრო-საფუძვლებს, რადგან ეს კიდევ უფრო გაართულებდა ისედაც კომპლექსურ თანამედროვე DSGE მოდელს. ამასთან, საბოლოოდ მაინც აგრეგირებული მონაცემებია დაკვირვების ობიექტი.

როგორც აღვნიშნეთ, მარჯას ახასიათებს ორი თვისება, კონტრაციკულობა და ზედმეტად შემცირება ბუმის დროს. პირველი თვისების დასაჭერად, დაშვებულია, რომ საპროცენტო განაკვეთის ელასტიურობა წრფივად და მოკიდებული წარმოების გაპზე (output gap):

$$\varepsilon_{t+1}^{normal} = \bar{\varepsilon} + \alpha_1 (Y_t - \bar{Y})$$

სადაც $\varepsilon_{t+1}^{normal}$ არის ელასტიურობა ნორმალურ დროში (ანუ დროში, როდესაც ელასტიურობა მხოლოდ კონტრაციკულობას ამჟღავნებს), Y_t წარმოების დონე, ხოლო $\bar{\varepsilon}$ და \bar{Y} მათი გრძელვადიანი წონასწორული დონეები.

მეორე თვისების, ანუ ბუმის დროს, რისკის დაბალ დონეზე შეფასებისა და ზედმეტი თავდაჯერებულობის, მოდელირებისთვის დაშვებულია, რომ საინვესტიციო ბანკი განეწყობა ოპტიმისტურად, როდესაც მეწარმე იმაზე მეტ საკუთარ სახსრებს ჩადებს ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად, ვიდრე გრძელვადიანი წონასწორული დონეა. შესაბამისად, ის ყიდულობს ობ-

ლიგაციებს მეწარმისაგან უფრო დაბალი კუნოპის განაკვეთით. ამასთან, ცნობილია, რომ ადამიანის აზრი გარკვეული ზომით მუდმივია. ამ მიზნით, ბანკის ოპტიმიზმი მოდელირებულია, როგორც მუდმივი (persistent) პირველი რიგის ავტორეგრესიური პროცესი AR(1), რომელიც დამოკიდებულია მეწარმის საკუთარ სახსრებზე:

$$\chi_t = \rho_\chi \chi_{t-1} + (1 - \rho_\chi)(\bar{\chi} + \alpha_2 [N_{t+1}^L - N^L])$$

სადაც P_x აღწერს ოპტიმიზმის მუდმივობის ხარისხს, ხოლო α_2 ოპტიმიზმის მგრძობელობას მეწარმის საკუთარი სახსრების დინამიკაზე.

საბოლოოდ, როდესაც ბანკი განეწყობა ოპტიმისტურად, ანუ ოპტიმისტურ დროში, იგი აფასებს საპროცენტო განაკვეთის ელასტიურობას უფრო მაღალ დონეზე (რაც კუპონის განაკვეთის დაბალ დონეში აისახება):

$$\varepsilon_{t+1}^{optimistic} = \varepsilon_{t+1}^{normal} (1 + \chi_t)$$

რომ შევავსოთ, არსებობს ორი ტიპის პერიოდი, ნორმალური დრო, როდესაც კუპონის განაკვეთის მარჯა ამჟღავნებს მხოლოდ კონტრაციკულობას $\varepsilon_{t+1}^{coupon} = \varepsilon_{t+1}^{normal}$ და ოპტიმისტური დრო, როდესაც დამატებით არსებობს რისკის ზედმეტად დაბალ დონეზე შეფასება და ოპტიმიზმი $\varepsilon_{t+1}^{coupon} = \varepsilon_{t+1}^{optimistic}$.

საცალო საბანკო სისტემა

ეს სექტორი პრაქტიკულად არის Bernanke et al. (1999)-ის ფინანსური სექტორი. წარმომადგენელი საცალო ბანკი აგროვებს დეპოზიტებს საოჯახო მეურნეობებისაგან და აფინანსებს მაღალრისკიან მეწარმეებს. სესხები რისკიანია, რადგან მაღალრისკიანი მეწარმეების საინვესტიციო პროექტებზე გავლენას ახდენს იდიოსინკრატული შოკები, რაც, თუ საკმარისად დიდი აღმოჩნდა, შეიძლება დეფოლტამდე მიიყვანოს მეწარმე. ფინანსური ფრიქციები წარმოიშობა ასიმეტრიული ინფორმაციის შედეგად. შოკის შედეგებს მეწარმეები ყოველგვარი ხარჯის გარეშე აკვირდებიან, ხოლო საცალო ბანკმა უნდა გაიღოს გარკვეული რაოდენობის მონიტორინგის ხარჯი (Costly State Verification problem), რათა შეაფასოს შოკის გავლენა მეწარმის საქმიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სესხები რისკიანია, ბანკი საოჯახო მეურნეობების დეპოზიტებზე იხდის ურისკო განაკვეთს, რადგან იგი



ახდენს სესხების დივერსიფიკაციას და შესაბამისად, გარანტირებულად ასრულებს ვალდებულებებს საოჯახო მეურნეობების წინაშე.

მაღალრისკიანი მენარმეები

ჰეტეროგენული მაღალრისკიანი მენარმეები (აღნიშნული H-ით), რომლებიც მენარმეების მთლიანი რაოდენობის η ნაწილს წარმოადგენენ, განიცდიან ზემოთ აღნიშნულ შოკს ω_{t+1}^H , რომელიც მათ ფიზიკურ კაპიტალს \bar{K}_{t+1}^H გარდაქმნის $\omega_{t+1}^H \bar{K}_{t+1}^H$ -ად.

დაბალრისკიანების მსგავსად, მაღალრისკიანი მენარმეებიც აწვდიან შუალედური პროდუქტის მწარმოებელ ფირმებს კაპიტალის მომსახურებას $K_t^H = u_t^H \bar{K}_t^H$ და ღებულობენ გადაწყვეტილებას კაპიტალის უტილიზაციის განაკვეთის შესახებ, რათა მოახდინონ მათი მოგების მაქსიმიზაცია:

$$\max_{u_t^H} \Pi_t^H = [u_t^H r_t^{k,H} - a(u_t^H)] \omega_t^H \bar{K}_t^H P_t$$

რომლის პირველი რიგის პირობაც, $r_t^{k,H} = a(u_t^H)$, აღნიშნავს, რომ ზღვრული შემოსავალი კაპიტალზე ანუ რენტის განაკვეთი უნდა უდრიდეს მისი გამოყენების ზღვრულ ხარჯს.

ასევე მაღალრისკიანი მენარმეც, დაშვების მიხედვით, ტოვებს ეკონომიკას $1-\gamma^H$ ალბათობით, რათა დროთა განმავლობაში იმდენად დიდი არ გახდეს, რომ ბანკის დაფინანსება აღარ დასჭირდეს. ის უტოვებს საკუთარ რესურსებს საოჯახო მეურნეობებს და ისევ $1-\gamma^H$ ალბათობით იბადება ახალი. ამასთან მაღალრისკიანი მენარმეებიც ღებულობენ გარკვეულ ტრანსფერს საოჯახო მეურნეობებისგან თუმცა, ამ შემთხვევაში ეს არამართო ახალბედა მენარმეებს სჭირდებათ, არამედ არსებულ მენარმეებსაც, რომლებმაც იმდენად დიდი შოკი განიცადეს, რომ საქმიანობის გასაგრძელებლად საკმარისი სახსრები აღარ დარჩათ.

საცალო ბანკები და საკრედიტო კონტრაქტი

იმისათვის, რომ მენარმემ საკუთარ სახსრებზე მისი ხარჯების ზედმეტობა დააფინანსოს, უწევს ბანკიდან ისესხოს საჭირო მოცულობა $B_{t+1}^H = Q_{k,t} \bar{K}_{t+1}^H - N_{t+1}^H$ სადაც ცვლადებს ანალოგიური განმარტება აქვთ, მხოლოდ მაღალრისკიანი მენარმეებისთვის. ამასთან, ბანკის მიერ მენარმეების მონიტორინგის ხარჯია

დაშვებული, რაც არის მეწარმის შემოსავლის $\mu \in (0,1)$ ფრაქცია. სტანდარტული საკრედიტო კონტრაქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ შოკი მეწარმეს დეფოლტამდე მიიყვანს, მისი დარჩენილი სახსრები, მონიტორინგის ხარჯების გამოკლებით, რჩება ბანკს. კონტრაქტი უთითებს სესხის საპროცენტო განაკვეთს Z_{t+1}^H და სესხის მოცულობას B_{t+1}^H . იგი ასევე შეიცავს მეწარმის გაკოტრების პირობას. კერძოდ, მეწარმე აცხადებს დეფოლტს იმ შემთხვევაში, თუ მისი შოკი⁴ ω_{t+1}^H იქნება უფრო დაბალი, ვიდრე ბანკის მიერ დადგენილი გარდატეხის დონე $\bar{\omega}_{t+1}^H$, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ ტოლობას:

$$\bar{\omega}_{t+1}^H Q_{k,t} \bar{K}_{t+1}^H (1 + R_{t+1}^{k,H}) = Z_{t+1}^H B_{t+1}^H$$

სადაც $R_{t+1}^{k,H}$ არის საშუალო შემოსავლის განაკვეთი კაპიტალზე.

შესაბამისად, თუ $\omega_{t+1}^H > \bar{\omega}_{t+1}^H$ მეწარმე იხდის $Z_{t+1}^H B_{t+1}^H$ წინააღმდეგ შემთხვევაში აცხადებს დეფოლტს და ბანკს რჩება ნაშთი $1 - \mu \bar{\omega}_{t+1}^H Q_{k,t} \bar{K}_{t+1}^H (1 + R_{t+1}^{k,H})$

დეტალების განხილვის გარეშე შეიძლება აღინიშნოს, რომ საკრედიტო კონტრაქტის ოპტიმიზაციის პრობლემის პირველი რიგის პირობები იძლევა შემდეგ დამოკიდებულებას:

$$\frac{E_t [1 + R_{t+1}^{k,H}]}{1 + R_{t+1}^e} = \Psi \left(\frac{Q_{k,t} K_{t+1}^H}{N_{t+1}^H} \right)$$

სადაც $\Psi > 0$ როცა $N_{t+1}^H < Q_{k,t} \bar{K}_{t+1}^H$. ეკონომიკური ინტერპრეტაცია არის ის, რომ კრედიტის საპროცენტო განაკვეთის მარჯა (პრემიუმი) დამოკიდებულია მეწარმის ლევერიჯზე: რაც მეტია ლევერიჯი, ანუ რაც მეტი სესხი აქვს მეწარმეს, მით მეტია იმის რისკი, რომ იგი ვერ დაფარავს სესხს. შესაბამისად, ბანკი მით უფრო მაღალ მარჯას ითხოვს საკუთარ ფინანსებზე.



4. დაშვების მიხედვით შოკის მოსალოდნელი სიდიდე არის 1. კერძოდ, იგი განაწილებულია დამოკიდებული და იდენტური ლოგნორმალური განაწილებით, ვარიაციით σ^2 და საშუალო მნიშვნელობით $-1/2 \sigma^2$.

მთლიანობაში, ეს სექტორი მოდელს უმატებს ეკონომიკური დინამიკის ორ მექანიზმს. პირველი და რაოდენობრივად უფრო მნიშვნელოვანი არის Bernanke et al. (1999)-ის ფინანსური ამაჩქარებლის (financial accelerator) ეფექტი, რაც გამოიხატება შემდეგში: აქტივების ფასის ზრდა გარკვეული მიზეზით (მაგ. რბილი მონეტარული პოლიტიკის გატარებით) ნიშნავს მეწარმის გაზრდილ წმინდა ღირებულებას, ანუ საკუთარ სახსრებს, რაც თავის მხრივ, ითარგმნება მეტი სესხის აღებისა და მეტი აქტივების შექმნის შესაძლებლობაში. აქტივებზე მოთხოვნის ზრდა კიდევ უფრო ზდრის აქტივების ფასებსა და გარკვეული სპირალური ეფექტით ვლდებულობთ ბუმს ინვესტიციებში. მეორე მექანიზმი არის სესხის დეფლაციის ეფექტი, რომელიც იმის შედეგია, რომ საკრედიტო კონტრაქტები იდება ნომინალურ ერთეულებში. აქედან გამომდინარე, გაუთვალისწინებელი ცვლილებები ფასების დონეში ცვლის მეწარმის წმინდა ღირებულებას და, შესაბამისად, მისი ვალის სიმძიმეს. ეს ორი მექანიზმი აძლიერებს ერთმანეთს მერყეობის გამოწვევაში ისეთი შოკის დროს, როდესაც ინფლაცია და წარმოება ერთი და იგივე მიმართულებით მოძრაობს (მაგ. მონეტარული პოლიტიკა), ხოლო სხვა შემთხვევაში ერთმანეთს აბალანსებენ (მაგ. ტექნოლოგიური შოკი).

ფირმები, საოჯახო მეურნეობები და მთავრობა

მოდელის ეს ნაწილი შედგება სტანდარტული DSGE მოდელისაგან, როგორცაა Smets and Wouters (2003) და Christiano et al. (2005) მოდელები, რომლებიც მოიცავენ ფირმებს, საოჯახო მეურნეობებსა და მთავრობას. მათ ახასიათებთ ხისტი ფასები და ხელფასები (staggered price and wage setting), მომხმარებლის ჩვევის მდგრადობა (habit formation), ფასებისა და ხელფასების ინდექსაცია წინა პერიოდისა და მიზნობრივ ინფლაციასთან.

საბოლოო და შუალედური პროდუქტის ფირმები

საბოლოო პროდუქტის მწარმოებელი ფირმები ფუნქციონირებენ სრულ კონკურენციაში და აწარმოებენ პროდუქტებს, რომლებიც გამოიყენება მოხმარებაში, ინვესტიციებში, სახელმწიფო შესყიდვებსა და ბანკის მონიტორინგისა და უტილიზაციის ხარჯებში. ისინი თითოეული შუალედური პროდუქტის

მწარმოებელი ფირმისაგან ყიდულობენ მასალებს $Y_{i,t}$ და აწარმოებენ საბოლოო პროდუქტს Y_t . მათი მოგების მაქსიმიზაციის პრობლემაა:

$$\max_{Y_{i,t}} \Pi_t^{FGF} = P_t Y_t - \int_0^1 P_{i,t} Y_{i,t} di$$

წარმოების ტექნოლოგიის პირობით

$$Y_t = \left(\int_0^1 Y_{i,t}^{\frac{1}{\lambda_f}} di \right)^{\lambda_f}$$

სადაც i არის შუალედური პროდუქტის მწარმოებლის ინდექსი, ხოლო λ_f , $1 \leq \lambda_f < \infty$, მისი მარჟა (markup). ეს პრობლემა იძლევა შემდეგი მოთხოვნის ფუნქციას თითოეულ შუალედურ პროდუქტზე:

$$Y_{i,t} = \left(\frac{P_{i,t}}{P_t} \right)^{\frac{\lambda_f}{1-\lambda_f}} Y_t$$

ამასთან, ნულოვანი მოგების პირობა (გამომდინარე სრული კონკურენციიდან) გვაძლევს საბოლოო პროდუქტის ფასის შემდეგ გამოსახულებას:

$$P_t = \left(\int_0^1 P_{i,t}^{\frac{1}{1-\lambda_f}} di \right)^{1-\lambda_f}$$

მეორეს მხრივ, შუალედური პროდუქტის მწარმოებელი ფირმები არიან მონოპოლიურ კონკურენციაში და ახასიათებთ შემდეგი წარმოების ტექნოლოგია:

$$Y_{i,t} = (K_{i,t})^\alpha (L_{i,t})^{1-\alpha}$$

სადაც $K_{i,t}$ და $L_{i,t}$ არის წარმოებაში გამოყენებული კაპიტალი და მუშახელი (labor), ხოლო $0 < \alpha < 1$ კაპიტალის წილი წარმოებაში. გამოყენებული კაპიტალი არის ორი ტიპის კაპიტალის კომპოზიცია (თითოეული ტიპის მეწარმისაგან მოწოდებული):

$$K_t = \left[\eta (u_t^H \bar{K}_t^H)^\rho + (1-\eta) (u_t^L \bar{K}_t^L)^\rho \right]^{\frac{1}{\rho}}$$

სადაც ρ არის ამ ორი ტიპის კაპიტალის შენაცვლებადობის ხარისხის საზომი.

ეს ფირმები ახდენენ მათი ხარჯების მინიმიზაციას კაპიტალისა და მუშახელის სწორი რაოდენობის შერჩევით, ხოლო რენტის განაკვეთსა და ხელფასს ღებულობენ, როგორც მოცემულ სიდიდეებს. ეს მინიმიზაციის პრობლემა, წონასწორულ ზღვრულ ხარჯებთან ერთად, იძლევა შემდეგი ტიპის არბიტრაჟის



პირობას ორი ტიპის კაპიტალის სერვისებზე:

$$\frac{r_t^H}{r_t^L} = \left(\frac{u_t^H \bar{K}_t^H}{u_t^L \bar{K}_t^L} \right)^{\rho-1}$$

საბოლოოდ, შუალედური პროდუქტის მწარმოებელი ფირმები ახდენენ ფასების დადებას Calvo (1983)-ის მექანიზმის მიხედვით. იგი ხასიათდება ფასების სიხისტით, სადაც სიხისტის ხარისხს აღწერს პარამეტრი ξ_p . ეს მექანიზმი გულისხმობს, რომ თითოეულ ფირმას შეუძლია საკუთარი ფასების ოპტიმიზაცია (ახალი ფასის დადება) მოახდინოს $1-\xi_p$ ალბათობით. ეს კი ნიშნავს, რომ ξ_p ალბათობით მოცემული ფირმა მოცემულ პერიოდში საკუთარ ფასს სასურველ დონეზე ვერ დაადგენს. ამასთან, იმ ფირმების ფასები, რომლებიც ვერ ახდენენ მათი ფასწარმოქმნის ოპტიმიზაციას, განისაზღვრება შემდეგი ინდექსაციის წესის მიხედვით:

$$P_{i,t} = P_{i,t-1} (\pi_t^{target})^i (\pi_{t-1})^{1-i}$$

სადაც π_t^{target} არის მონეტარული მთავრობის (გროს) მიზნობრივი ინფლაცია, $\pi_{t-1} = P_t / P_{t-1}$, ხოლო პარამეტრი $t \in (0,1)$ ზომავს ფასწარმოქმნის უკანმხედველობას. Verona et al. (2013)-სგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ინდექსაციის წესში დამატებულია მიზნობრივი ინფლაცია. შესაბამისად, პარამეტრი t შეიძლება ასევე ინტერპრეტირებულ იქნას, როგორც ცენტრალური ბანკის ნდობის არაპირდაპირი საზომი.

ფირმა, რომელსაც უწევს ახალი ფასის დადება, ახდენს შემდეგი ტიპის ოპტიმიზაციას (გარკვეული ტექნიკისა და გარდაქმნების შემდეგ):

$$\max_{P_{i,t}} \Pi_t^{IGF} = E_t \sum_{\tau=0}^{\infty} (\beta \xi_p)^\tau \lambda_{t+\tau} [(P_{i,t+\tau} - S_{t+\tau}) Y_{i,t+\tau}]$$

მის პროდუქტზე მოთხოვნის პირობით

$$Y_{i,t+\tau} = \left(\frac{P_{i,t+\tau}}{P_{t+\tau}} \right)^{\frac{\lambda_f}{1-\lambda_f}} Y_{t+\tau}$$

სადაც S_t არის ნომინალური ზღვრული ხარჯი, λ_t საოჯახო მეურნეობების სტოქასტური მულტიპლიკატორი (ფირმები ითვალისწინებენ მას, რადგან ფირმების მფლობელები არიან საოჯახო მეურნეობები), ხოლო $\beta \in (0,1)$ არის დისკონტის ფაქტორი.

ოპტიმიზაციის ეკონომიკური ინტერპრეტაციაა, როცა ფირმები ახალი ფასის დადებისას ითვალისწინებენ მომავლის ყველა ზღვრულ ხარჯებსა და ინდექსაციის შედეგად წარმოქმნილ ფასებს, ვინაიდან მიმდინარე პერიოდში დადებული ახალი ფასი შეიძლება აქტიური დარჩეს დიდი ხნის განმავლობაში.

კაპიტალის მწარმოებლები

ფიზიკური კაპიტალი \bar{K}_t იწარმოება მრავალი კაპიტალის მწარმოებლისაგან. ისინი ყიდულობენ არსებულ კაპიტალს მეწარმეებისაგან და საინვესტიციო პროდუქტს საბოლოო პროდუქტის მწარმოებლისაგან და მათი კომბინაციით უშვებენ ახალ კაპიტალს. ძველი კაპიტალი, ცვეთის შემდეგ, ხარჯის გარეშე გარდაიქმნება ახალ კაპიტალად, ხოლო ინვესტიციების კაპიტალად გარდაქმნა დაკავშირებულია ტრანსფორმაციის ხარჯებთან, რომელსაც აღწერს ფუნქცია $A(\bullet)$ და დამოკიდებულია წინა და მიმდინარე პერიოდის ინვესტიციების დონეზე. ანალიტიკურად:

$$\bar{K}_{t+1} = (1-\delta)\bar{K}_t + A(I_t, I_{t-1})$$

კაპიტალის მწარმოებლის მოგების მაქსიმიზაციის პრობლემა იძლევა მოდელის ამონახსნის კიდევ ერთ განტოლებას, რომელიც აკავშირებს წინა, მიმდინარე და მომავალი პერიოდის ინვესტიციების დონეს ერთმანეთთან (სტანდარტული ტობინის Q განტოლება).

საოჯახო მეურნეობები

თითოეული საოჯახო მეურნეობა მოიხმარს პროდუქტებს, აგროვებს დანაზოგებს და აწვდის ფირმებს მათ სამუშაო უნარ-ჩვევებს. ამ ყველაფრის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას ისინი ახდენენ მიმდინარე და მომავალი პერიოდის სარგებლის მაქსიმიზაციას, მათი საბიუჯეტო შემზღვევების პირობით, რომ მათი ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მათ შემოსავლებს.

ოპტიმიზაციის პირველი რიგის პირობები იძლევა სტანდარტულ ეულერის განტოლებას, რომელიც წარმოადგენს მოდელის ამონახსნის ნაწილს და აკავშირებს წინა, მიმდინარე და მომავალი პერიოდის მოხმარების დონეს.

გარდა ამისა, საოჯახო მეურნეობებს აქვთ გარ-

კვეული მონოპოლიური ძალაუფლება მათ დიფერენცირებულ სამუშაო უნარ-ჩვევებზე. დასაქმების სააგენტოს გავლით, ისინი თავად ადგენენ მათ ხელფასს. ფასების მსგავსად, ხელფასების დადგენაც ხდება Calvo (1983) მექანიზმით, ხელფასების სიხისტის პარამეტრით ξ_w . ასევე ანალოგიურად, იმ საოჯახო მეურნეობების ხელფასები, რომლებმაც ვერ მოახდინეს მიმდინარე პერიოდში ხელფასის ოპტიმიზაცია, იცვლება შემდეგი ხელფასის ინდექსაციის წესის მიხედვით.

$$W_{j,t} = W_{j,t-1} (\pi_t^{target})^w (\pi_{t-1})^{1-w}$$

შესაბამისად, მოდელის ამონახსნში მიმდინარე ხელფასი დამოკიდებულია წინა და მომავალი პერიოდის ხელფასებსა და წინა, მიმდინარე და მომავალი პერიოდის ინფლაციებზე.

სარესურსო შებენი და საბაზრო წონასწორობა

აგრეგირებული სარესურსო შებენი:

$$C_t + I_t + G_t + \eta \left[\mu \int_0^{\sigma_t} \omega dF(\omega) (1 + R_t^{k,H}) \frac{q_{t-1} \bar{K}_t^H}{\pi_t} \right] + \eta a(u_t^H) \bar{K}_t^H + (1 - \eta) a(u_t^L) \bar{K}_t^L = Y_t$$

სადაც C_t აღნიშნავს t -პერიოდის მთლიან მოხმარებას, I_t ინვესტიციებს, G_t სახელმწიფო მოხმარებას. გამოსახულება კვადრატულ ფრჩხილებში არის ბანკის მიერ მეწარმის მონიტორინგის ხარჯი გამოსახული საბოლოო პროდუქტის ერთეულში (რომლის დეტალებიც აქ არ განვიხილავს), ხოლო ტოლობის მარცხენა მხარის ბოლო ორი გამოსახულება კაპიტალის უტილიზაციის ხარჯებია.

საბაზრო წონასწორობა კი გულისხმობს, რომ საბოლოო მოთხოვნა Y_t უნდა უდრიდეს მთლიან წარმოებას:

$$Y_t = (K_t)^\alpha (L_t)^{1-\alpha}$$

გარდა ამისა, საბაზრო წონასწორობაში შედის სესხებისა და საოჯახო მეურნეობების საცალო ბანკებში დეპოზიტების ტოლობა, ობლიგაციების მოცულობისა და საინვესტიციო ბანკებში დეპოზიტების ტოლობა და ადამიანური რესურსების მიწოდებისა და მასზე მოთხოვნის ტოლობა, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას მოდელის ამონახსნში.

მონეტარული პოლიტიკა

ცენტრალური ბანკი ადგენს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს სტანდარტული ტეილორის წესის მიხედვით:


$$R_t^e = \rho^m R_{t-1}^e + (1 - \rho^m) [R^e + \alpha_\pi (E_t \pi_{t+1} - \pi_t^{target}) + \alpha_y (Y_t - \bar{Y})] + \varepsilon_t^m$$

სადაც R^e და \bar{Y} არის R_t^e და Y_t -ს გრძელვადიანი წონასწორულ დონეები, პარამეტრები α_π და α_y წარმოადგენენ საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობას ინფლაციისა და წარმოების გადახრებზე, პარამეტრი ρ^m ზომავს საპროცენტო განაკვეთის სიგლუვეს, ხოლო ε_t^m არის მონეტარული პოლიტიკის შოკი.

აღნიშნული მოდელი, დამატებით, ითვალისწინებს მიზნობრივ ინფლაციასაც, რომელიც მოძრაობს პირველი რიგის (ლოგ) ავტორეგრესიული პროცესის შესაბამისად:

$$\pi_t^{target} = (\pi_{t-1}^{target})^{\rho^{target}} (\bar{\pi})^{1-\rho^{target}} \varepsilon_t^{target}$$

ცვლადების ანალოგიური განმარტებით.





მონეტარული პოლიტიკის ექსპერიმენტები

სექციაში ზემოთ აღნიშნული მოდელი გამოყენებულია იმ ეკონომიკური კითხვების საპასუხოდ, რომლებიც პირველ სექციაში იყო დასმული. თავდაპირველად განხილულია მოდელის კალიბრაცია, ძირითადი აქცენტით ჩრდილოეთი საბანკო სისტემაზე, შემდეგ კი განჭვრეტილი და განუჭვრეტელი ზედმეტად ხანგრძლივად ზედმეტად დაბალი საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკის სიმულაციის შედეგები სხვადასხვა ტიპის მოდელისთვის. პირველ რიგში, სტატიის საბაზისო მოდელის შედეგებთან შედარების მიზნით, სიმულირებულია CMR-ის ფინანსური ამანქარებლის მოდელი (CMR-FA) და CMR-ის გამარტივებული ვერსია (CMR-Simple), რომელიც Smets and Wouters (2003)-ის მოდელს შეესაბამება. ფინანსურ კრიზისთან მიმართებაში აღნიშნული მოდელების არარეალური შედეგების ჩვენების შემდეგ სიმულირებულია სტატიის საბაზისო მოდელი როგორც ნორმალური დროის დაშვებით, ასევე ოპტიმისტური დროის დაშვებით.

ზედმეტად ხანგრძლივად ზედმეტად დაბალი პოლიტიკის სიმულაცია საჭიროებს პროგრამირების არასტანდარტულ მეთოდებს, რომლებიც გულისხმობს, რომ მოდელის პროგრამული კოდი ენდოგენურად ითვლის მონეტარული პოლიტიკის შოკის იმ ზუსტ სიდიდეს პირველი 6 კვარტლისთვის, რომელიც გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთების შენარჩუნებას 100 საბაზისო პუნქტით დაბლა გრძელვადიან წონასწორულ დონესთან შედარებით ამ 6 კვარტლის განმავლობაში. ამის შემდეგ აქტიურდება მონეტარული პოლიტიკის ტელიორის წესი.

კალიბრაცია

მოდელის კალიბრაციისას პარამეტრების მნიშვნელობები შერჩეულია ისე, რომ მოდელი ახდენს აშშ-ს ეკონომიკის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და ლევერიჯ კოეფიციენტების საკმაოდ კარგ რეპლიკაციას. ცხრილი 1 ადარებს მოდელის მიერ მიღებულ კოეფიციენტებსა და აშშ-ს შესაბამის მონაცემებს.

ცხრილი №1.

გრძელვადიანი წონასწორული დონეები და საპროცენტო განაკვეთები: მოდელი VS აშშ-ს მონაცემები

| ცვლადი | მოდელი | აშშ-ს მონაცემები |
|--|---|------------------|
| K/Y | 5.46 | 10.7 |
| C/Y | 0.63 | 0.56 |
| I/Y | 0.17 | 0.25 |
| G/Y | 0.2 | 0.2 |
| ლევერიჯი = $Q\bar{K}/N$ | დაბალრისკიანი 1.26 მაღალრისკიანი 1.35 | [1.21 ; 1.77] |
| ობლიგაციებისა და სესხების თანაფარდობა | 1.5152 | 1.5152 |
| უკუგება კაპიტალზე, R^k | დაბალრისკიანი 11.38% მაღალრისკიანი 8.40% | 10.32% |
| სესხის საპროცენტო განაკვეთი, Z | 6.81% | [7.1 ; 8.1] % |
| ურისკო განაკვეთი, R^e | 5.16% | 5.12% |
| ობლიგაციის კუპონის განაკვეთი, R^{coupon} | 5.99% | 5.96% |

ჩრდილოვანი საბანკო სისტემა კალიბრირებულია აშშ-ს ფინანსური სექტორის შესაბამისად, საცალო საბანკო სისტემა CMR-ის მიხედვით, ხოლო დანარჩენი პარამეტრები სტანდარტული ახალი კეინ-

ზიანური ლიტერატურის შესაბამისად. ცხრილ 2-ში წარმოდგენილია მოდელის პარამეტრების სრული სია და მათი მნიშვნელობები.

ცხრილი №2.

მოდელის პარამეტრები (დროის ერთეული: კვარტალი)

| საოჯახო მეურნეობები | მნიშვნელობა | წყარო | აღწერა |
|--------------------------|--------------|---------------------------|--|
| β | 0.9875 | Verona et al. (2013) | დისკონტის ფაქტორი |
| ψ_L | (36) | (ენდოგენური) | მუშაობის პროცესის უარყოფითი სარგებლის წონა |
| σ_L | 1 | CMR | მუშაობის უარყოფითი სარგებლის სიმრუდე |
| b | 0.63 | CMR | ჩვევის მდგრადობა მოხმარებაში |
| ξ_w | 0.75 | Erceg et al. (2000) | ხელფასების სიხისტის პარამეტრი |
| λ_w | 1.05 | CMR | მარჟა ხელფასებზე |
| l_w | 0.29 | CMR | მიზნობრივი ინფლაციის წონა ინდექსაციის წესში |
| ფირმები | | | |
| α | 0.36 | Levin et al. (2005) | კაპიტალის წილი წარმოებაში |
| ξ_p | 0.75 | Erceg et al. (2000) | ფასების სიხისტის პარამეტრი |
| l | 0.16 | CMR | მიზნობრივი ინფლაციის წონა ინდექსაციის წესში |
| λ_f | 1.2 | CMR | მარჟა შუალედურ პროდუქტებზე |
| S'' | 29.3 | CMR | ინვესტიციების ხარჯების სიმრუდე |
| δ | 0.03 | CMR | კაპიტალის ცვეთის განაკვეთი |
| ρ | 0.6 | Verona et al. (2013) | კაპიტალის ჩანაცვლებადობის ხარისხი |
| მეწარმეები | | | |
| σ_a^H, σ_a^L | 18.9 | Verona et al. (2013) | კაპიტალის უტილიზაციის ხარჯების სიმრუდე |
| μ | 0.15 | Verona et al. (2013) | მოგების ნაწილი დახარჯული მონიტორინგში |
| σ | $\sqrt{0.3}$ | Verona et al. (2013) | პროდუქტიულობის შოკის სტანდ. გადახრა |
| $W^{e,H}, W^{e,L}$ | 0.02 | CMR | საოჯახო მეურნეობების ტრანსფერი მეწარმეებზე |
| γ^L | 0.96 | Verona et al. (2013) | დაბალრისკიანი მეწარმის გადარჩენის ალბათობა |
| γ^H | 0.97 | Verona et al. (2013) | მაღალრისკიანი მეწარმის გადარჩენის ალბათობა |
| η | 0.2772 | Verona et al. (2013) | მაღალრისკიანი მეწარმეების პროცენტული რაოდენობა |
| ობლიგაციების ბაზარი | | | |
| ε | 510 | Chen et al. (2007) | ელასტიურობის გრძელვადიანი წონასწორული დონე |
| α_1 | 30000 | Verona et al. (2013) | ელასტიურობის მგრძობელობა წარმოების გაკვეთზე |
| ρ_χ | 0.9 | Kurz and Motolesse (2011) | ოპტიმიზმის მუდმივობის საზომი |
| α_2 | 24 | Verona et al. (2013) | ოპტიმიზმის მგრძობელობა წმინდა ღირებულებაზე |
| χ | 0 | Verona et al. (2013) | ოპტიმიზმის წონასწორული დონე |
| მთავრობა | | | |
| ρ^m | 0.88 | CMR | საპროცენტო განაკვეთის დაგლუვება |
| α_π | 1.82 | CMR | მოსალოდნელი ინფლაციის წილი ტელიორის წესში |
| α_y | 0.11 | CMR | წარმოების გაპის წილი ტელიორის წესში |
| η_g | 0.2 | CMR | სახელმწიფო შესყიდვების წილი მთლიან წარმოებაში |



მაღალრისკიანი მეწარმეების წილი მეწარმეების მთლიან რაოდენობაში კალიბრირებულია 0.2772 მნიშვნელობაზე, რაც საშუალებას გვაძლევს ზუსტად მივუსადაგოთ მოდელის საბანკო სესხებითა და ობლიგაციებით დაფინანსების თანაფარდობა მის ემპირიულ მეწყვილეს.

მოდელში საპროცენტო განაკვეთის მარჯის გრძელვადიანი წონასწორული დონე დამოკიდებულია ელასტიურობაზე $\bar{\epsilon}$ და ურისკო განაკვეთზე (რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია β -ზე). დისკონტის ფაქტორის β -ს 0.9875 დონეზე კალიბრაციის შემდეგ იმისათვის, რომ მარჯის დონე მოდელში დაემთხვეს მის ემპირიულ მეორე ნახევარს (რომელიცაა 84 საბანკო პუნქტი AAA ტიპის ობლიგაციებისთვის) $\bar{\epsilon}$ კალიბრირებულია 510 მნიშვნელობით. ამასთან მოდელის ლევერიჯის საშუალო დონის მონაცემებთან შესაბამისობისთვის გადარჩენის ალბათობა მეწარმისთვის γ^L დაყენებულია 0.96 დონეზე.

კალიბრაციის მთავარი ნაწილი არის ჩრდილოეთი საბანკო სექტორის კონტრციკლურობის α_1 და ოპტიმიზმის α_2 პარამეტრების მნიშვნელობა. α_1 -ის მნიშვნელობის შერჩევის მიზნით გამოყენებულია აშშ-ს მონაცემები 1953-2011 წწ. პერიოდში, რაც გვიჩვენებს ელასტიურობას მარჯასა და წარმოების გაპს შორის, ეს ორი კი ემპირიული თვალსაზრისით განმარტებულია, როგორც სხვაობა Moody-ს Baa კორპორაციულ და 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციების განაკვეთებს შორის და წარმოების გაპის ოფიციალური შეფასება CBO-ს მიერ. თვალთ დაკვირვების მიხედვით, მარჯა საშუალოდ 0.21 პროცენტით იზრდება, როცა წარმოება 1 პროცენტით მცირდება. ამ ორი სიდიდის OLS რეგრესია პარამეტრის -0.2 მნიშვნელობას იძლევა, ხოლო მარჯის, წარმოების გაპის, ინფლაციის და პოლიტიკის განაკვეთის VAR მოდელი აღნიშნულ პარამეტრს -0.26 დონეზე აფასებს. შესაბამისად, მოდელში α_1 -სთვის მინიჭებულია 30000 მნიშვნელობა, რაც მოდელში ელასტიურობას -0.22 პროცენტზე აყენებს.

α_2 -ს კალიბრაციისთვის გამოყენებულია მხოლოდ 2002-2007 წლების მონაცემები, რადგან ეს იყო ბუმის და შესაბამისად ოპტიმიზმის პერიოდი. ანალოგიური OLS რეგრესია ელასტიურობის -0.7 მნიშვნელობას იძლევა. $\alpha_2 = 24$ მნიშვნელობა იწვევს

მოდელის ელასტიურობის -0.72 დონეს, ამიტომ α_2 -ს ეს მნიშვნელობა იქნება გამოყენებული ოპტიმიზტური პერიოდის სიმულაციის დროსაც.

თანამედროვე DSGE მოდელების სიმულაცია

საბანკო მოდელის უპირატესობების ჩვენების მიზნით, თავდაპირველად განვიხილოთ სხვა თანამედროვე DSGE მოდელების მიერ ფინანსური კრიზისის სურათის რეპლიკაციის შესაძლებლობა, ზედმეტად ხანგრძლივად ზედმეტად დაბალი პოლიტიკის განაკვეთების სცენარის სიმულაციის გზით.

დიაგრამა 2 გვიჩვენებს CMR-FA და CMR-Simple მოდელების სიმულაციის შედეგად მიღებულ იმპულსებს (impulse responses) ძირითადი ცვლადებისთვის როგორც განჭვრეტილი, ასევე განუჭვრეტილი პოლიტიკის შემთხვევაში. დიაგრამას აქვს ორი პანელი: A გვიჩვენებს განჭვრეტილ შემთხვევას, ხოლო B განუჭვრეტელს. ლურჯი ხაზი შეესაბამება CMR-FA მოდელს, შავი წყვეტილ-წერტილოვანი ხაზი CMR-Simple-ს⁵, ხოლო წითელი გრძელვადიან წონასწორულ დონეს.


პირველი დასკვნის თანახმად, განჭვრეტილი პოლიტიკის დროს ცვლადების რეაქცია უფრო დიდი, მაგრამ უფრო ხანმოკლეა. ეს მოულოდნელი არც არის, რადგან განჭვრეტილი პოლიტიკის დროს ცენტრალური ბანკის ყველა მომავალ გეგმაზე აგენტები რეაქციას დღესვე ახდენენ. აქედან გამომდინარე ისეთი ცვლადები, როგორებიცაა, წარმოება, ინფლაცია და ინვესტიციები, მიუხედავად იმისა, რომ კუზიანი ფორმის რეაქცია აქვთ, მალე აღწევენ წარმატებას.

ყველაზე საინტერესო განსხვავება ამ ორ შემთხვევას შორის არის კაპიტალის ფასში. განჭვრეტილი პოლიტიკის დროს იგი ერთჯერადად იზრდება, ხოლო შემდეგ დაუყოვნებლივ იწყებს შემცირებას. განუჭვრეტელის დროს კი ის იზრდება და რჩება იმავე დონეზე, სანამ რბილი მონეტარული პოლიტიკა დამთავრდება. შემდეგ ისიც იწყებს შემცირებას. მიუხედავად იმისა, რომ განუჭვრეტელი შემთხვევა უფრო რეალურია, იგი მაინც არ აჩვენებს კაპიტალის ფასის პერიოდულ ზრდას რბილის პოლიტიკის დასრულებამდე, რასაც, როგორც წესი, ადგილი აქვს ბუმის დროს.

5. CMR-Simple მოდელს არ აქვს ფინანსური სექტორი. შესაბამისად, ფინანსური ცვლადები წარმოდგენილია მხოლოდ CMR-FA მოდელისთვის.

დიაგრამა №2.

ზედმეტად ხანგრძლივად ზედმეტად დაბალი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთები CMR-ში





მეორე და უფრო მნიშვნელოვანი დასკვნის მიხედვით, პოლიტიკის ხასიათის მიუხედავად, ორივე მოდელი ვერ იწვევს ცვლადების ისეთ დინამიკას, როგორც ახასიათებდა უკანასკნელ ბუმ-ბასტს, მაგ. კრედიტების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა და კაპიტალის ფასის ყოველპერიოდული გაბერვა. აქედან გამომდინარე Bernanke et al. (1999)-ის ფინანსური სექტორის ჩართვა DSGE მოდელში არ არის საკმარისი ფინანსური კრიზისის მოდელირებისათვის.

საბოლოოდ, აგენტების განჭვრეტის შესაძლებლობების მიუხედავად, CMR-FA მოდელის მიხედვით მეწარმის ლევერიჯი მცირდება ბუმის დროს, რაც აშკარად ეწინააღმდეგება მონაცემებს, რომ ბუმის დროს ადგილი აქვს მნიშვნელოვნად გაზრდილ კრედიტებს, და შესაბამისად ლევერიჯს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მოდელში დამატებითი სექტორის გათვალისწინება. კერძოდ, ჩრდილოვანი საბანკო სისტემის.

ჩრდილოვანი საბანკო სისტემიანი DSGE მოდელის სიმულაცია


ამჯერად ზედმეტად ხანგრძლივად ზედმეტად დაბალი პოლიტიკის განაკვეთების სიმულაციის შედეგები წარმოდგენილია საბაზისო მოდელის ორი ვარიანტისთვის: ნორმალური დრო, როდესაც ობლიგაციის განაკვეთის მარტა ჩრდილოვანი საბანკო სექტორის მეშვეობით მხოლოდ კონტრაციკურობას ავლენს და ოპტიმისტური დრო, როდესაც დამატებით ამ სისტემის საინვესტიციო ბანკები ოპტიმიზმის გავლენით მეწარმეებს დაბალ კუპონის განაკვეთს ახდენენ ობლიგაციებზე.

დიაგრამა 3 აჩვენებს სიმულაციის შედეგებს განჭვრეტილი პოლიტიკის შემთხვევაში, ხოლო დიაგრამა 4 – განუჭვრეტელის. დიაგრამების აგებულება ერთნაირია: პანელი A გვიჩვენებს აგრეგირებული ცვლადების რეაქციას, B დაბალრისკიანი მეწარმეების გარკვეულ ცვლადებს, ხოლო C მაღალრისკიანი მეწარმეების შესაბამის ცვლადებს. წითელი წრიანი ხაზი აღნიშნავს საბაზისო მოდელს ჩრდილოვანი საბანკო სისტემით ოპტიმისტურ დროში, შავი წყვეტილ-წერტილოვანი ხაზი იგივე მოდელს ნორმალურ დროში, ლურჯი CMR-FA მოდელს, ვარდისფერი წყვეტილ-წერტილოვანი კი გრძელვადიან წონასწორულ დონეს.




დიაგრამა №3.

განჭვრეტელი ზედმეტად ხანგრძლივად ზედმეტად დაბალი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთები






C. Riskier entrepreneurs



დიაგრამა №4.


განუჭვრეტელი ზედმეტად ხანგრძლივად ზედმეტად დაბალი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთები

A. Aggregate Variables






B. Safer entrepreneurs



C. Riskier entrepreneurs





პირველი შედეგი ის არის, რომ განუჭვრეტელი პოლიტიკა იწვევს დიდ, მაგრამ ხანმოკლე რეაქციას თითქმის ყველა ცვლადზე ვიდრე განუჭვრეტელი. შემდეგი ზოგადი დაკვირვება კი ისაა, რომ ორივე შემთხვევაში, ნორმალური დროის საბაზისო მოდელისა და CMR-FA მოდელის სიმულაცია იძლევა მეტ-ნაკლებად იგივე შედეგებს ცვლადების უმეტესობაზე. აქედან გამომდინარე, მარჯის კონტრე-კლურობის გათვალისწინება დიდ გავლენას არ ახდენს მოდელის დინამიკაზე. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ კონტრეკლურობის დამატება მოდელის გარკვეულ გაუმჯობესებას მაინც ახდენს. კერძოდ, მისი ჩართვით, CMR-FA-სგან განსხვავებით, ვლუბულობით ლევერიჯის შემცირებას მაღალრისკიანი მეწარმეებისთვის, მაგრამ რაოდენობრივად უფრო მნიშვნელოვან ზრდას დაბალრისკიანებისთვის, რაც რეალური სურათის მიღებისკენ პირველი გადადგმული ნაბიჯია. მიუხედავად ამისა, სიმულაციის შედეგები მაინც განიცდის ემპირიულად გამართლებული თვისებების ნაკლებობას, როგორცაა აქტივების ფასების ეტაპობრივი ზრდა. ეს დასკვნა, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ უკანასკნელი ბუმ-ბასტი მართლაც არ არის მხოლოდ მაკროეკონომიკური ფაქტორების (მონეტარული პოლიტიკის) ზეგავლენით გამოწვეული.

მნიშვნელოვან ცვლილებებს ვლუბულობით, როდესაც ზედმეტად რბილ მონეტარულ პოლიტიკასთან ერთად ვითვალისწინებთ მაკროეკონომიკურ ფაქტორებსაც, როგორცაა ზედმეტი ოპტიმიზმი ჩრდილოვან საბანკო სისტემაში, განსაკუთრებით განუჭვრეტელი პოლიტიკის შემთხვევაში. როდესაც მონეტარული პოლიტიკა სრულადაა განუჭვრეტელი, პოლიტიკის შერბილება იწვევს პირველად, მაგრამ მნიშვნელოვან ზრდას მეწარმეების წმინდა ღირებულებაში, რაც ააქტიურებს ზედმეტ ოპტიმიზმს ჩრდილოვან საბანკო სისტემაში. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს დაბალრისკიანი მეწარმეების მიერ ფინანსების მო-

ზიდვის გაზრდილ შესაძლებლობას. შედეგად ვლუბულობით ბევრად უფრო დიდ ზრდას მთლიანი კრედიტის მოცულობასა და ბუმს ინვესტიციებში. აქედან გამომდინარე, როდესაც პოლიტიკა განუჭვრეტელია და ოპტიმიზმის არხი ჩართული, სიმულაციის შედეგები კიდევ უფრო უახლოვდება ბუმ-ბასტის ტიპურ სურათს. თუმცა, კაპიტალის ფასის ეტაპობრივი ზრდა მაინც არ ჩანს. აღნიშნული თვისება შეინიშნება საბაზისო მოდელში, როდესაც ჩრდილოვანი საბანკო სექტორის ოპტიმიზმთან ერთად ხდება იმის დაშვება, რომ მონეტარული პოლიტიკა აგენტების მიერ განუჭვრეტელია. აქედან გამომდინარე, სიმულაციების ეს საბოლოო ვარიანტი იძლევა იმ შედეგებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება ბუმ-ბასტის რეალურ სურათს: კაპიტალის ფასის ეტაპობრივი ზრდა რბილი მონეტარული პოლიტიკის განმავლობაში და მისი მყისიერი დაცემა ასეთი პოლიტიკის დასრულებისას, ბუმი მთლიან დაკრედიტებასა და ინვესტიციებში, დაბალრისკიანი მეწარმეების ლევერიჯის მნიშვნელოვანი ზრდა და ა.შ.

აღნიშნული ანალიზიცხადყოფს, რომ თანამედროვე DSGE მოდელის განვრცობა ჩრდილოვანი საბანკო სისტემით, სადაც ზედმეტი თავდაჯერებულობის პერიოდები არსებობს, და ზედმეტად ხანგრძლივად ზედმეტად დაბალი მონეტარული პოლიტიკისა და მისი განუჭვრეტელობის დაშვებით საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ბუმ-ბასტის სურათის რეპლიკაცია მრავალ მაკროეკონომიკურ და ფინანსურ ცვლადებში. ეს კი საშუალებას გვაძლევს საბოლოოდ დავასკვნათ, რომ: უკანასკნელი ფინანსური კრიზისი გამოწვეული იყო, სულ მცირე, შემდეგი სამი ფაქტორით: ზედმეტად ხანგრძლივად ზედმეტად დაბალი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთები, ზედმეტი თავდაჯერებულობა გარკვეულ ფინანსურ ბაზრებში და ეკონომიკური აგენტების მიერ ზედმეტად ხელსაყრელი მაკროეკონომიკური პირობების არსებობისა და მათი ხანგრძლივობის სწორად ვერ განუჭვრეტა.

შედგების მდგრადობის ანალიზი

Verona et al. (2013) მოკლედ ეხება მოდელის მგრძობელობის ანალიზს ორ პარამეტრთან მიმართებაში. პირველი არის ოპტიმიზმის მუდმივობის ხარისხის პარამეტრი p_x , რომლის საბაზისო მნიშვნელობიდან, 0.9–დან შეცვლა 0.7–მდე შედეგებს მხოლოდ რაოდენობრივად ცვლის⁶. მეორე კი ორი ტიპის კაპიტალის ჩანაცვლებადობის ხარისხის პარამეტრა p . მის საბაზისო კალიბრაციასთან შედარებით დაბალი და მაღალი მნიშვნელობის ცდა შედეგებს არ ცვლის, თუმცა ეს იწვევს ობლიგაციების და სესხების თანაფარდობის არარეალურ დონეს. შესაბამისად საბაზისო კალიბრაცია ამ მხრივ ოპტიმალურია.

აქ კი ვაკეთებ მსგავსი მდგრადობის ანალიზს (robustness analysis) კონტრციკლურობის α_1 და ოპტიმიზმის α_2 პარამეტრებისთვის, ვინაიდან ესაა მოდელის საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელი ნაწილი. ვცადე ორი სხვა მნიშვნელობა: პირველი როდესაც ეს ორი არხი დახურულია ($\alpha_1=0$ და/ან $\alpha_2=0$), ხოლო მეორე გაორმაგებული ($\alpha_1=60000$ და/ან $\alpha_2=48$).

შეფასებისთვის მნიშვნელოვანია, როგორც იმპულსების რეალურობა, ასევე გამოწვეული (implied) კუპონის მარჯის წარმოების გაპთან ელასტიურობის რეალურობა. ცხრილი 3 აჩვენებს ამ

ელასტიურობების დონეებს პარამეტრების სხვადასხვა კომბინაციებისთვის. დიაგრამა 4 კი გვიჩვენებს მნიშვნელოვანი ცვლადების იმპულსებს განუჭვრეტელი ზედმეტად ხანგრძლივად ზედმეტად დაბალი პოლიტიკის განაკვეთების სიმულაციის დროს. დიაგრამის A პანელი გვიჩვენებს დაბალი, B – საბაზისო, ხოლო C – მაღალი კონტრციკლურობის შემთხვევებს. მწვანე ხაზი შეესაბამება დაბალ, ლურჯი – საბაზისო, ხოლო წითელი – მაღალ ოპტიმიზმს ჩრდილოვან საბანკო სისტემაში.

იმპულსების შედარებით შეიძლება ორი რამ დავასკვნათ. როგორც ჩანს, კონტრციკლურობის პარამეტრს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ბუმბასტის სურათის დახატვაში, ვინაიდან ოპტიმიზმის არ არსებობის დროს მისი არცერთი მნიშვნელობა არ იძლევა რეალურ სურათს. მეორეს მხრივ, როდესაც ოპტიმიზმი ირთვება შედეგები უფრო რეალური ხდება, თუმცა ამ შედეგების მკაფიოობა ნაწილობრივ დამოკიდებულია კონტრციკლურობის პარამეტრზე. აქედან გამომდინარე, ოპტიმიზმის ჩართავს აქვს როგორც ხარისხობრივი, ასევე, რაოდენობრივი ეფექტი, მაშინ როდესაც კონტრციკლურობა მხოლოდ რაოდენობრივ გავლენას ახდენს.

ცხრილი №3.

მოდელის (model-implied) კუპონის მარჯის წარმოების გაპთან ელასტიურობები


| | $\alpha_1 = 0$ | $\alpha_1 = 30000$ | $\alpha_1 = 60000$ |
|-----------------|----------------|--------------------|--------------------|
| $\alpha_2 = 0$ | -0.004 | -0.22 | -0.28 |
| $\alpha_2 = 24$ | -0.53 | -0.72 | -0.73 |
| $\alpha_2 = 48$ | -1.04 | -1.17 | -1.31 |

6. შეიძლება იმის დაშვებაც, რომ მართალია საინვესტიციო ბანკი ოპტიმიზტურად განეწყობა როდესაც მეწარმის უზრუნველყოფა იზრდება, მაგრამ იგი ახდენს მისი აზრის ყოველპერიოდულად განახლებას. შესაბამისად ვცადე ოპტიმიზმის მუდმივობის პარამეტრის 0 მნიშვნელობაც. კვლავ, შედეგები მხოლოდ რაოდენობრივად იცვლება, თუმცა აქტივების ფასის შედარებით ნაკლებად თვალში მოსახვედრი გაბერვით.




დიაგრამა №5.

შედეგების მდგრადობის ანალიზი კონტრაციულ და რეკონსტრუქციულ პერიოდში





C. Highly counter-cyclical, $\alpha_1=60000$



საბოლოოდ, იმპულსთა შედარებით ჩანს, რომ მოდელი მაღალი ოპტიმიზმის ($\alpha_1=30000$ და $\alpha_2=48$) დროს ცვლადების რეალურ და კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატულ რეაქციებს იძლევა, თუმცა ცხრილი

3-ის მიხედვით ეს ვარიანტი იწვევს ელასტიურობის ზედმეტად მაღალ დონეს, ვიდრე ეს მონაცემებში შეინიშნება. შესაბამისად, საბაზისო კალიბრაცია შეიძლება ჩაითვალოს ოპტიმალურ ვარიანტად.

დასკვნა

უკანასკნელი ფინანსური კრიზისით მოტივირებული წინამდებარე სტატია ახდენს დაჟინებულად რბილი მონეტარული პოლიტიკის როლის შეფასებას ამგვარი კრიზისის გამოწვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ ფედმა წინასწარ გამოაცხადა პოლიტიკის შერბილების განზრახვები, მისი ხანგრძლივობა ბოლომდე ცხადი არ იყო, რამაც აგენტების მიერ 2002-05 წწ. პოლიტიკის შედეგების განჭვრეტის შესაძლებლობა დაასუსტა. შესაბამისად, ანალიზის დროს სიმულირებულია ორივე ტიპის მონეტარული პოლიტიკა: განჭვრეტელი და განუჭვრეტელი.

ანალიზის ცენტრალური ნაწილი არის თანამედროვე DSGE მოდელი, ხოლო ზედმეტად რბილი

მონეტარული პოლიტიკა განმარტებულია, როგორც გრძელვადიან წონასწორულ დონეზე 100 საბაზისო პუნქტით დაბალი პოლიტიკის განაკვეთები 6 კვარტლის განმავლობაში, შემდეგ კი განაკვეთების დადგენის სტანდარტული ტეილორის წესი.

თანამედროვე DSGE მოდელების უმეტესობა აქამდე ითვალისწინებდა ფინანსურ ფრიქციებს მხოლოდ მსესხებელთა მხარეს, თუმცა უკანასკნელმა ბუმ-ბასტმა აჩვენა, რომ ფინანსური შუამავლების მოდელირებაც ასევე მნიშვნელოვანია. შესაბამისად ასეთ მოდელებს აქვთ გარკვეული სირთულეები შეაფასონ ისეთი მოვლენები, როგორიც იყო 2007-08 წლებში. ამის საჩვენებლად სტატიაში განხილული იყო ცენტრალური ბანკების ორი წამყვანი DSGE



მოდელის შედეგები, რამაც აჩვენა, რომ ისინი მართლაც ვერ ახდენენ ემპირიულად გამართლებული ბუმ-ბასტის სურათის რეპლიკაციას, მიუხედავად ისეთი ფინანსური ფრიქციების ჩართვისა, როგორცაა ბანკის მიერ მეწარმის მონიტორინგის ხარჯები (CSV).

ამ მოტივაციით შექმნილი, სტატიის მიხედვით Verona et al. (2013)-ის მოდელი, ახდენს ზემოთ აღნიშნული მოდელების განვრცობას ჩრდილოვანი საბანკო სისტემით, სადაც საინვესტიციო ბანკები აფინანსებენ დაბალრისკიან მეწარმეებს მათი ობლიგაციების ყიდვით. ეს სექტორი შექმნილია იმ ფინანსური შუამავლების წარმოსადგენად, რომლებიც კრიზისამდე მაღალი ლევერიჯით ფუნქციონირებდნენ და ნაკლებად რეგულირდებოდნენ.

ემპირიული რელევანტობის მოტივით, დაშვებულია, რომ აღნიშნულ სექტორში ობლიგაციების განაკვეთის მარჯის დინამიკა დამოკიდებულია დროზე. ნორმალურ დროს, მარჯა, ხანგრძლივი მონაცემების შესაბამისად, მხოლოდ კონტრაციკლურობას ამჟღავნებს. ოპტიმისტურ დროს კი იგი ზედმეტად დაბალ ნიშნულზე ჩამოდის, ვინაიდან საინვესტიციო ბანკები ოპტიმიზმის გამო მეწარმეებს ობლიგაციებზე დაბალ პროცენტს ახდენენ. ოპტიმიზმი დინამიკაზე შემდეგი მექანიზმით ახდენს გავლენას: რბილი მონეტარული პოლიტიკის გამო, რაც აქტივების ფასებს ზრდის, იზრდება მეწარმის წმინდა ღირებულება, ანუ სახსრები, რასაც იგი ბანკის უზრუნველყოფაში დებს. გაზრდილი უზრუნველყოფა ბანკს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს და იგი მეწარმეებს დაბალ პროცენტად აფინანსებს. შესაბამისად ზრდის მეწარმეც მის ინვესტიციებს, რაც აქტივების ფასს კიდევ უფრო ზრდის. იქმნება გარკვეული სპირალი.

საბაზისო მოდელი მართლაც იძლევა სხვა თანამედროვე მოდელებთან შედარებით უფრო რეალურ შედეგებს. კერძოდ, ზედმეტად ხანგრძლივად ზედმეტად დაბალი პოლიტიკის განაკვეთების დროს მოდელი აჩვენებს ზრდას ლევერიჯში ჩრდილოვანი საბანკო სისტემაში, ოპტიმიზმის გარეშეც კი. ოპტიმიზმის შემთხვევაში, როდესაც პო-

ლიტიკა განჭვრეტილია, შედეგები ერთი ნაბიჯით უმჯობესდება და იძლევა მთლიანი ინვესტიციებისა და კრედიტების მოცულობის პირველად და მნიშვნელოვან ზრდას, შემდეგ შემცირებას, რაც ბუმ-ბასტის ტიპური სურათია. თუმცა, არ ხდება კაპიტალის ფასის ეტაპობრივი ზრდა და რბილი პოლიტიკის დასრულების შემდეგ, მისი მყისიერი შემცირება. ეს უკანასკნელი თვისება კი ჩანს განუჭვრეტელ შემთხვევაში. შესაბამისად, ხანგრძლივად რბილი მონეტარული პოლიტიკა საბაზისო მოდელში ოპტიმიზმის დროს და განუჭვრეტელი პოლიტიკის შემთხვევაში აუმჯობესებს სხვა მოდელის შედეგებს შემდეგი სამი მიმართულებით: მოდელის სიმულაციისას იზრდება დაბალრისკიანი მეწარმეების ლევერიჯი, მნიშვნელოვანი აგრეგირებული მაკროეკონომიკური და ფინანსური ცვლადები ამჟღავნებენ ბუმ-ბასტის შესაბამის რეაქციას და კაპიტალის ფასი რბილი პოლიტიკის დროს იზრდება პერიოდულად და ამგვარი პოლიტიკის დასრულების შემდეგ ეცემა მყისიერად, ისე, როგორც 2002-2008 წლების მოვლენების დროს.

ანალიზის შედეგები გვაძლევს შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას: უკანასკნელი ფინანსური კრიზისის გამოწვევაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შემდეგმა სამმა ფაქტორმა: ზედმეტად ხანგრძლივად ზედმეტად დაბალმა პოლიტიკის განაკვეთებმა, ფინანსური შუამავლების ზედმეტმა თავდაჯერებულობამ და ეკონომიკური აგენტების მიერ რბილი პოლიტიკის განუჭვრეტელობამ. აქედან გამომდინარე, ცენტრალური ბანკებისთვის მნიშვნელოვანია, რომ (i) თვალყური ადევნონ განაკვეთების მარჯებს, ვინაიდან იგი შეიძლება ზედმეტ ოპტიმიზმსა და ლევერიჯზე მიუთითებდეს ფინანსურ ბაზრებში და (ii) ტრანსპარენტულად განუცხადონ მათი სამომავლო გეგმები აგენტებს, რადგან მათ მიერ პოლიტიკის განჭვრეტის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად ამცირებს გაუკონტროლებელი ბუმ-ბასტის წარმოქმნის შესაძლებლობასა და მის ხანგრძლივობას.

დანართი – გრაფიკების აღწერა

მთლიელ დიაგრამაში “annual % dev. from SS” აღნიშნავს წლიურ პროცენტულ გადახრას გრძელვანიანი წონასწორული დონიდან, ხოლო “annual rate” - წლიურ საპროცენტო განაკვეთს. ცვლადებს შემდეგი განმარტება აქვთ: “output” - წარმოება; “investment” - ინვესტიციები; “inflation” - წლიური ინფლაცია; „price of capital“ - კაპიტალის ფასი; “nominal interest rate” - მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, R_t^e ; “interest rate on loans” - საპროცენტო

განაკვეთი სესხებზე, Z_t ; “net worth” - მეწარმის წმინდა ღირებულება; “loans” - სესხები საცალო ბანკიდან; “leverage” - ლევერიჯი; “total credit” - აგრეგირებული კრედიტების მოცულობა (სესხები და ობლიგაციები); “stock of capital” - კაპიტალის მაგარი; “bond amount” - გამოშვებული ობლიგაციების მოცულობა; “coupon rate” - ობლიგაციის კუპონის განაკვეთი, R_t^{coupon} ; “spread” - განაკვეთის მარჟა.

ბიბლიოგრაფია

Bernanke, B. S., M. Gertler, and S. Gilchrist (1999): “The financial accelerator in a quantitative business cycle framework”. In J. B. Taylor and M. Woodford (eds.): Handbook of Macroeconomics, Vol. 1. Elsevier, Chapt. 21, pp. 1341-1393.

Calvo, G. (1983): “Staggered Prices in a Utility-Maximizing Framework”. Journal of Monetary Economics 12 (3), 383-98.

Chen, L., D. A. Lesmond, and J. Wei (2007): “Corporate Yield Spreads and Bond Liquidity”. Journal of Finance 62 (1), 119-149.

Christiano, L. J., M. Eichenbaum, and C. L. Evans (2005): “Nominal Rigidities and the Dynamic Effects of a Shock to Monetary Policy”. Journal of Political Economy 113(1), 1-45.

Christiano, L. J., R. Motto, and M. Rostagno (2010): “Financial factors in economic fluctuations”. Working Paper Series 1192, European Central Bank.

De Fiore, F and H. Uhlig (2011): “Bank Finance versus Bond Finance”. Journal of Money, Credit and Banking 43(7), 1399-1421.

Erceg, C. J., D. W. Henderson, and A. T. Levin (2000): “Optimal Monetary Policy with Staggered Wage and Price Contracts”. Journal on Monetary Economics 46 (2), 281-313.

Fang, L. H. (2005): “Investment Bank Reputation and the Price and Quality of Underwriting Services”. Journal of Finance 60(6), 2729-2761.

Gertler, M. and C. S. Lown (1999): “The Information in the High-Yield Bond Spread for the Business Cycle: Evidence and Some Implications”. Oxford Review of Economic Policy 15 (3), 132-150.

Kurz, M. and M. Motolese (2001): “Diverse beliefs and time variability of risk premia”. Economic Theory 47 (2), 293-335.

Levin, A. T., A. Onatski, J. C. Williams, and N. Williams (2005): “Monetary Policy Under Uncertainty in Micro-Founded Macroeconometric Models”. NBER Working Papers 11523, National Bureau of Economic Research.

Smets, F. and R. Wouters (2003): “An Estimated Stochastic Dynamic General Equilibrium Model of the Euro Area”. The Journal of the European Economic Association 1 (5), 1123-1175.

Taylor, J. B. (2009): “Getting Off Track - How Government Actions and Interventions Caused, Prolonged and Worsened the Financial Crisis”. Hoover Institution, Stanford University, California.

Verona, F., M. M. F. Martins, and I. Drumond (2013): “(Un)anticipated monetary policy in a DSGE model with a shadow banking system”. Discussion Papers 4-2013, Bank of Finland



მსოფლიო ეკონომიკის მოზაიკა

შათდაუნი აშშ-ში

2013 წლის 1 ოქტომბერს დაწყებული აშშ-ს ფედერალური ხელისუფლების ე.წ. შათდაუნი (Federal government shutdown) მსოფლიო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. აღნიშნული პროცესი მაშინ იწყება, როდესაც კონგრესი ქმნის „დაფინანსების გარდევას“ და უარს აცხადებს ხელისუფლების დაფინანსების გაზრდაზე. ამ დროს აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია შეზღუდოს საჯარო მომსახურების მიწოდება, ასევე, საკუთარი სააგენტოების საქმიანობა და უვადო უხელფასო შვებულებაში გაუშვას „არა-კრიტიკული“ თანამშრომლები (“furlough”).

მას შემდეგ, რაც აშშ-ს კონგრესმა 2014 წლის ფედერალური ხელისუფლების ხარჯები არ დაამტკიცა, 1976 წლიდან მე-18 შათდაუნი დაიწყო. IHS-ის გათვლებით, ის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და დიდი ზარალის შემცველი შათდაუნია. – აშშ-ს, ის დღეში 160 მილიონი აშშ დოლარი უჯდება. შათდაუნის პირველ კვირაში უვადო უხელფასო შვებულებაში გაშვებული იყო 800000 ფედერალური თანამშრომელი. თუმცა, 350000 დაბრუნდა ერთი კვირის თავზე. შათდაუნის შედეგები საკმაოდ მძიმეა და მოიცავს როგორც აშშ-ს, ისე დანარჩენი მსოფლიოს ეკონომიკას. ბლუმბერგის ექსპერტის, იალმან ონარანის აზრით, თუ ამერიკის მთავრობა არ გაზრდის სავალო ლიმიტს, მაშინ ის შეაჩერებს 5 ტრილიონ აშშ დოლარის სასესხო მექანიზმს იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც დამოკიდებულები არიან აშშ-ს სახაზინო ვალდებულებებზე. ის მნიშვნელოვნად გაუზრდის

სესხების ხარჯებს მილიარდობით ადამიანს, ხოლო რეცესია, რომელიც ამას მოყვება, მთელ მსოფლიოზე გავრცელდება. იალმან ონარანი მიიჩნევს, რომ აშშ-ს დეფოლტი 23-ჯერ უფრო მასშტაბური იქნება, ვიდრე ლიმან ბრაზერსის დეფოლტი 2008 გლობალური ფინანსური კრიზისის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს სამთავრობო კრიზისია, მისი გავლენა კერძო ბიზნესზე უმნიშვნელოვანესია, როგორც მულტიპლიკატორის ეფექტის, ასევე უარყოფითი ეკონომიკური მოლოდინის გამო. ამასთან, აშშ მსოფლიოს უმსხვილესი დებიტორია, მსოფლიო ამერიკის საბიუჯეტო კრიზისის ყურადღებით შეხვდა. თუმცა, პრობლემა განსაკუთრებით ყურადსაღებია ჩინეთისათვის, რომელიც აშშ-ს ყველაზე დიდი კრედიტორია.

მცირე სტატისტიკური ანალიზი (წლევანდელი შათდაუნის გარეშე):

- სულ მოხდა 18-ჯერ;
- დემოკრატი პრეზიდენტის დროს 8-ჯერ (სულ 83 დღე);
- რესპუბლიკელი პრეზიდენტის დროს 10-ჯერ (სულ 29 დღე);
- ჯამში ისტორიის განმავლობაში გრძელდებოდა 112 დღე;
- ყველაზე დიდხანს გაგრძელდა პრეზიდენტ კარტერის დროს – 57 დღე (ამ პერიოდში მოხდა 5-ჯერ!);
- რამდენიმეჯერ დაფიქსირდა პრეზიდენტ რეიგანის დროს – 8ჯერ;
- ყველაზე გრძელვადიანი ბილ კლინტონის დროს იყო – 21 დღე



17 ოქტომბერს პრეზიდენტმა ობამამ ხელი მოაწერა საბიუჯეტო შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც მთავრობის დაფინანსება გაგრძელდა 2014 წლის 15 იანვრამდე, ხოლო მის მიერ სესხის აღების უფლება კი 7 თებერვლამდე. ამდენად, შათდაუნი დასრულა და ათასობით თანამშრომელი დაუბრუნდა სამსახურს. სავარაუდოდ, მიუხედავად ამისა, შათდაუნი შეანელებს ეკონომიკურ ზრდას მეოთხე კვარტალში 2.5 პროცენტიდან 2.3 პროცენტამდე.



ეკონომისტების განცხადებით კონგრესის მიერ ბოლო წლების განმავლობაში დამტკიცებული დანახარჯების შემცირებამ და გადასახადების გაზრდამ გამოიწვია უმუშევრობის გაზრდა, მიუხედავად იმისა რომ ეს ეხმარებოდა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას.

აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემამ თავს იკავებს შესყიდვების შემცირებისგან და ინარჩუნებს ბონდების შესყიდვებს თვეში 85 მილიარდი დოლარის ოდენობით

მოულოდნელად ფედმა 85 მილიარდი დოლარის ყოველთვიური ბონდების ყიდვის ტემპის შემცირებისგან თავი შეიკავა მიზეზი კი ასე განმარტეს: საჭიროა მეტი მტკიცებულება ეკონომიკის მდგრადი გაუმჯობესების დასადასტურებლად.

ცენტრალური ბანკის ხედვა უცვლელია, საპროცენტო განაკვეთის სამიზნე მაჩვენებელი ნულთან ახლოს დარჩება, სანამ უმუშევრობის დონე 6.5 პროცენტს ზევითა და ინფლაციის დონე 2.5 პროცენტს არ აღემატება.

ფედმა შეამცირა მიმდინარე და შემდეგი წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი. მათი პროგნოზით აშშ-ში მიმდინარე წელს მშპ-ს 2-დან 2.3 პროცენტამდე ზრდაა. (<http://www.bloomberg.com>)

აზიური აქციები ყველაზე მეტად გაიზარდა წლის განმავლობაში, აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ სტიმულუსის ბუნარჩუნების ფონზე

აზიის აქციები მას შემდეგ გაიზარდა, რაც ფედმა მოულოდნელად თავი შეიკავა ამერიკის ეკონომიკის სტიმულირების შემცირებისგან.



MSCI აზია-წყნარი ოკეანის ინდექსმა 2.2 პროცენტით მოიმატა და 141.73 მიაღწია. მასში შემავალი ათივე ინდუსტრიული ჯგუფის აქციები კი გაიზარდა. (<http://www.bloomberg.com>)

ოქროს ფასში დაფიქსირდა 15 თვის განმავლობაში მაქსიმალური ნახტომი, მას შემდეგ რაც აშშ-ს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ უარი თქვა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებაზე

ბოლო 15 თვის განმავლობაში ოქროს ფასმა პიკს მიაღწია, იმის შემდეგ, რაც მოულოდნელად, ფედმა დოლარის ყოველთვიური ბონდების ყიდვის ტემპის შემცირებისგან თავი შეიკავა, რამაც ძვირფას ლითონზე მოთხოვნა გაზარდა.

ოქროს დაუყონებლივი მიწოდების ფასმა 4.1 პროცენტით აიწია და \$1,364.02 მიაღწია, რაც 2012 წლის ივნისის შემდეგ ყველაზე დიდ ზრდას წარმოადგენს.

2008 წლის დეკემბრიდან 2011 წლის ივნისამდე ოქროს ფასმა 70 პროცენტით მოიმატა, ფედის მიერ \$2 ტრილიონზე მეტი ვალის შესყიდვის ფონზე. (<http://www.bloomberg.com>)

საბერძნეთის ევროზონაში დარჩენის ფასი შესაძლოა გადმეტად მაღალი იყოს

„საბერძნეთი არ უნდა მიგველო ევრო ზონაში“ განაცხადა გერმანიის კანცლერმა ქვეყნის მიღება იყო ფუნდამენტური შეცდომა. აგვისტოს შუა რიცხვებში ვოლფგანგ შობლემ, გერმანიის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ საბერძნეთს მესამე დახმარება ესაჭიროება.

მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთმა მიიღო ორი დახმარება. კერძოდ, \$110 მილიარდი 2010 წლის მაისში და \$140 მილიარდი 2012 წლის თებერვალში,

ასევე ვალის ყველა დროის რეკორდული რესტრუქტურისგან, რამაც ქვეყნის ვალი კერძო კრედიტორებისგან \$107 მილიარდით გაიზარდა, ქვეყნის ვალი ჯერ კიდევ არამდგრადია. (Telegraph)

ევროზონის სისუსტე გერმანიის ექსპორტს ურთყამს.

ექსპორტი, ევროპის უდიდესი ეკონომიკის ტრადიციული მამოძრავებელია. გერმანიის სტატისტიკის ოფისის მონაცემებით, აპრილიდან მაისამდე დაეცა 6.5 პროცენტით, €94.3 მილიარდიდან €88.2 მილიარდამდე. ეს იყო ყველაზე დიდი დაღმასვლა 2011 წლის დეკემბრის შემდეგ. იმპორტიც დაეცა აპრილში €76.4 მილიარდიდან €75.2 მილიარდამდე, ხოლო გერმანიის სავაჭრო პროფიციტი დაეცა €13.1-მდე, რაც მნიშვნელოვანი კლებაა ეკონომისტების პროგნოზთან შედარებით (€17.6). (Telegraph)



ევროზონის ინფლაცია აგვისტოში შემცირდა

ევრო ზონის ინფლაციის დონე აგვისტოში შემცირდა უფრო მეტად, ვიდრე ამას ეკონომისტები ვარაუდობდნენ. ძირითადად კი ენერგომატარებლების ფასების შემცირების გამო. მიუხედავად იმისა, რომ 17 ქვეყნისგან შემდგარი სავალუტო ბლოკის ეკონომიკაში პროგრესი შეინიშნება.

სამომხმარებლო ფასებმა მოიმატა 1.3 პროცენტით, ივლისში 1.6 პროცენტთან ბრდის შემდეგ, განაცხადა ევროკავშირის სტატისტიკის ოფისმა.

ენერგომატარებლების ფასებმა აგვისტოში დაიკლო 0.4 პროცენტით. აგვისტოში წინა თვესთან შედარებით, როდესაც 1.6 პროცენტთან ბრდა დაფიქსირდა. (<http://www.bloomberg.com>)

ევროზონის უმუშევრობის დონე დაფიქსირდა რეკორდულ 12.1 პროცენტში მაჩვენებელზე

ევროზონაში უმუშევრობამ პიკს მიაღწია 2013 ივლისში, როდესაც დასაქმების არმქონეთა რიცხვმა 12.1 პროცენტს მიაღწია, ხოლო ახალგაზრდული უმუშევრობა 24 პროცენტამდე გაიზარდა. (<http://www.bloomberg.com>)



აგვისტო მომხმარებლების ნდობისთვის დადებითი თვე აღმოჩნდა

გერმანიაში ბიზნესის ნდობა გაიზარდა 16-თვიან მაქსიმუმამდე 2013 წლის აგვისტოში. წლის მეორე კვარტალში გერმანიის მშპ გაიზარდა 0.7 პროცენტით, რაც ძირითადად კერძო მოხმარებისა და მანქანა-დანადგარების ინვესტიციების ზრდით იყო განპირობებული. ბუნდესბანკის პროგნოზით გერმანიის მშპ გაიზრდება 0.3 პროცენტით ამ წელს და 1.5 პროცენტით 2014 წელს.

აგვისტოში მოულოდნელად გაუმჯობესდა მომხმარებელთა ნდობა აშშ-ში, გაიზარდა რა ამერიკელთა ოპტიმიზმი დასაქმების შესაძლებლობებისა და ზოგადად ეკონომიკას მიმართ.

აგვისტოში სამომხმარებლო ნდობა ევროზონაშიც გაიზარდა, უფრო მეტად ვიდრე ეკონომისტები ვარაუდობდნენ. მას შემდეგ, რაც 6 კვარტალი ზედიზედ უარყოფითი ზრდის შემდეგ, 17 ქვეყნის სავალუტო ბლოკის მშპ გაიზარდა 0.3 პროცენტით. (<http://www.bloomberg.com>)



ევროპის ცენტრალური ბანკის განცხადებით გრძელვადიანი ვალდებულება (Forward guidance) არ წარმოადგენს ინფლაციის ხელშეწყობის პირობას

ევროპის ცენტრალური ბანკის პირობა: შენარჩუნებინა საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიანი პერიოდით არ არის გამიზნული ინფლაციის გაზრდისთვის, განაცხადა ფრანკ სმეტსმა, ევროპის ცენტრალური ბანკის კვლევების გენერალურმა დირექტორმა.

პრეზიდენტმა მარიო დრაგიმ წამოიწყო ეს პოლიტიკა ივლისში, რათა ჩაეხშო ფინანსური ბაზრების სესხების გაზრდილი ხარჯები და ხელი შეეწყო ბოლო კვარტალში დაწყებული ეკონომიკის გაუმჯობესებისთვის. (<http://www.bloomberg.com>)

აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის კონფერენციაზე შეხედულებები გაიყო სტიმულუსის ეფექტურობაზე

ფედის და სხვა ცენტრალური ბანკების სტიმულუსის კამპანიისადმი ბევრი სკეპტიკურად არის განწყობილი. ეს დადასტურდა 2013 წლის აგვისტოში კანზასის ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ ჩატარებულ კონფერენციაზეც, სადაც აზრები მკვეთრად გაიყო აკადემიურ სფეროში მომუშავე ეკონომისტებსა და ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს შორის.

ფედმა 3 ტრილიონი დოლარის ოდენობის სახაზინო ფასიანი ქაღალდების და იპოთეკით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები დააგროვა, ხოლო 2012 წლის დეკემბრიდან თვეში 85 მილიარდი დოლარის ფასიანი ქაღალდების შესყიდვას მიჰყო ხელი, უმუშევრობის დონის დაწევისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით.

არვინდ კრიშნამურტისა და ანეტ ვისინგ-იორ-

გენსენის კვლევამ ვერ აღმოაჩინა ეკონომიკური სარგებელი ფედის მიერ იპოთეკური ობლიგაციებისა და სახაზინო ვალდებულებების მიუხედავად. მეორეს მხრივ, ფედის ყოფილმა ვიცე-თავმჯდომარემ დონალდ კონმა, განაცხადა: კვლევის შედეგები არ შეესაბამება რეალობას, თუ ბოლო რამდენიმე თვის მოვლენებს გავითვალისწინებდით. (New York Times)

აშშ-ში აგვისტოს ინფლაცია მოსალოდნელზე ნაკლები აღმოჩნდა

აგვისტოში აშშ-ში ცხოვრების ღირებულებამ აიწია უფრო ნაკლებად, ვიდრე ვარაუდობდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ იმისათვის რომ ინფლაციამ, მიაღწიოს ფედის მიერ დაგეგმილ მაჩვენებელს, საჭიროა დრო.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი გაიზარდა 0.1 პროცენტით (წლიური 1,5 პროცენტი), ყველაზე ნაკლებად ბოლო სამი თვის განმავლობაში, ივლისში 0.2 პროცენტიანი ზრდის შემდეგ. საბაზო ინფლაცია (საკვები პროდუქტებისა და საწვავის გამორიცხვით) ასევე 0.1 პროცენტი იყო (წლიური 1.8 პროცენტი). (<http://www.bloomberg.com>)



საერთაშორისო სავალუტო ფონდის განცხადებით, ბიუჯეტის შემცირებას სჭირდება „სიჩქარის შეზღუდვები“, წინხის ქვეშაც კი

საერთაშორისო მონეტარული ფონდის განმარტებით, ქვეყნები უნდა იცავდნენ „სიჩქარის შეზღუდვას“ და თავი აარიდონ ფისკალური დეფიციტის სწრაფ შეზღუდვას, მაშინაც კი, როდესაც ისინი განიცდიან ინვესტორებისგან ზეწოლას, რომელიც ამართლებს სესხების მნიშვნელოვან შემცირებას.

„მრავალ ქვეყანაში ფისკალური დისბალანსი იმდენად მაღალია, რომ უახლოეს მომავალში მისი დარეგულირებისთვის საჭირო იქნება ისეთი მასშტაბის კორექტირება, რომელიც მკვეთრად იმოქმედებს ეკონომიკურ აქტივობაზე და ექნება და-

მანგრეველი შედეგები სახელმწიფო მომსახურების მიწოდებაზე“ – ნათქვამია ანგარიშში.

ფისკალური სტიმულის ეფექტიანობამ, ზრდის უზრუნველყოფისთვის ფინანსური კრიზისის შემდგომ აჩვენა, რომ შესაძლოა ეს იყოს ძლიერი ინსტრუმენტი, როდესაც ცენტრალური ბანკი საპროცენტო განაკვეთებს ნულამდე წევს, ხოლო ფინანსური სექტორი სუსტია. (<http://www.bloomberg.com>)

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამბობს, რომ ქვეყნები საჭიროებენ სპეციფიკური ინსტრუმენტებს, რათა თავიდან აიცილონ ფინანსური კრიზისი

იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც სურთ დაიცვან თავიანთი ფინანსური სისტემა და თავი აარიდონ გლობალური კრიზისის გამეორებას, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეიმუშავა ახალი პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები და ურჩია, რომ ცენტრალური ბანკები ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღებაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სცადა განეხილებინა რეკომენდაციები 188 წევრი ქვეყნებისთვის. მათ შორის, ფონდმა დაუშვა კაპიტალის კონტროლის გამოყენება კონკრეტულ შემთხვევებში. (<http://www.bloomberg.com>)

ბანკები ხელს უჭერენ მოგებას, რათა დააკმაყოფილონ კაპიტალის მოთხოვნები, ამბობს BIS

BIS-ის მონაცემებით, კრედიტორები ასრულებენ კაპიტალის ზრდის მოთხოვნებს, მოგების შენარჩუნებით და არა სესხების შემცირებით.

„ბანკებმა გაზარდეს კაპიტალის კოეფიციენტი საშუალო 8.5 პროცენტამდე 2012 წლის ივნისის ბოლოსთვის, საშუალო 5.7 პროცენტიდან, რომელიც 2009 წლის ბოლოს იყო“, ნახსენებია BIS-ის კვარტალის მიმოხილვაში.

ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტმა, ბანკებს დაავალა ორჯერ და მეტად გაეზარდა მათი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი მას შემდეგ, რაც მოხდა Lehman Brothers Holdings Inc.-ის კოლაფსი 5 წლის წინ. არსებობდა საშიშროება, რომ ეს მოხდებოდა არა კაპიტალის ზრდის, არამედ სესხების შემცირების ხარჯზე, რაც ეკონომიკურ აღორძინებას დარტყმას მიაყენებდა. (<http://www.bloomberg.com>)



პროგნოზთან შედარებით ევროზონაში ინდუსტრიული წარმოება უფრო მეტად შემცირდა

ივლისში ევროზონის ინდუსტრიული პროდუქცია შემცირდა უფრო მეტად, ვიდრე ეს ეკონომისტების მიერ იყო ნაწინასწარმეტყველები.

ევროზონის 17 ქვეყანაში ქარხნული წარმოება დაეცა 1.5 პროცენტით ივნისთან შედარებით, როდესაც ამ მაჩვენებლის ზრდა 0.6 პროცენტი იყო, განაცხადა ევროზონის სტატისტიკის ოფისმა. ეს მნიშვნელოვნად აღემატება ეკონომისტების მიერ პროგნოზირებულ 0.3 პროცენტს (33 პროცენტის მედიანური მნიშვნელობა). წლის განმავლობაში წარმოება 2.1 პროცენტი შემცირდა.

ევროპის ყველაზე დიდ ეკონომიკაში, გერმანიაში წარმოება შემცირდა 2.3 პროცენტით ივლისში, ივნისში 2.2 პროცენტიანი ზრდის შემდეგ. საფრანგეთში პროდუქცია შემცირდა 0.6 პროცენტით ხოლო იტალიის პროდუქცია მოულოდნელად შემცირდა 1.1 პროცენტით, რაც იმის ნიშანია, რომ ევრო ზონის ეკონომიკაში სიდიდით რიგით მესამე ქვეყანა, შესაძლოა, აღმოჩნდეს ყველაზე ხანგრძლივ რეცესიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. (<http://www.bloomberg.com>)

დოუ ჯონსს ემატება გოლდმენ საში, ნაიკის წილები

Goldman Sachs Group Inc., Visa (V) Inc. და Nike Inc. (NKE) დაემატება დოუ ჯონსის ინდექსს; ეს კომპანიები შეცვლიან Bank of America Corp. (BAC), Hewlett-Packard Co. (HPQ) და Alcoa Inc. (AA)-ს. ცვლილებები გაზრდის საბანკო და კომპიუტერულ კომპანიების გავლენას 30 კომპანიისგან შემდგარ ინდექსზე.



მაღალი ღირებულების აქციების დამატება ამცირებს სხვა წევრების წონას ინდექსში – Goldman Sachs, Visa და Nike-ის აქციების საშუალო ფასი არის \$134,48, ხოლო Hewlett-Packard, Alcoa და Bank of America აქციების საშუალო სავაჭრო ფასი კი \$14,97.

დღეს ექსპერტების აზრით, ეს ცვლილება ინდექსს უფრო რეპრეზენტატიულს გახდის. (<http://www.bloomberg.com>)

საბერძნეთის კრიზისი: მასობრივი გაფიცვები საჯარო მოხელეების სამსახურების შემცირებასთან დაკავშირებით

2013 წლის 16 სექტემბერს საბერძნეთში საჯარო სექტორში გათავისუფლებებისა და იძულებითი გადარიცხვების წინააღმდეგ ერთკვირიანი მასობრივი გაფიცვა დაიწყო.

სახელმწიფო სკოლების მასწავლებლებმა გააცდინეს ორშაბათი და დაიწყეს დაგეგმილი ხუთდღიანი გაფიცვა.

საჯარო მოხელეებმა გამოაცხადეს ორდღიანი გაფიცვა ოთხშაბათს, რომლებსაც მხარი დაუჭირეს უნივერსიტეტებმა, ექიმებმა და იურისტებმა.

სამუშაო შემცირებები არის საერთაშორისო კრედიტორების მიერ დაწესებული ფინანსური დახმარების პირობების შემადგენელი ნაწილი.

საბერძნეთის ეკონომიკა შემცირდა 23 პროცენტით 2008 წლის შემდეგ. საერთაშორისო ინვესტორები მოელიან დამატებით 4.2 პროცენტთან შემცირებას 2013 წლის განმავლობაში. (BBC)

მსოფლიო სააქციო ბაზრები გაიზარდა მას შემდეგ, რაც აშშ-ს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური

ბანკის ფინანსური სტიმულუსის მასშტაბების შენარჩუნების შესახებ მოულოდნელი განცხადების შემდეგ, მსოფლიო სააქციო ბაზრებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. ფედის განცხადებით, მისი პოზიცია სტიმულუსთან დაკავშირებით არ შეიცვლება აშშ-ის ეკონომიკის შემდგომ გაუმჯობესებამდე.

ფედის პროგნოზით, აშშ-ს ეკონომიკა წელს 2-დან 2.3- პროცენტამდე გაიზარდება.

ბაზრების ზრდა ამ ახალი ინფორმაციის საფუძველზე განპირობებული იყო იმით, რომ ფედის განცხადებ იმას ნიშნავდა, რომით, მონეტარული სტიმულუსის შედეგად წარმოქმნილი იაფი ფულის მიწოდება გაგრძელდება. (BBC)

გამოვლინდნენ 2013 ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში

გამოვლინდნენ 2013 ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში – ისინი არიან ამერიკელი ეკონომისტები იუჯინ ფაშა, ლარს პეტერ ჰანსენი და რობერტ შილერი. მათ მიიღეს პრემია აქტივების ფასების ემპირიული ანალიზთან დაკავშირებული შრომებისთვის. შვედის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის განცხადებით, სამივე ეკონომისტმა საფუძველი ჩაუყარა აქტივების ფასების თანამედროვე გააზრებას. გარკვეული თვალსაზრისით, წლევიანდელი პრემია პარადოქსს წარმოადგენს, იმიტომ რომ ფაშამ შექმნა „ეფექტიანი ბაზრის“ ჰიპოთეზა, ხოლო შილერი ცნობილია როგორც ამავე თეორიის სერიოზული კრიტიკოსი. რობერტ სოლომ, 1987 წლის ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატმა აღნიშნა, რომ პრემიის გადაცემა ამ ეკონომისტებისთვის ნიშნავს იმას, რომ საბოლოო ჯამში ფინანსურ თეორიაში რაიმე ბოლომდე ჩამოყალიბებული ერთიანი დოქტრინა არ არსებობს (The Economist, www.bloomberg.com).

ინფორმაცია ავტორებისთვის

სტატიების სტრუქტურირების და წყაროების/ბიბლიოგრაფიის მითითების წესები

სტატიის სტრუქტურა:

- შესავალი
 - განსახილველი თემის დასახელება და მოკლე აღწერა
 - თემის შერჩევის კრიტერიუმები
 - სტატიის დანარჩენი ნაწილის სტრუქტურა/შინაარსი
- ლიტერატურის მიმოხილვა
ამ ან ანალოგიურ საკითხთან დაკავშირებით სხვა ეკონომისტების მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა
- თეორიული ნაწილი
ეკონომიკური მოდელი/თეორია, რომელსაც ეფუძნება სტატია
- მონაცემების ანალიზი
 - მონაცემების აღწერა (სპეციფიკური მონაცემები კონსტრუირების აღწერის ჩათვლით)
 - მონაცემთა აღწერითი სტატისტიკა (განხილული თემის შესაბამისად)
- ემპირიული ანალიზი (გამომდინარე საჭიროებიდან)
- შედეგები
- შედეგების განხილვა
- დასკვნა
სტატიის მოცულობა უნდა შეადგენდეს 2500-5000 სიტყვას.

წყაროების/ბიბლიოგრაფიის მითითების წესი (ჰარვარდის სტილი)

1. ჰარვარდის სტილის დანიშნულება.

ჰარვარდის სტილი არის ციტირების აკადემიური სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს ავტორს გამოიყენოს სხვა პირების ინფორმაცია და აზრები საკუთარ ნაშრომში და ამასთან უზრუნველყოს საავტორო უფლებების დაცვა. ჰარვარდის სტილის გამოყენება უმარტივეს ნაშრომის მკითხველებს ავტორის მიერ გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების მოძებნას; ჰარვარდის სტილის გამოყენება, აგრეთვე, ამცირებს პლაგიატის რისკებს.

ჰარვარდის სტილის გამოყენებისას ნაშრომის ტექსტში რაიმე ავტორის/წყაროს ციტირებისას ყოველთვის იქნება მითითებული ციტირებული ავტორის სახელი და გვარი და პუბლიკაციის წელი. გარდა ამისა, ნაშრომისთვის დართულ ბიბლიოგრაფიაში მითითებული იქნება როგორც ავტორის სახელი და გვარი და პუბლიკაციის თარიღი, ისე სხვა ბიბლიოგრაფიული დეტალები. ბიბლიოგრაფია დალაგებული უნდა იყოს ანბანის შესაბამისად, ავტორების გვარების მიხედვით.



2. წყაროების მითითება ნაშრომის ტექსტში: პარაფრაზი და ციტირება.

ყოველთვის, როდესაც თქვენს ნაშრომში იყენებთ სხვა ავტორის / ავტორების / ორგანიზაციის ინფორმაციას, აუცილებლად უნდა მიუთითოთ ავტორების სახელები და გამოყენებული ნაშრომის პუბლიკაციის წელი. ეს ეხება როგორც პარაფრაზს (სხვისი აზრის/შედეგების საკუთარი სიტყვებით გადმოცემას), ისე ციტირებას (სხვისი ტექსტის უცვლელად გადმოტანას). აღნიშნული დეტალები უნდა განთავსდეს წინადადების ბოლოს, მაგალითად:

“Volunteer programmes are successful when volunteers are working in positions they look forward to undertaking and want to fill” (McCurley, Lynch & Jackson 2012, p. 78).

ერთი წინადადების ციტირებისას, ჩასვით ის ბრჭყალებში. თუ ახდენთ ორი ან მეტი წინადადების ციტირებას, ციტირებული ტექსტი ცალკე აბზაცად გამოყავით. თუ წყაროს არ გააჩნია გვერდების ნუმერაცია (მაგალითად ინტერნეტში განთავსებული სტატიები), საკმარისია მხოლოდ ავტორის სახელებისა და პუბლიკაციის წლის მითითება. იმ შემთხვევაში, თუ ავტორის სახელი ცნობილი არაა (რაც განსაკუთრებით ზედმიწევნით უნდა გადამოწმდეს) მითითებული უნდა იყოს პუბლიკაციის დასახელება (რომელიც იტალიკით უნდა იყოს აკრეფილი), წელი და შესაბამისი გვერდი, მაგალითად:

Decapsulation of brine shrimp cysts is not necessary but has been carried out by dedicated aquarists for many years as they claim it improves hatching rates (Hatching and raising brine shrimp 2010, p. 2).

3. წყაროების ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია

წყაროების სია არის ყველა იმ საინფორმაციო წყაროს სია, რომელიც თქვენ გამოყენებულ/ციტირებული გაქვთ ნაშრომში. ბიბლიოგრაფია ამგვარ წყაროებთან ერთად მოიცავს ყველა იმ წყაროს, რომელსაც თქვენ გაეცანით ნაშრომზე მუშაობის დროს, მაგრამ შეიძლება უშუალოდ

ნაშრომის ტექსტში გამოყენებული არ გაქვთ. ჟურნალში ნაშრომის გამოგზავნისას სასურველია მიუთითოთ მხოლოდ წყაროების ჩამონათვალი.

4. ბიბლიოგრაფიული დეტალები.

a. წიგნები:

წიგნებისთვის ბიბლიოგრაფიული დეტალები უნდა მოიცავდეს შემდეგს ზუსტად ამ თანმიმდევრობით:

1. ავტორ(ებ)ი – პიროვნებები ან ორგანიზაცია – ან რედაქტორ(ებ)ი, ჯერ გვარები, შემდეგ სახელები;
2. პუბლიკაციის წელი;
3. სათაური (ქვესათაურის ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), იტალიკით;
4. სერიის დასახელება და ტომის ნომერი (ასეთების არსებობის შემთხვევაში);
5. გამოცემა – თუ ეს არ არის წიგნის ერთადერთი გამოცემა;
6. გამომცემელი;
7. პუბლიკაციის ადგილი (ქალაქი/რაიონი).

მაგალითად:

Rosen, MR & Kunjappu, JT 2012, Surfactants and interfacial phenomena, 4th edn, John Wiley & Sons, Hoboken, NJ.

b. სტატიები გაზეთებისა და ჟურნალებიდან (გარდა იმ სტატიებისა, რომლებიც თავისუფლად ხელმისაწვდომია გაზეთებისა და ჟურნალების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე).

ამ შემთხვევაში ბიბლიოგრაფიული დეტალები უნდა მოიცავდეს შემდეგს ზუსტად ამ თანმიმდევრობით:

1. ავტორ(ებ)ი – თუ მითითებულია;
2. პუბლიკაციის წელი;
3. სათაური (ბრჭყალებში);
4. გაზეთის/ჟურნალის დასახელება (იტალიკით);
5. ტომის/გამოცემის ნომერი;
6. თვე და რიცხვი (გაზეთისთვის) ან თვე/კვარტალი (ჟურნალისთვის) – თუ არ არის ტომის/გამოცემის ნომერი;
7. გვერდი.

მაგალითად:

Fei, W & Wu, B 2011, 'Equal-area theorem based direct digital sinusoidal pulse-width modulation method for multilevel voltage inverters', Australian Journal of Electrical & Electronics Engineering, vol. 8, no. 2, pp. 129-136.

ც. ინფორმაცია ინტერნეტიდან.

ამ შემთხვევაში ბიბლიოგრაფიული დეტალები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

1. ავტორ(ებ)ი ან ორგანიზაცია, პასუხისმგებელი ვებ-გვერდზე;
2. ინფორმაციის გამოქვეყნების ან უახლესი მოდიფიკაციის წელი;
3. ვებ-გვერდის/დოკუმენტის სათაური;
4. თარიღი, როდესაც პირველად ეწვიეთ ამ გვერდს – დღე/თვე/წელი;
5. URL (ვებ-მისამართი). მოყვანილი უნდა იყოს <->-ში. ლინკები არ უნდა იყოს აქტიური.

მაგალითად:

AusIndustry 2013, Certain inputs to manufacture (CIM), AusIndustry, viewed 21 January 2013, <<http://www.ausindustry.gov.au/programs/manufacturing/cim/Pages/default.aspx>>.

ჰარვარდის სტილის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ, მაგალითად, შემდეგ ვებ-გვერდს: http://www.swinburne.edu.au/lib/studyhelp/harvard_style.html

